პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეექვსე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე
ტელეფონები:) რედაქტორის 14—76
) მდივანის 10—58
ღამის მორიგეს 13—80

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 34, ტელეფონი № 8—81
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის 90 კ., დანარჩენებისათვის—1 მ. და 20 კ., განცხადებები: ნონპარელის სტრიქონი—40 კაპ. ტექსტში—ორჯერ მეტი, სამგლოვიარო—10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება სწარმოებს შუადღის 4 საათამდე.
სტამბის ტელეფ. 13—80 ექსპედ. 5—48.

დ ღ ი უ რ ი

- —სამხრეთ-სლავიის პრესა დიდ ყურადღებას აქცევს ამხ. ჩიჩერინის მოგზაურობას უცხოეთში
- —მუსოლინმა იტალიიდან გადაასახლა 522 ოპოზიციონერი.
- —სირიის მცხოვრებნი მოითხოვენ ეროვნული მთავრობის შედგენას.
- —გუშინ ლიტვაში დაიწყო 17 კომუნისტის გასამართლება, რომელთაც ბრალი ედებათ მთავრობის საწინააღმდეგო დემონსტრაციის მოწყობაში.
- —გაიხსნა გერმანიის უმუშევართა კონფერენცია.
- —კუნძულ ჰერალდზე აღმართა საბჭოთა დროშა.

პარასკევი, 3 დეკემბერი 1926 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 277 (1732)

ერთიანი ფრონტით კაპიტალიზმისა და სოც.-დემ. გამცემლობის წინააღმდეგ

დღეისათვის ბერლინში დანიშნულია სრულიად გერმანიის მშრომელთა კონგრესის გახსნა. ამ ყრილობის მოწვევის ლოზუნგი გადმოისროლა კომპარტიამ მას შემდეგ, რაც კომპარტიისავე ინიციატივით და ხელმძღვანელობით ჩატარებულ რეფერენდუმის დროს 15 მილიონმა კაცმა გაილაშქრა ყოფ. მეფის გვარეულობისათვის ქონების ანაზღაურების წინააღმდეგ. ამ რეფერენდუმმა ცხადყო კომუნისტური გავლენის ზრდა მშრომელ მასსებზე და საგრძნობლად წასწია წინ მუშათა ერთიანი ფრონტის განხორციელების საქმე.

ამ მიმართულებით მუშაობის გაფართოება-გაღრმავებისათვის მეტად ნოყიერი ნიადაგია შექმნილი გერმანიაში. პირველ ყოვლისა აღსანიშნავია, რომ, მიუხედავად მშრომელ მასსების გადაჭრილ ნების ყოფისა, რომელიც ხსენებულმა რეფერენდუმმა გამოაშკარავა, პრუსიის მთავრობამ გადასწყვიტა ვილჰელმს და მის მახლობელთ უამრავი სიმდიდრე შესთავაზოს. ყველაზე უფრო ხაზგასასმელი აქ ის არის, რომ ეს მოხდა სოციალ-დემოკრატიის წყალობით, რომელიც ხელმძღვანელ როლს თამაშობს პრუსიის ლანდტაგსა და მთავრობაში. როგორც ვიცით სოციალ-დემოკრატიის ზედაფენები იმ თავიდანვე ანაზღაურების მომხრენი იყვნენ, მაგრამ როცა მის წინააღმდეგ კომპარტიამ ფართე კამპანია გაშალა და მასში მშრომელთა მილიონები ჩააბა, მენშევიკებმა დროებით უკან დაიხიეს ამ საკითხში. შემდეგ კვლავ გამოაჩინეს თავის მოღალატური ბუნება და მხარი დაუჭირეს ყოფილ მეფისათვის ქონების დაბრუნებას. ამ სამარცხვინო გამცემლობამ სოციალ-დემოკრატიის ზედა წრეების წინააღმდეგ გაზარდა აღშფოთება მშრომელთა ფართე მასსებში, თვით სოციალ-დემოკრატიის დაბალ წრეებშიც კი, რომელნიც ბევრგან თავის პარტიიდან გამოდიან და კომუნისტებს უახლოვდებიან.

ბრძოლა ანაზღაურების საკითხის გარშემო არ არის დამთავრებული. მასზე რეიხსტაგმაც უნდა იქონიოს მსჯელობა. მუშათა კლასი ყოველ ზომას მიიღებს, რათა პრუსიის მთავრობის აღნიშნული დადგენილება გაუქმებულ იქნეს და საერთო - გერმანიის მასშტაბით ერთხელ და სამუდამოდ იქნეს უარყოფილი ხალხის მიერ ჩამოგდებულ და გაძევებულ მეფეების თავხედური პრეტენზიები. გერმანიის მშრომელთა კონგრესის დღის წესრიგში ეს ერთ მთავარ საკითხთაგანს წარმოადგენს. კონგრესი მოახდენს ძალების უფრო მეტ მობილიზაციას და დასახავს ბრძოლის შემდგომ გზებს ამ მიზნის განხორციელებისათვის.

კონგრესი განიხილავს გერმანიის მუშათა კლასის და საერთოდ მშრომელთა ეხლანდელ მდგომარეობას. უაღრესად მძიმეა ეს მდგომარეობა. და ეს შექმნა პირველყოვლისა იმ „რაციონალიზაციამ", რომელიც ამჟამად ტარდება მთელი გერმანიის მრეწველობაში. „რაციონალიზაცია", სხვათა შორის, გამოიხატება მუშა ხელის მინიმუმამდე შემცირებაში და წარმოებაში დარჩენილ მუშების უსაზღვრო ექსპლოატაციაში. უმუშევართა რაოდენობა გერმანიაში აღწევს 3 მილიონ კაცს და თვით მრეწველების განცხადებით მისი შემცირება ახლობელ წლებში მოსალოდნელი არ არის, პირიქით—გადიდდება კიდეც. გარდა ამისა. რამდენიმე მილიონი კაცი მუშაობს მხოლოდ რამოდენიმე დღე კვირაში. ნივთიერი დახმარება.ისიც სრულიად უმნიშვნელო, უმუშევართა ნახევარსაც არ ეძლევა.

როგორც ვსთქვით, მუშების ექსპლოატაცია გაძლიერებულია.„რაციონალიზაციის" გატარების შემდეგ მუშების ნაყოფიერება აიწია 20—30 პროცენტამდე. ამასთან რვა საათის სამუშაო დღე ფაქტიურად გაუქმებულია. მაგრამ მუშების ხელფასის მომატებაზე არავინ ფიქრობს. ამ მხრით მუშათა მასსების მიერ წარმოდგენილ მოთხოვნებს უხეშად უარყოფენ არა მარტო კაპიტალისტები. არამედ მათ სოციალ-დემოკრატიული პროფკავშირების ზედაფენებიც არ უჭერენ მხარს. ამ ნიადაგზე წარმოშობილ საგაფიცვო მოძრაობას საერთო ძალ-ღონით ახშობენ ბურჟუაზიული ხელისუფლება, სოციალ-დემოკრატების და პროფორგანიზაციების ხელმძღვანელი წრეები. და ეს მაშინ, როცა კაპიტალისტების მოგება საგრძნობლად გაიზარდა, მუშების უსაზღვრო ექსპლოატაციის წყალობით და სხვადასხვა სამრეწველო დარგის ტრესტებად და კარტელებად გაერთიანების გამო, რაც მათთვის მონოპოლიურ მდგომარეობას ჰქმნის და ნაწარმოებზე ფასების აწევის საშუალებას აძლევს. აქედანვე იზრდება ცხოვრების სიძვირეც, ხოლო მუშების ხელფასი არამც თუ მატულობს, ის რეალურად კიდეც ეცემა.

სოციალ-დემოკრატია ამ „რაციონალიზაციის" საკითხშიც ბურჟუაზიის მხარეზეა. ის ცდილობს დაარწმუნოს პროლეტარიატი, რომ უმუშევრობა და „რაციონალიზაციასთან" დაკავშირებული სხვა უარყოფითი მეთოდები მუშათა კლასისათვის წარმავალი მოვლენაა, და მალე დადგება მეურნეობის გაშლის პერიოდი და საჭიროა მოთმინება მთელი სახალხო მეურნეობის ინტერესებისთვისო. მენშევიკები ყოველ ზომას იღებენ, რათა გარევოლიუციონერების გზაზე შემდგარი მუშათა კლასი დააშოშმანოს და „კლასთა თანამშრომლობის" აზრით მოუხმონ მისი შეგნება.

სოციალ-დემოკრატიამ თავისი ბედი საბოლოოდ დაუკავშირა ბურჟუაზიულ წყობილებას. მისმა ცენტრმა მარქსის მთავრობასთან დასდო პირობა შეთანხმებული მოქმედების შესახებ. სოციალ-დემოკრატიის ლიდერები ოცნებობენ ბურჟუაზიულ მთავრობაში შესვლაზე და ამ მიმართულებით გადადგმულია პრაქტიკული ნაბიჯებიც. სამაგიეროდ ისინი კომუნისტებს ვერ ინელებენ და მათი ასალაგმავად არაფრის წინაშე არ ჩერდებიან. სხვათა შორის აღსანიშნავია, რომ. მაგ., საქსონიის ლანდტაგში მენშევიკებმა შეკრეს ბლოკი ნაციონალისტებთან და საერთო ძალებით კომუნისტები დაამარცხეს ლანდტაგის პრეზიდიუმის არჩევის დროს. ასე იქცევიან სოციალ-დემოკრატების მეთაურები ყველგან—ბურჟუაზიასთან და მონარქისტებთან ერთად—კომუნისტების წინააღმდეგ.

მაგრამ მუშათა მასსები სულ უფრო შორდებიან მათ. ეს თვალსაჩინო შეიქნა ანაზღაურების წინააღმდეგ კამპანიის ჩატარების დროს. ეს აშკარა გახადა მშრომელთა კონგრესის მოსაწვევად წარმოებულმა კამპანიამაც. სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების და პროფკავშირების ხელმძღვანელ წრეებმა ყოველ ზომას მიმართეს, რომ ჩაეშალა ყრილობის მოწვევა. მაგრამ მათ მეცადინეობამ არ გასჭრა. კომუნისტ მუშებზე რომ არაფერი ვსთქვათ, უპარტიო და სოციალ-დემოკრატი მუშები ცხოვლად გამოეხმაურენ მშრომელთა კონგრესის იდეას.

ეს კონგრესი, რომელიც იქნება მთელი გერმანიის მშრომელთა ჭეშმარიტი წარმომადგენლობა, შეეხება ყველა ამ საკითხებს,—ბურჟუაზიის საერთო შეტევას მუშათა კლასზე, უკანასკნელის მდგომარეობის ყოველ მხრივ გაუარესებას, სოციალ-დემოკრატიის გამცემლურ როლს და გამოიმუშავებს მთელ რიგ ღონისძიებებს თავდაცვისა და იერიშზე გადასვლისათვის კაპიტალის წინააღმდეგ, რომელსაც ზურგს სოციალ-დემოკრატია უმაგრებს. კონგრესი მეტად სერიოზული ნაბიჯი იქნება მუშათა ერთიანი ფრონტის განხორციელებისათვის. მასზე წარმოდგენილი იქნებიან სხვადასხვა მიმართულების მუშები, რომელნიც ყველასათვის გასაგებ კლასობრივ ბრძოლის კონკრეტულ ამოცანების გათვალისწინების ნიადაგზე. მიუხედავად მოღალატე სოც.-დემოკრატ მეთაურების წინააღმდეგობისა, გააერთიანებენ თავის რიგებს ამ ამოცანების გადაჭრისათვის. კონგრესი გამოყოფს მუდმივ აღმასრულებელ ორგანოს, რომელიც შემდეგში უხელმძღვანელებს მას დირექტივების გატარებას ცხოვრებაში. ეჭვი არ არის, რომ გერმანიის მშრომელთა ყრილობა ღრმა კვალს დაამჩნევს ამ ქვეყნის პროლეტარიატის შემდგომ მოძრაობას, დააჩქარებს სოციალ-დემოკრატიის გარიყვას მუშათა მასსებიდან და უკანასკნელთა დაყენებას რევოლიუციონურ-კლასობრივ ბრძოლის გზაზე. პროლეტარიატის მთლიანი ფრონტით ბურჟუაზიისა და მის დამქაშ სოციალ-დემოკრატიის წინააღმდეგ — ასეთი იქნება კონგრესის აზრი და ნებისყოფა.

იმპერიალისტები ემზადებიან ინტერვენციისათვის ჩინეთში

ინგლისმა, ამერიკამ და საფრანგეთმა ჯარი და ფლოტი გაგზავნეს ხანკოუში

უცხოეთის კაპიტალისტები სესხს აძლევენ მუკდენს კანტონთან საბრძოლველათ

სამხრეთ-სლავიის პრესა მოითხოვს საბჭოთა კავშირის დაუყოვნებლივ ცნობას

ჩინეთის რეაქციონური ძალები

სესხს თხოულობს

ნიუ-იორკი, 2 დეკემბერი. ამერიკელ გაზეთების ცნობები ჩინეთის ამბების შესახებ მეტად ფრთხალი კილოთი არის შედგენილი. სარწმუნო წრეებში ფიქრობენ, რომ შეერთებ. შტატების მთავრობა იცნობს კანტონის მთავრობას, თუ კანტონელები აიღებენ პეკინს. „ნიუ-იორკ ტაიმსი" იუწყება, რომ სახელმწიფოები იხილავენ ჩინეთის საკითხს, მაგრამ ჯერ არ მიუღიათ გადაწყვეტილება **შეთანხმებულად გამოსვლის შესახებ.**

„ჩიკაგო დეილი ნიუზში" გამოქვეყნებულია ჩან-ძო-ლინის გაზეთის პეკინელი კორესპონდენტის საუბარი, რომელშიც **ჩან-ძო-ლინი მოუწოდებს სახელმწიფოებს დაეხმარონ მას ბრძოლაში კომუნიზმის წინააღმდეგ. ჩან-ძო-ლინის სიტყვით, ის იმუშავებს საზღვაო ბლოკადის გეგმას კანტონის წინააღმდეგ.** (ადს).

და კიდეც აძლევენ

პეკინი, 1 დეკემბერი. ირკვევა, რომ **ჩჟან-ძო-ლინისათვის სესხის მიცემაში დაინტერესებული არიან ჩარსერბანკი და აგრეთვე ინგლის - ამერიკის თამბაქოს კამპანია.** სესხი ჩჟან-ძო-ლინს მიეცემა 50 მილ. დოლარის რაოდენობით შემდეგ პირობებში: **ჩჟან-ძო-ლინი და სუნ-ჩუან-ფანი ვალდებული არიან იმოქმედონ ერთად რევოლიუციონური მოძრაობის ჩასაქრობათ მთელს ჩინეთში.** ისინი ერთად იძლევიან სესხის გარანტიას. გარანტიებში შედის ნავთსადგურ პუ-კი-უს შემოსავალი. (ადს).

მდგომარეობა ხანკოუში

პეკინი, 1 დეკემბერი. გომინდანის ადგილობრივი წრეები შეშფოთებული არიან იმით, რომ **ზოგიერთ უცხოეთის წრეებს განზრახული აქვთ ისარგებლონ საგაფიცვო მოძრაობით და გამოიყენონ ის საპროვოკაციოდ.**

ინგლისის ცნობებით, **მდგომარეობა ხანკოუში ისევ დაძაბულია.** როგორც ამ ცნობებიდან სჩანს, ზოგიერთი სახელმწიფოები, ღებულობენ წინასწარ მოსამზადებელ ზომებს. **შანხაიდან ხანკოუში გავიდა ორი ამერიკული და ერთი ინგლისური განმანადგურებელი.** სხვა ორი ამერიკული სამხედრო გემი დაბრუნდა ნანკინიდან ხანკოუში. გარდა ამისა, საფრანგეთისა და ინგლისის მოხალისეთ აცნობეს, რომ ისინი შესაძლებელია ყოველ წამს იქნან გაწვეული. ემზადებიან, აგრეთვე, უცხოელ ქალების და ბავშვების საევაკუაციოთ. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს **უცხოელები ნამდვილ ომისთვის ემზადებოდენ.**

თეთრგვარდიელები

პეკინი, 1 დეკემბერი. იაპონიის სააგენტოების ცნობით, **მუკდენელები რაზმავენ ნეჩაევის რაზმში მყოფ ახალგაზრდა თეთრგვარდიელებს.** (ადს.)

გომინდანელების დატუსაღება

პეკინი, 1 დეკემბერი. ტიან-ძინში **ინგლისის პოლიციამ დააპატიმრა 14 გომინდანელი და გადასცა ჩინეთის სამხედრო ხელისუფლებას.** (ადს).

შავი ყორნები

პეკინი, 1 დეკემბერი. მუკდენის ჯარების შტაბის უფროსი **იან-იუ-ტინი** გაემგზავრა ტიან-ცზინიდან მუკდენში. უკანასკნელად ტიან-ძინში გამართულ კონფერენციის შედეგათ ჩენ-ჩჟოუში უ-პეი-ფუსთან შესახვედრათ გაემგზავრა 4 კაცისაგან შემდგარი კომისია, რომელიც უ-პეი-ფუსთან ერთად განიხილავს საკითხს საერთო მდგომარეობის შესახებ. (ადს).

რეაქციონერების ძალადობა

ხარბინი, 2 დეკემბერი. 30 ნოემბერს ჩინეთის ხაზღვაო ფლოტილიის და ჩრდილო-აღმოსავლეთ სახელმწიფო სანაოსნო საზოგადოების წარმომადგენლები გამოცხადდენ აღმ.-ჩინ. რკ. გზის ნავთსადგურში ხარბინში და მოსთხოვეს ნავთსადგურის უფროსს ნავთსადგურისა და მისი კუთვნილი სარკინიგზო საწყობების ჩაბარება, წინააღმდეგ შემთხვევაში იმუქრებოდენ პოლიციის საშუალებით გზის მოსამსახურეთა გაძევებას და საწყობების გალებას. მაგრამ აღმ. ჩინ. რკ. გზის უფროსი **ემშანოვის** ენერგიული პროტესტის შემდეგ, უკან წავიდნენ ფლოტილიის წარმომადგენლები და განაცხადეს, რომ **ნავთსადგურისა და საწყობების მიღება გადასდვეს ერთი კვირით.** (ადს).

პეკინზე შეტევისათვის

პეკინი, 1 დეკემბერი. რადგან მუკდენელები ემზადებიან ფინ-იუი-სიანზე შესატევად, ბატიუს რაიონის ოკუპაციის მიზნით, გაზეთ „შუნ-ტიან-ში-ბაო" იუწყება, რომ **ფინ-იუი-ხიანიც თავის მხრივ ემზადება კონტრ-შეტევისათვის პეკინზე,** რისთვისაც უკვე შეუთანხმდა პროვინცია შან-სის ხელისუფალთ. ამ ცნობას ნაკლებ სარწმუნოდ სთვლიან; ადგილობრივ პოლიტიკურ წრეებში აღნიშნავენ, რომ ეს ცნობები გავრცელებულია იაპონიის გაზეთების მიერ. (ადს).

მასწავლებელთა დევნა

ხარბინი, 2 დეკემბერი. განათლების საქმის მმართველის ლი-შაო-გენის განკარგულებით, **რკინისგზის სკოლების მასწავლებლებს არ მიუღიათ ნოემბრისთვის ხელფასი.** ჟურნალისტებთან საუბარში ლი-შაო-გენმა განაცხადა, რომ ჯამაგირების მიუცემლობაში დამნაშავეა რკ. გზის მმართველობა, რომელმაც შესწყვიტა კრედიტების გაცემა განათლების საქმისათვის. სკოლები დაკეტილ იქნება, თუ რკ. გზების სამმართველო დამოუკიდებლად დაიწყებს ჯამაგირების დარიგებას, განათლების საქმის სამმართველოსთან შეუთანხმებლად. ყველა პედაგოგები, რომელნიც განათლების მმართველობის დაუკითხავათ მიიღებენ ჯამაგირს, დათხოვნილ იქნებიან.

აღნიშნული საუბარი გაცემულია იმ მიზნით, რომ პროვოკაციულ ანკესზე წამოეგონ მასწავლებლები. ლია-შაო-გენი განსაკუთრებით იმის გამოა უკმაყოფილო, რომ მას მასწავლებლები არავითარ ანგარიშს არ უწევენ და დინჯათ განაგრძობენ მეცადინეობას. (ადს).

ინტერვენციის წინ

ჩემბერლენის განცხადება

ლონდონი, 2 დეკემბერი. 1-ლ დეკემბერს თემთა პალატაში გამოვიდა საგარეო საქმეთა მინისტრი ჩემბერლენი, რომელმაც დაახასიათა ხანკოუში შექმნილი მდგომარეობა. თავის განცხადების დასაწყისში მან აღნიშნა, რომ 29 ნოემბერს ხანკოუში გაიმართა დემონსტრაცია და ამასთან ერთად ბრიტანეთის საკონცესიო ტერიტორიაზე გადასხმულ იქნა საზღვაო ფეხოსანი ჯარის ნაწილები.

„ამან,—განაცხადა ჩემბერლენმა,—საკმაოდ დიდი მორალური შთაბეჭდილება მოახდინა. დემონსტრანტები იძულებული გახდენ წასულიყვნენ საკონცესიო ტერიტორიიდან. უკანასკნელი ცნობებით, **4 დეკემბრისათვის დანიშნულია ხანკოუში არსებულ უცხოეთის წარმოებათა მუშების გაფიცვა; ამ გაფიცვას უერთდებიან, აგრეთვე, ჩინეთის ხელში მოსამსახურენი, კანტორის მოხელენი და ყველა დანარჩენი ჩინელები, რომელნიც უცხოელების მიერ დაქირავებული არიან ხანკოუში. მიღებულია ზომები, რომ ზამთრის დამდეგისათვის ხანკოუში თავი მოუყარონ ინგლისის გემების საკმაო რაოდენობას და, აგრეთვე, თუ საჭირო გახდება, გადასხან ინგლისის ჯარების დესანტი.** სამდინარო ნაღმოსნებს წინადადება მიეცათ მთელი ზამთრის განმავლობაში იცურონ მდინარე ხანკოუს რაიონში. შეერთებული შტატების საზღვაო ძალები გზავნიან ხანკოუში ორ განმანადგურებელს. იაპონიას აქ თავის განკარგულებაში ჰყავს 8 ნაღმოსანი, საფრანგეთს—1 ნაღმოსანი და 1 ნაღმომფრქვევი გემი".

ჩემბერლენს მისცეს შეკითხვა: „ჰყავს თუ არა ინგლისის მთავრობას თავის განკარგულებაში საკმაოდ შეიარაღებული ძალები ინგლისის მოქალაქეთა უშიშროების უზრუნველსაყოფად შანხაიში, კანტონის ჯარების წინსვლით მოსალოდნელ შედეგებისაგან". ჩემბერლენმა უპასუხა, **რომ ამჟამად ის არ ხედავს შანხაიზე** შეიარაღებული თავდასხმის შესაძლებლობას კანტონის ჯარების მხრივ.

შემდეგ გამოვიდა საზღვაო მინისტრი **ბრიჯმენი**, რომელმაც განაცხადა, რომ სრულიად საკმარისია უშიშროებისათვის შორეულ აღმოსავლეთში მყოფი ინგლისის საზღვაო ძალები მით უმეტეს, **რომ მთავრობა იხილავს საკითხს მათი შევსების შესახებ.** (ადს).

ინტერვენციის წინ

სიტყვა სხვაა

ვაშინგტონი, 2 ნოემბერ. შეერთებული შტატების საგარეო საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა ცნობა, რომელშიაც ნათქვამია, რომ ჩრდილო-ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ძალებმა ჩინეთში თავიანთი მოქმედება უნდა განსაზღვრონ იქ მყოფ ამერიკელების სიცოცხლისა და ქონების დაცვით.

კანტონელების მიერ ხანკოუს საბაჟოების დაკავების განზრახვის შესახებ ცნობაში ნათქვამია, რომ საბაჟოებზე კონტროლის დაწესება—ეს ჩინეთის საშინაო პოლიტიკის საქმეა და მასში უცხოელები არ უნდა ჩაერიონ.

საერთოდ ამ განცხადებაში დაცულია ფრთხილი და თავაზიანი კილო. ცნობა ამერიკული რაზმების ხანკოუში გადასხმის შესახებ ჯერ-ჯერობით არაა დადასტურებული. (ადს).

საქმე სხვაა

ნიუ-იორკი, 2 დეკემბერი. **შეერთებულ შტატების მთავრობამ ხანკოუში გაგზავნა შეიარაღებული სამხედრო გემები.** (ადს).

საფრანგეთ-გერმანიის ურთიერთობა

მონოპოლიის გაყიდვა

პარიზი, 1 დეკემბერი. „ჟურნალიტეს" ცნობით, მთავრობა ფინანსთა სამინისტროს ბიუჯეტის განხილვის დროს მოითხოვს ასანთის მონოპოლიის გადაცემას კერძო პირებისათვის. ამ მონოპოლიას, გაზეთის სიტყვით, ნომინალურად **მიჰყიდიან** ფრანგულ საზოგადოებას, ნამდვილად კი ამერიკა - **შვედეთის ტრესტს. რომელმაც წააქეზა პარლამენტის ზოგიერთ მემარცხენე წევრების მოსყიდვა.** (ადს).

მემარჯვენეების შიში

პარიზი, 1 დეკემბერი. მემარჯვენე პრესა უკმაყოფილოა ბრიანის გამოსვლით პალატაში და აღნიშნავს, რომ მის სიტყვაში ბევრი იყო საერთო ადგილები, მაგრამ არაფერი განსაზღვრული არ ყოფილა ნათქვამი გარეშე საქმეთა სამინისტროს პოლიტიკის შესახებ.

„ეკო დე პარი" სწერს: „ბრიანი გამოდის გულუბრყვილო ადამიანათ, რომელსაც სჯერა, რომ გერმანია არ აპირებდა ეიპენის და მალმედის რაიონების შესყიდვას ბელგიისაგან, რომ იტალია-გერმანიის მოლაპარაკება დაიწყო ლოკარნოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით". მემარცხენე პრესა თუმცა ქებით იხსენიებს ბრიანის მშვიდობიან პოლიტიკას, მაგრამ უკმაყოფილოა მისი სიტყვის გაურკვეველ ხასიათით. „ნუვოლ" სწერს: „ბრიანმა შტრეზემანს არ გასცა პირდაპირი პასუხი, რადგან მისთვის მნიშვნელოვანია მიზანი. ის ცდილობს მის განხორციელებას ისე, რომ ყურადღებას არ აქცევს გარემოებებს". (ადს).

ბრიანი სდუმს

პარიზი, 1 დეკემბერი. კომუნისტი კაშენი შეეკითხა ბრიანს დაიცავს თუ არა ის ჟენევაში კანტონის რესპუბლიკის დამოუკიდებლობას, თუ შეუერთდება იმ ინტერვენციას, რომელსაც ჩინეთში ამზადებენ. ბრიანმა პასუხი არ გასცა კაშენის შეკითხვაზე. (ადს).

წარმოების გაიაფებისაკენ

(„პრავდა"-ს მოწინავე წერილი)

ჩვენი წარმოების ხარჯების დონე ჯერ კიდევ საგრძნობლად აღემატება ომამდე არსებულს—და შორს რჩება უკან მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნების წარმოების ხარჯების დონეს. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ თვითღირებულების პრობლემასთან არის დაკავშირებული ჩვენი სამეურნეო პოლიტიკის უმთავრესი ამოცანები.

თვითღირებულების შემცირება ჩვენთვის, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია იმისათვის, რომ ვსძლიოთ სამრეწველო და სასოფლო - სამეურნეო ფასების დისპროპორცია, ვინაიდან ამ ფასების შეფარდება მაჩვენებელია იმისა, თუ რამდენად მტკიცეა ჩვენი სამეურნეო კავშირი გლეხობასთან. ეს აუცილებელია იმისათვის, რომ ჩვენი სამრეწველო საქონლის ფასები დაუახლოვოთ მსოფლიო ბაზრის სამრეწველო ფასებს, ვინაიდან ამ ფასების შეფარდება არსებითად განსაზღვრავს ჩვენი გეგმიანი მეურნეობის უმთავრესი ღერძის — საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის სიმტკიცეს. თვითღირებულების საკითხი ებჯინება ჩვენი სამრეწველო დაგროვების [illegible] ოდენობას, რომელიც აუცილებელია მრეწველობის განვითარების ტემპის დაჩქარებისათვის. დაბოლოს, სამეურნეო განვითარების ეხლანდელ საფეხურზე, როცა ჩვენ იძულებული ვართ ანგარიში გაუწიოთ მშრომელთა მასსების ნივთიერ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების შენელებას მნიშვნელოვან გარდატეხის გამო სახალხო მეურნეობის მთელი განვითარების ტემპში, თვითღირებულების პრობლემა ხდება ერთ იმ მნიშვნელოვანი ფაქტორთაგანი, რომელიც რეალური სამუშაო ხელფასის რაოდენობას განსაზღვრავს.

უკანასკნელ თვეებში კიდევ გამოაშკარავდა მთელი რიგი ეკონომიური ფაქტორებისა, რომელნიც გამოწვეულნი არიან საქონლის ბაზრის კონიუნქტურით. ეს ფაქტორები გვაიძულებენ ყურადღება მივაქციოთ ჩვენ მიერ დამზადებული საქონლის თვითღირებულების საკითხს. ეს არის ცვლილებანი მომხმარებლის მოთხოვნილების დარგში, მოთხოვნილების სიმწვავის შესუსტება, მისი მოქნილობა, ბაზრის უფრო წყნარი მდგომარეობა, მიუხედავათ მთელ რიგ საქონელთა ნაკლებობისა, მოთხოვნილების გადატანა მრეწველობის ერთი დარგიდან სხვა დარგებში და უფრო კრიტიკული დამოკიდებულება მომხმარებლისა საქონლის ხარისხის და ფასებისადმი.

ამავე დროს აუცილებელია ხაზი გაესვას რომ საბითუმო - საცალო ფასების განსხვავების შემცირების ამოცანა სავსებით არ შეიძლება იქნას შესრულებული მხოლოდ საქონლის გადამცემი ქსელის ზედნართი ხარჯების შემცირებით; მას საფუძვლად უნდა ედოს ბაზრის სრული დაკმაყოფილება საქონლით და აგრეთვე საბითუმო ფასების კვლავ დაკლება საქონლის თვითღირებულების შემცირების საფუძველზე. ამ შემცირებას მოითხოვს წარმოების ინტერესები და ის ფაქტი, რომ გლეხობისათვის ჩვენი ფასების დონე ჯერ კიდევ ნაკლებ დამაკმაყოფილებელია. შეიძლება კიდევ იქნას ჩამოთვლილი იმ ფაქტორთა მთელი რიგი, რომელნიც მჭიდროთ არიან დაკავშირებული სამრეწველო საქონლის თვითღირებულების მდგომარეობასთან და რომლებზედაც არის დამოკიდებული სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის ფასები, ვალიუტის სიმტკიცე და სხვ. ყოველივე ეს საქონლის თვითღირებულების საკითხებს ჩვენი სამეურნეო მოღვაწეობის პირველ რიგში აყენებს.

როგორიღა იყო საქონლის თვითღირებულების დინამიკა სახალხო მეურნეობის აღდგენითი პერიოდში. 1923 წლის კრიზისის შემდეგ, როცა საკითხი გადაწყდა საბითუმო ფასების შემცირებათა რეგლამენტაციით, მრეწველობა ორი წლის განმავლობაში (1923—24 და 1924—25 წლებში) განუწყვეტლივ ამცირებდა თვითღირებულებას და ამ პერიოდის განმავლობაში მიაღწია წარმოების გაიაფებას 35—40 პროცენტით. ცხადია, რომ ასეთი სწრაფი შემცირების ძირითადი წყარო ამ წლების განმავლობაში იყო წარმოების სწრაფი განვითარება და წარმოებათა დატვირთვის გადიდება. მაგრამ შემდეგ წელში, 1925—26 წელში ჩვენ მივიღეთ დიდი გარდატეხა ფასების შემცირების ტემპში. საკონტროლო ციფრებით, თვითღირებულების შემცირება მთელ მრეწველობაში ნავარაუდევი იყო საშუალოდ 5—6 პროცენტით. 1925—26 წლის წინასწარი ცნობები გვიჩვენებენ, რომ მრეწველობამ არ შეძლო ამ ვარაუდის შესრულება. დაკლების მაგიერ თვითღირებულება მრეწველობის მთელ რიგ დარგებში იყო სტაბილური, ზოგიერთ დარგებში კი თვითღირებულებამ აიწია წარსულ წელთან შედარებით. სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს სავაჭრო პოლიტიკის განყოფილების წინასწარი ცნობებით, მთელ მრეწველობაში 1925—26 წელში თვითღირებულებამ საშუალოდ მოიმატა 0,6 პროცენტით. თვითღირებულების მდგომარეობის ასეთი შედეგები უმთავრესად გამოიწვია: ძველი მოწყობილობის გამოყენებამ წარმოებაში, აქციზების გადიდებამ, ტრანსპორტის ხარჯების ამატებამ, ფასების ზრდამ ზოგიერთი სახის ნედლეულზე, შრომის ნაყოფიერების ნაკლებად ზრდამ სამუშაო ხელფასის ზრდასთან შედარებით, თანხების არასაკმაოდ მოქნილად გამოყენებამ, უყაირათობის ფაქტებმა და სხვ. მაშასადამე, 1925—26 წელში დასახული შემცირების შეუსრულებლობის მიზეზები არიან როგორც ობიექტიური ხასიათის ფაქტორები, რომელნიც დამოუკიდებელნი არიან მრეწველობისაგან, ისე სამეურნეო ორგანოების მუშაობის ხარისხი.

1926-27 წლის საკონტროლო ციფრები ითვალისწინებენ წარმოების გაიაფებას 2—3 პროც. თუ მხედველობაში მივიღებთ წარსული წლის გამოცდილებას ვარაუდის გადაჭარბებისა საქონლის თვითღირებულების შემცირების დარგში, უნდა ვაღიაროთ, რომ დასახული რაოდენობანი, რამდენადაც მცირე და უმნიშვნელო არ უნდა იყვნენ ისინი, მათი განხორციელება მოითხოვს უდიდეს ენერგიის დახარჯვას. ამ ამოცანის განხორციელება მოხდება მთელ რიგ ობიექტიურ დაბრკოლებათა პირობებში, რომელნიც გამოწვეულნი არიან მოწყობილობის გაცვეთით, რეზერვებისა და ძირითადი კაპიტალის ამოწურვით, გადასახადებისა და აქციზების ზრდით, სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის ფასების დონის სიმტკიცით, ხელფასის მექანიკური მომატებით მუშათა ჩამორჩენილი ჯგუფებისათვის მრეწველობის ზოგიერთ დარგებში, რკინის გზის ტარიფების ზრდით და სხ. მრეწველობის წინაშე ხდება ამოცანა იმისა, რომ ძლეულ იქნას ამ ობიექტიური ფაქტორების გავლენა და მიღწეულ იქნას საქონლის თვითღირებულების შემცირება.

როგორი გზით უნდა მიმდინარეობდეს ამ ამოცანების შესრულება? რასაკვირველია, გადამწყვეტი მნიშვნელობა ეკუთვნის ჩვენი სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციის პროცესს და მის გადასვლას უფრო მაღალ ტეხნიკურ საფეხურზე. კაპიტალურ მოწყობილობათა გადახალისება და ახალი სამრეწველო-აღმშენებლობა უზრუნველყოფს ჩვენი მრეწველობისათვის ისეთ ტეხნიკურ უპირატესობათა მოპოვებას, რომლითაც იგი კონკურენციას გაუწევს არა მარტო ომამდე არსებული წარმოების ხარჯებს, არამედ კაპიტალისტური ქვეყნების თვითღირებულების დონესაც. მაგრამ პრობლემის ასეთი გადაწყვეტა დაკავშირებულია სოციალისტური დაგროვების პროცესის ხანგრძლივ პერიოდთან ინდუსტრიალიზაციის ქვეყანაში. მხოლოდ ამით დაკმაყოფილება საკმაო არაა. ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ ზედმიწევნით იქნას აწონილი თვითღირებულების შემქნელი ელემენტების როლი განსაკუთრებით იმ ელემენტების, რომელნიც პირდაპირ არიან დამოკიდებული სამრეწველო საქმიანობის თვისებისაგან; მთელი ნებისყოფა და ენერგია მიმართულ უნდა იქნას იმისაკენ რომ მოვიპოვოთ ისეთი მიღწევანი, რომელნიც საერთოდ წარმოების გაიაფებას გამოიწვევენ. ამ მიღწევათა შორის უმთავრესი ადგილი უჭირავს საწარმოო პროცესების რაციონალიზაციას. სწორედ ჩვენი ტეხნიკური ჩამორჩენილობა შლის ჩვენს წინაშე უდიდეს შესაძლებლობას იმისა, რომ დიდი მიღწევანი იქნას მიღებული რაციონალიზაციის დარგში არსებულ საწარმოო საფუძველზე. აქეთკენ უნდა იყოს მიპყრობილი სამეურნეო მუშაკებისა და მუშათა აქტიური ფენების ყურადღება.

მეორე უმთავრესი მიღწევა, რომლითაც შეიძლება დასახული ამოცანის შესრულება მდგომარეობს იმაში, რომ გაუმჯობესებულ იქნას მთელი მეურნეობის ორგანიზაცია და სამეურნეო-ურთიერთობათა სისტემა, გაუმჯობესებულ იქნას მთელი ჩვენი მუშაობის ხარისხი. გაუმჯობესების ობიექტები ჩვენ ჯერ კიდევ ბლომად გვაქვს: მომჭირნეობის რეჟიმის ნამდვილი და არა ფიქტიური გატარება, საადმინისტრაციო ზედნართი ხარჯების შემცირება, მუშებისა და ტეხნიკურ პერსონალის კვალიფიკაციის აწევა, შრომის ნაყოფიერების გაძლიერება, შინაური რესურსების მობილიზაცია, მარაგის გეგმიანი განაწილება, ბრძოლა უყაირათობასთან, დაუდევრობასთან, უპასუხისმგებლობასთან და სხ. ყველა ეს საკითხები მთლიანად შეადგენენ მეურნეობის ორგანიზაციის გაუმჯობესების საერთო პრობლემას, რასაკვირველია, არა მარტო წარმოებაში, არამედ მმართველობის და საქონლის ბრუნვის დარგშიაც. ამ პრობლემასთან არიან ამჟამად დაკავშირებული ის წინასწარი პირობები, რომლებზედაც არის დამოკიდებული საქონლის თვითღირებულების შემცირების შესაძლებლობა და ჩვენი წინსვლა და წარმატებანი სოციალისტური აღმშენებლობის საქმეში. საჭიროა პარტიული, პროფესიონალური და სამეურნეო ორგანიზაციების მაქსიმალური ენერგიის გამოჩენა იმისათვის, რომ შესრულებულ იქნას ჩვენი აღმშენებლობის ზემოხსენებული მორიგი ამოცანები. ამ ამოცანების სწორი შეგნება და დროული დასმა პროლეტარული საზოგადოებრიობის წინაშე მათი წარმატებით გადაწყვეტის საწინდარია.

მოსკოვი, 2 დეკემბერი.

ვანსიანი

(წერილი ინგლისიდან)

„ყველაზე დიდი გმირობა, ინგლისის ფლოტის მიერ ჩადენილი ზებრუგის შემდეგ".—ამგვარად ახასიათებს ლონდონის ცნობილი ჟურნალი „ძხი ილიუსტრეიდ ლონდონ ნიუს" ვანსიანისათვის ყუმბარების დაშენას.

1926 წ. 5 სექტემბერს, ნაშუადღევის 4 საათზე, ქალაქ ვანსიანის (ნავთსადგური ზემო იანცზე, სეჩუანის პროვინცია ჩინეთში) უდანაშაულო მშვიდობიანი მოსახლეობა მოულოდნელად მოექცა ინგლისელ ნაღმოსნების: „კოკშეფერი"-ს და „ვიდჟონი"-ს და შეიარაღებულ ინგლისური სავაჭრო გემის „კიავო"-ს ცეცხლის ქვეშ, მაშინ როდესაც საფრანგეთის ნაღმოსანი, „დუდარტი დე ლაგრე" ლონდონის ჟურნალის თქმით დაესწრო ამ ბოროტმოქმედებას, როგორც „დაინტერესებული მაყურებელი".

ხუთჯერ, სამი თვის განმავლობაში, ინგლისის გემებმა, ჩასძირეს ზემო ცზიანზე ჩინელების „ჯონკები" (ფელუკები) მეზღვაურებით და ტვირთით. 29 აგვისტოს ვანლიუმ ჩასძირა ორი ფელუკა, რომელსაც გადაჰყავდა 58 ოფიცერი და ჯარისკაცი უანსენის არმიისა და დატვირთული იყო 85.000 მექსიკანური დოლარით.

ყოველგვარი მიმართვა და ხვეწნა ჩინეთის ხელისუფლებისა უყურადღებოდ დარჩა და შეურაცყოფას ბოლო არ მოეღო.

ვანსიანში მოსულმა ვანლიუმ ადგილობრივ ხელისუფლების თხოვნაზე გამოძიების დანიშვნის შესახებ უპასუხა ყუმბარების დაშენით „კოკშაფერიდან". მოკლულ იქნა ორი ჩინელი ჯარისკაცი; მაგრამ არც ერთი თოფი არ ყოფილა გასროლილი საპროვოკაციო სროლის საპასუხოთ. პირიქით ადგილობრივ ხელისუფლებამ გამართა მოლაპარაკება დავის მშვიდობიანათ დასამთავრებლად; საკითხის გადაწყვეტამდის კი დაკავებული იქნა „ბატერფილდის და სუირის" კომპანიის კუთვნილი ორი გემი, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს სროლაში. მოლაპარაკება უკვე დაწყებული იყო, როცა 5 სექტემბერს, სავსებით მოულოდნელად ინგლისის ნაღმოსნებმა ატეხეს ქალაქს გამანადგურებელი სროლა დაკავებულ გემების წართმევის მიზნით.

მოსახლეობა მოექცა გამანადგურებელ ცეცხლში, ყუმბარები სკდებოდა ქალაქის ყველა უბნებში.

„გმირული" იერიში მოულოდნელი იყო. ბოლოს ის მოგერიებულ იქნა უანსენის არმიის ჯარისკაცების მიერ.

მაგრამ ზარალი, ნაღმოსნების ცეცხლით მიყენებული, აურაცხელია. რამოდენიმე ათასი მშვიდობიანი მოქალაქე იქნა დამწვარი ყუმბარების ცეცხლით. ქალაქის სავაჭრო ცენტრი განადგურებულ იქნა. ინგლისურმა ჟურნალებმა განაცხადეს, რომ ზარალი უმნიშვნელოაო. სინამდვილეში კი ზარალი მილიონობით აღირიცხება. დაინგრა მრავალი შენობა, განადგურებას ვერ გადაურჩა თვით ფრანგების კათოლიკური ეკლესია.

ის ყველაზე უფრო სისხლის მღვრელი დანაშაულია, ინგლისელ ფლოტის მიერ ჩადენილი ქვემო-ჩინეთის წყლებში, ამბობს, ერთი წერილი ვანსიანიდან (4 ოქტომბერი) მას ხელს აწერს ჰ. ა. სონგი, ვანსიენის ოლქის საბჭოს თავმჯდომარე, მ. კ. იანგი, განათლების კავშირის თავმჯდომარე, ა. კ. პან, სოფლის მეურნეთა კავშირის თავმჯდომარე, ლუნ პენგ-ლიუ, სავაჭრო პალატის თავმჯდომარე, და იუ-სუ-პო სახალხო თავდაცვის ლიგის თავმჯდომარე; ეს წერილი მიმართავს მთელი ქვეყნის მეგობარ ერებს: „თუ ოდესმე ისტორიას ახსოვს „ბარბაროსობა და ვანდალიზმი" ინგლისელმა ოფიცრებმა უსათუოდ სცადეს მისი განმეორება თუ კაცთმოყვარეობას კიდევ აქვს გასავალი ჩვენს სამყაროში, ჩვენი მოწოდება უთუოდ ჰპოვებს გამოძახილს კაცობრიობის სინიდისში. ჩვენ არ შეუშინდებით უკიდურეს ზომებს, თუ ჩვენ ამას გვაიძულებენ. ჩვენ არ დაეთანხმდებით არც ერთ გადაწყვეტილებაზე, რომელიც კი ერთხელ და სამუდამოდ არ განკურნავს ჩვენ საზოგადოებრივ გრძნობისათვის მიყენებულ იარებს. ჩვენ მოგიწოდებთ თქვენ და ვიმედოვნებთ, რომ თქვენ განსაკუთრებით მხარს დაგვიჭერთ ჩვენ მიერ წამოყენებულ, შორეულ აღმოსავლეთში მშვიდობიანობის დამყარების საქმეში. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ თქვენ მხარს დაუჭერთ ინტერნაციონალურ თანასწორობის პრინციპებს, რაც შეადგენს აუცილებელ საფუძველს მტკიცე მშვიდობიანობისათვის".

კ. დავიდ.

ლონდონი 20 ნოემბერი 1926 წ.

საბჭოთა პრესა

გეგმიანობა მშენებლობაში

წინეთ, სამეურნეო გეგმების შედგენის დროს, ჩვენი საზომი უმთავრესად იყო მეურნეობის ომამდე არსებული დონე. დღეს ამ დონეს საერთოთ გადავაცილეთ და ჩვენს წინაშე ახალი მიზნებია გადაშლილი. სახელდობრ — ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია წარმოადგენს სოციალისტური მშენებლობის ძირითად ლოზუნგს. ამ ლოზუნგმა უნდა განსაზღვროს ჩვენი პერსპექტიულ და სამუშაო გეგმების შინაარსი. **„იზვესტია"** ამაზე ამბობს:

„ხუთწლიანმა გეგმამ, ერთი მხრივ მოთხოვნილებათა აღნუსხვისა და მათი შედარებითი მნიშვნელობის გათვალისწინების, მეორე მხრივ — ჩვენი რესურსების და მათი გაშლის ფიზიკური შეფასების ნიადაგზე, უნდა დასახოს ის საფეხური ინდუსტრიალიზაციის საქმეში, რომელიც უნდა იქნეს განვლილი უახლოესი ხუთი წლის განმავლობაში. სავსებით ცხადია, რომ ამოცანებმა, რომლებიც დასმულია ხუთწლიანი პერიოდისათვის, უნდა ჰპოვონ გამოხატულება იმ სამეურნეო პროგრამებშიც, რომლებიც თვითეულ წლისათვის მუშავდებიან: უნდა დაისვან თავისი ბეჭედი უკვე მიმდინარე სამეურნეო წლის გეგმების და მოსაზრებებს".

იყო დრო, როცა ჩვენ ვახერხებდით რეალურ საკვარტალო გეგმის შედგენასაც კი: იმდენად მერყევი იყო ქვეყნის სამეურნეო მდგომარეობა. მას შემდეგ სახალხო მეურნეობა შეუდარებლად აღორძინდა და საგეგმო მუშაობის დარგშიც უდიდესი ნაბიჯები გადავდგით წინ.

„მაგრამ—წერს გაზეთი,—თვით ეკონომიურ დამოკიდებულებათა გეგმიანობის ზრდა ჩვენ უდიდეს პასუხისმგებლობას გვაკისრებს. ეხლა ის დრო არ არის, როცა ჩვენ ვამბობდით: „მთელი ძალღონე ტრანსპორტის მოწესრიგებას" ან „მთელი ძალღონე სათბობის მომარაგებას". ეხლა მრეწველობის სხვადასხვა დარგები (ტრანსპორტის ჩათვლით) უნდა განვითარდენ ერთმანეთთან სრული შეფარდებით, სასტიკი ჰარმონიით... ჩვენ განსაკუთრებული სიფრთხილე უნდა გამოვიჩინოთ ხუთწლიან სამეურნეო და საამშენებლო გეგმების გამომუშავების დროს. იმ ობიექტებიდან, რომელნიც მოითხოვენ ძირითად კაპიტალის მსხვილ ხარჯებს, ჩვენ შედარებით ცოტა უნდა ავირჩიოთ. მთელი ანგარიშები ჩვენ ისე უნდა ავაგოთ, რომ რაკი ამა თუ იმ მშენებლობას დავიწყებთ, მისი უმოკლეს დროში დამთავრებისათვის გვეყოს საკუთარი საშუალებები: წინააღმდეგ შემთხვევაში უკვე დახარჯული საშუალებები აღმოჩნდება უბრალოდ დაბანდებულ მკვდარ კაპიტალად. ჩვენ უნდა ავირჩიოთ ისეთი ობიექტები, რომლებიც მშენებლობის დასრულების შემდეგ ჩქარა მოგვცემენ მსხვილ ეკონომიურ ეფექტს და მნიშვნელოვანი მონაპოვარი იქნებიან საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაციისათვის".

ამნაირად, საგეგმო მუშაობაში მთავარი გამოსავალი წერტილი უნდა იყოს ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ლოზუნგი. ამასთან განსაკუთრებული სიფრთხილე უნდა გამოვიჩინოთ მშენებლობისათვის საჭირო რეალურ საშუალებათა სისწორით აღნუსხვის საქმეში. გეგმიანობა სოციალისტური მეურნეობის ერთი უმთავრესი პირობათაგანია და მისი რაც შეიძლება ფართოთ და მიზანშეწონილად განხორციელებისათვის [illegible] უნდა გავაძლიერ[illegible]

უკანასკნელი ცნობები

ჰაეროპლანების დაღუპვა

სტოკჰოლმი, 2 დეკემბ. გალმელოტში აეროდრომზე 500 მეტრის სიმაღლეზე 2 სამხედრო ჰაეროპლანი დაეტაკა ერთი მეორეს. ერთი აპარატი დაიმსხვრა. (ადს).

ანტიფაშისტების გადასახლება

რომი, 2 დეკემბ. მთავრობის დადგენილებით, იტალიის საზღვრებიდან გადასახლებულია 522 კაცი ანტიფაშისტური მუშაობის წარმოებისათვის. (ადს)

კომუნისტების გასამართლება

კოვნო, 2 დეკემბ. დღეს, ლიტვის სასამართლოში დაიწყო 17 კომუნისტის გასამართლება. მათ ბრალი ედებათ დემონსტრაციის მოწყობა. (ადს).

დაპატიმრებანი სირიაში

ანგორა, 2 დეკემბ. ის პირნი, ვინც სირიაში მიიღო ოსმალეთის ქვეშევრდომობა, დაპატიმრებულ იქნენ ფრანგების მიერ. (ადს).

შეკითხვა ჩემბერლენს

ლონდონი, 2 დეკემბერი. თემთა პალატაში ჩემბერლენს შეეკითხნენ—იცის თუ არა მან ვინ იქნება ლონდონში დანიშნული კრასინის მაგივრათ. ჩემბერლენმა უარყოფით უპასუხა. (ადს).

მომგებიანი სესხის ტირაჟი

მოსკოვი, 2 დეკემბ. გათამაშეს მომგებიანი სესხის ტირაჟი. გათამაშებულია 200, 300, 1000, 10.000 25.000, 50.000 და 100.000 მან. ბი-

საბჭოთა სურათები

ლენინგრადი, 2 დეკემბერი. სტოკჰოლმიდან ლენინგრადში ჩამოიტანეს რუსეთის მხატვართა სურათები, რომლებიც იყო ზღვაში დაღუპულ გემ „ბალტიკზე". (ადს).

პროფკავშირების კონფერენცია

ლენინგრადი, 2 დეკემბერი. დღეს გაიხსნა ჩრდილოეთ-დასავლეთის პროფკავშირთა მეხუთე კონფერენცია, რომელსაც დაესწრო 200 მეტი დელეგატები. (ადს).

ამხ. ჩიჩერინი საზღვარგარეთ

ვენა, 1 დეკემბერი. სამხრეთ-სლავიის პრესა დიდ თვალყურს ადევნებს ჩიჩერინის მგზავრობას. **ხორვატელ კაპიტალისტების ორგანო „ობზორ"-ი მოითხოვს დიპლომატიური კავშირის განახლებას საბჭოთა კავშირთან.**

„სამხრეთ-სლავია,—სწერს გაზეთი,—არაფერს იგებს თავის ანტისაბჭოთა პოზიციით, პირიქით—აგებს კიდეც. პოზიცია, რომელსაც ადგია სამხრეთ-სლავიის მთავრობა საბჭოთა კავშირის მიმართ,—არის დიდი სახელმწიფოებრივი შეცდომა". (ადს).

გერმანიის მშრომელთა კონგრესი

კონგრესის დღის წესრიგი

ბერლინი, 2 დეკემბერი. გერმანიის მშრომელთა კონგრესის მომწვევმა კომიტეტმა პლენარულ სხდომაზე ერთხმად დაამტკიცა კომიტეტის ბიუროს მიერ წარდგენილი კონგრესის დღის წესრიგი. კონგრესი 3, 4 და 5 დეკემბერს შესდგება ბერლინში. კონგრესის დღის წესრიგი შემდეგი მუხლებისაგან შესდგება: 1) გახსნა: გეორგ ლედებურისა და ფრიც გეკერტის სიტყვებით; 2) პრეზიდიუმისა და კომისიების არჩევა; 3) მოხსენება სამხედრო საფრთხისა, რაციონალიზაციის კრიზისისა და მშრომელთა ბრძოლის შესახებ, მომხსენებელი გეკერტი, კონგრესის მომწვევი კომიტეტის თავმჯდომარე; 4) მოხსენება მომუშავე მუშებისა და უმუშევართა შეთანხმებულად ბრძოლის შესახებ. მომხსენებლები — ვილი იოზეფ, უმუშევართა კომიტეტის თავმჯდომარე ფრანკფურტში, და ფაბზავკომების წარმომადგენლები; 5) მოხსენება ყოფილ მეფის საგვარეულო ქონებათა უფასოდ ჩამორთმევისათვის ბრძოლის შესახებ. მომხსენებელი ტეოდორ ნეიბაუერი; 6) მოხსენება კლასიური მართლმსაჯულების შესახებ გერმანიაში, მომხსენებელი ნაფიცი მსაჯული პრეისი; 7) მოხსენება მშრომელთა საშუალო წოდების და ღარიბი გლეხობის გაჭირვებული მდგომარეობის შესახებ, მომხსენებელი ვილჰელმ კენენი და რიხარდ ბორგი—გერმანიის მცირე მიწის მქონე გლეხთა კავშირის თავმჯდომარე; 8) მოხსენება საგადასახადო პოლიტიკისა, ვალორიზაციისა და საბინაო საკითხის შესახებ, მომხსენებელი ემილ გელვინი; 9) მოხსენება მასიური უმუშევრობის შესახებ. მომხსენებელი კლაუზერი; 10) მოხსენება საორგანიზაციო ამოცანების შესახებ; 11) გერმანიის მშრომელთა კომიტეტის არჩევა.

ყოველი მოხსენების შესახებ გაიმართება კამათი და გამოტანილ იქნება რეზოლიუციები.

კონგრესის უკანასკნელ დღეს — კვირას, 5 დეკემბერს, ნაშუადღევის 4½ საათზე მოხდება ბერლინის მშრომელთა მასიური დემონსტრაცია, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ კონგრესის ყველა დელეგატები. იმავე დღეს სალამოთი მოხდება კონგრესის საზეიმო დახურვა.

მარშალის რესპუბლიკაში

„სოციალისტები" ოპოზიციაში

ვარშავა, 1 დეკემბერი. პოლონეთის სოც. პარტიის წევრმა პრაგერმა სეიმის საბიუჯეტო კომისიაში სასტიკათ გააკრიტიკა იუსტიციის მინისტრი მეიშტოვიჩი და საერთოდ მთელი მთავრობის მოქმედება. შეეხო რა პოლიტიკურ პატიმართა მდგომარეობას, პრაგერმა განაცხადა, რომ მეიშტოვიჩმა მეფის რეჟიმის დროს გვირგვინით შემკო ვილნოში გახსნილი ეკატერინე მეორის ძეგლი, რაც პოლონეთის საზოგადოებრიობის თვალსაზრისით პოლიტიკური ბოროტმოქმედება იყო. პრაგერის სასტიკი თავდასხმის გამო, მეიშტოვიჩი იძულებული შეიქნა დაეტოვებია სხდომის დარბაზი. (ადს).

სეიმი და მთავრობა

ვარშავა, 1 დეკემბერი. მიუხედავათ სეიმის მოთხოვნილებისა, გარეშე საქმეთა მინისტრი ზალესკი არ გამოვიდა საგარეო საქმეთა კომისიაში მოხსენებით ერთა ლიგის საბჭოს დეკემბრის სესიასთან დაკავშირებულ საკითხების შესახებ. (ადს).

ბრძოლა ამნისტიისათვის

ვარშავა, 1 დეკემბერი. ამნისტიისათვის მებრძოლი კომიტეტის სხდომამ, ინგლისის მუშათა პარტიის წარმომადგენლის ბეკეტისა და შეპერდის მონაწილეობით, დაადგინა გაუგზავნოს მისალმება ციხეში მყოფ კომუნისტ-დეპუტატ ლანცუცკის, ბელორუსულ დეპუტატს ბარანს და დამოუკიდებელი სოციალისტური პარტიის წევრს კრუკს. (ადს).

მემაღაროეთა გაფიცვა

კემბერლენდის რაიონებში

ლონდონი, 1 დეკემბერი. სამხრეთ უელსის სამთამადნო მუშათა ფედერაციამ ხელი მოაწერა შეთანხმებას მაღაროს მეპატრონეებთან. ამ რაიონის მემაღაროები 1 დეკემბერს განაახლებენ მუშაობას. **დერგეიმში რეფერენდუმის შემდეგ მაღაროს მეპატრონეების პირობები უარყოფილ იქნა 8.634 ხმით.** დერგეიმის სამთამადნო მუშების რაიონულ ფედერაციის აღმასკომმა დაადგინა წინადადება მისცეს მემაღაროებს დაუყოვნებლივ განაახლონ მუშაობა, რადგან მემაღაროების პირობების წინააღმდეგ მიცემულ იქნა ხმების ორი მესამედზე ნაკლები. **მუშაობა ჯერ-ჯერობით მხოლოდ კემბერლენდის რაიონში არ არის განახლებული.** (ადს).

სისინეზენ

ლონდონი, 2 დეკემბერი. „დეილი მეილის" პოლიტიკური კორესპონდენტი იუწყება, რომ თემთა პალატის 200 კონსერვატიულმა წევრმა ხელი მოაწერეს პეტიციას ბოლდუინის მიმართ, რომლითაც ისინი მოითხოვენ, რომ აღარ იქნას მიღებული ლონდონში საბჭოთა კავშირის ახალი წარმომადგენელი იმ დრომდე, „სანამ საბჭოთა მთავრობა არ მოგვცემს ახალ გარანტიებს იმაზე, რომ ის შესწყვეტს მტრულ პროპაგანდას ინგლისის წინააღმდეგ და სანამ მისი კეთილსაიმედობა ამ მხრივ არ იქნება შემოწმებული რამდენიმე ხნის განმავლობაში". (ადს).

საბერძნეთის მთავრობა

ათინა, 1 დეკემბერი. ვინაიდან პარტიების ბელადებს შორის მიღწეულია შეთანხმება ახალი მთავრობის შემადგენლობის შესახებ, **კონდილისის მთავრობა გადადგა.** ახალი კაბინეტის პრემიერად ასახელებენ **ზაიმისს**, გარეშე საქმეთა მინისტრად **მიხალოკოპულოს**. საბოლოოდ კაბინეტი კვირის ბოლოში ჩამოყალიბდება. (ადს).

ფრანგები სირიაში

ანგორა, 2 დეკემბერი. მიღებული ცნობებით, ალეპოში (ქალაქია სირიაში) ჩასვლისას საფრანგეთის უმაღლეს კომისარს ჟუვენელს, მოსახლეობის წარმომადგენლებმა წარმოუდგინეს შემდეგი მოთხოვნილებანი: **ეროვნული მთავრობა, სირიის მთლიანობა, პოლიტიკურ დამნაშავეთა საერთო ამნისტია, თავისუფლება სიტყვის, პრესის და პროფესიონალური კავშირის.** (ადს).

კუნძულ ჰერალდზე

მოსკოვი, 2 დეკემბ. საგარეო საქმეთა კომისარიატში მოტანილია აქტის ტექსტი შორეულ აღმოსავლეთის პოლარული ექსპედიციის მიერ, კუნძულ ჰერალდზე საბჭოთა დროშის პირველათ აღმართვის შესახებ. ამ აქტით დასტურდება საბჭოთა კავშირის სუვერენიტეტი დასახელებულ კუნძულზე, თანახმათ 1924 წლის ნოემბერში საბჭოთა მთავრობის მიერ უცხოეთის სახელმწიფოების მიმართ გაგზავნილი ნოტისა, რომელშიაც მოხსენებულია, რომ ციმბირის მატერიკის გაგრძელების გზით მდებარე კუნძულები ეკუთვნის საბჭოთა მთავრობას. (ადს).

ვის ემსახურებოდა პენლევე

პარიზი, 2 დეკემბერი. კომუნისტური გაზეთი „ჰუმანიტე" ეკითხება პენლევეს მართალი არის თუ არა, რომ 1925 წლის ივნისში რიჩიოტი გარიბალდიმ მიმართა მას თხოვნით ეშუამდგომლებია საფრანგეთის მთავრობის წინაშე, რათა უკანასკნელს გაეღო თანხა გარიბალდიელთა ლეგიის შესაქმნელად, რომ გარიბალდის თხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილებულ იქნა, რომ ყოფილი მემარცხენე ბლოკის მოღვაწეებს ეშინიათ არ გამომჟღავნოს ეს საქმე გარიბალდიმ. (ადს).

ხანძარი იაპონიაში

ტოკიო, 1 დეკემბერი. ხანძარმა გაანადგურა იაპონიაში მარიონეტკების ერთად - ერთი თეატრი. დაიწვა ყველა დედოფალები, რომელნიც ხელოვნების შედევრს წარმოადგენდენ და რომელთა მსგავსს, ბევრის აზრით, ეხლანდელი ხელოვნები ვერ შექმნიან. ხანძარი გამოიწვია თამბაქოს მწეველთა გაუფრთხილებლობამ. ზარალი 1 მილიონ ოქროს იენამდე აღწევს. (ადს).

„ჯავშნოსანი პოტიომკინი"

ბერლინი, 1 დეკემბერი. სოც. დემოკრატმა **კრისპენმა** შეიტანა შეკითხვა ფილმი „ჯავშნოსანი პოტიომკინი"-ს აკრძალვის შესახებ ბავარიაში და ვიურტემბერგში, მიუხედავათ იმისა, რომ ცენზურის მთავარმა კომიტეტმა შესაძლოთ სცნო მისი დადგმა მთელს გერმანიაში. შინაგან საქმეთა მინისტრმა კიულცმა განაცხადა, რომ მას არ შეუძლია საბოლოო პასუხის გასცეს შეკითხვაზე, სანამ ვიურტემბერგის მთავრობა არ წარმოადგენს საჭირო ცნობებს. კომუნისტების განცხადებაზე, რომ ფილმის აკრძალვა ბავარიაში არღვევს კონსტიტუციას, კიულცმა უპასუხა, რომ ბავარიაში საერთო აკრძალვას ადგილი არ ქონია. იყო მხოლოდ პოლიციის მიერ ფილმის აკრძალვის ცალკე შემთხვევები. (ადს).

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

ამხ. რუხიმოვიჩის დანიშვნა

მოსკოვი, 2 დეკემბერი. საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ გამოაქვეყნა ბრძანება ამხ. ტროცკის განთავისუფლების შესახებ „დნეპროსტროის" საგეგმო კომისიის თავმჯდომარის მოვალეობიდან. მისი პირადი თხოვნის გამო. ამავე ბრძანებით ამ თანამდებობაზე დანიშნულია საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. რუხიმოვიჩი. (ადს).

რკინისგზელთა შორის

მოსკოვი, 2 დეკემბერი. **გაიხსნა რკინისგზელთა კავშირის ცეკას პლენუმი.** პლენუმის პირველ სხდომაზე მოსმენილ იქნა მოხსენება ტრანსპორტზე სასკოლო საქმის დაყენების შესახებ. (ადს).

მელითონეთა კონფერენცია

მოსკოვი, 2 დეკემბერი. **2 დეკემბერს მოსკოვში გაიხსნა მელითონეთა სრულიად საკავშირო კონფერენცია.** კონფერენციას 200 მეტი დელეგატი ესწრება. მელითონეთა კავშირის ცეკას თავმჯდომარემ ამხ. **ლეპსემ** თავის მოხსენებაში აღნიშნა, რომ შესამჩნევად გაიზარდა მელითონეთა კავშირის წევრთა რიცხვი. (ადს).

აბრეშუმის მრეწველობა

მოსკოვი, 2 დეკემბერი. საკავშირო ს. მ. უ. საბჭოს მთავარ საფეიქრო ტრესტის გამგეობამ შეიმუშავა და სამრეწველო საგეგმო კომისიას წარუდგინა საფეიქრო მრეწველობის მუშაობის გაერთიანებული სამრეწველო საფინანსო გეგმა 1927 წლისათვის. 1927 წელს პარკის მოსავალი ნავარაუდევია 691.000 ფუთი, გამხმარი პარკი 1927 წელს შეადგენს 220.000 ფუთს. აბრეშუმის თესლი 1926—27 წელს დამზადებულ იქნება 173 პროცენტით მეტი წარსულ წელთან შედარებით. პროდუქციის გასაღება ნავარაუდევია 57 მილ. მანეთის რაოდენობით. მოგება ნავარაუდევია 7.300.000 მანეთიდან 10.000.000 მანეთამდე.

მუშების საერთო რაოდენობა დამამუშავებელ მრეწველობაში გადიდებული იქნება 40 პროცენტით. სპეციალური ხარჯები აღწევს 3 მილ. მანეთამდე, მათ რიცხვში 1.200.000 მანეთი მიეცემა აბრეშუმის ტრესტს. (ადს).

1,000,000 მანეთი კოოპერაციას

მოსკოვი, 2 დეკემბერი. **საკავშირო კოოპერატიულ ბანკის გამგეობამ დაადგინა 1 მილიონი მანეთი მისცეს კოოპრაც-ის პროდუქტების დამზადების ოპერაციებისათვის.** (ადს).

ა. ლ. კომკავშირის ცეკამ გადასდო საანგარიშო კამპანია

მოსკოვი, 2 დეკემბერი. საკავ. ა. ლ. კომკავშირის ცეკამ დაადგინა თავისი საანგარიშო კამპანია გადაიტანოს იანვრისა და თებერვლისათვის და მისი ჩატარება დაუკავშიროს მორიგ საგუბერნიო და საოლქო კონფერენციებს. ცეკა საკ. ა. ლ. კომკავშირის რესპუბლიკების ცენტრალურ კომიტეტებს ურჩევს მახლობელ პლენუმებზე ცეკას ანგარიში შესცვალონ საკითხით ცეკას მე-3-ე პლენუმის მუშაობის შესახებ. (ადს).

კონცესიონერებს უარი უთხრეს

მოსკოვი, 2 დეკემბერი. „მოლოგალეს"-ის კონცესიონერებმა წინადადება მისცეს მშენებელთა კავშირის ცეკას, რომ ერთი საერთო ხელშეკრულება იქნეს დადებული კონცესიონერებსა და რამოდენიმე პროფკავშირის ცენტრალურ კომიტეტებს შორის. **მშენებელთა კავშირის პრეზიდიუმმა ეს წინადადება მიუღებლად სცნო,** ვინაიდან საერთო ხელშეკრულებაში შეუძლებელია წარმოების ყველა თავისებურ პირობების გათვალისწინება. ცალკე ხელშეკრულების დადება მშენებელ მუშებთან 1927 წლის გაზაფხულამდე გადაიდო. (ადს).

მხატვრული კულტურის ინსტიტუტი

მოსკოვი, 2 დეკემბერი. **დაარსდა მხატვრული კულტურის ინსტიტუტი.** ინსტიტუტს აქვს სამეცნიერო, ხუროთმოძღვრების და ექსპერიმენტალურ-საწარმოო განყოფილებები. (ადს).

ზვავი ალტაიზე

მოსკოვი, 2 დეკემბერი. უკანასკნელ დღეებში ალტაის რკინისგზაზე ჩამოწვა ზვავი, რის გამო მატარებლების რეგულიარული მიმოსვლა შეწყდა. ზვავის სიმაღლე საჟენს აღემატება (ადს).

ახალი სესხის პირველი ტირაჟი

მოსკოვი, 2 დეკემბერი. **გუშინ მოსკოვში დაიწყო 1926 წლის სახელმწიფო სესხის მოგებათა ტირაჟის გათამაშება.** ტირაჟი ჩვეულებრივი ტეხნიკური წესით იწარმოებს. (ადს).

ფასების დაკლება კოოპერაციაში

მოსკოვი, 2 დეკემბერი. ცენტროკავშირის სესიამ მოისმინა მოხსენებები ცენტროკავშირის სავაჭრო საფინანსო გეგმის და ფასების დაკლების შესახებ. მოხსენებებში აღნიშნული იყო, რომ ცენტროკავშირის სავაჭრო - საფინანსო გეგმა 1926—27 წელს გულისხმობს ბრუნვის გადიდებას 46 პროც. წარსულ წელთან შედარებით. შრომის და თავდაცვის დირექტივა ფასების 10 პროცენტით შემცირების შესახებ სამომხმარებლო კოოპერაციის მიერ არ ყოფილა შესრულებული. **ზოგიერთი საქონლის ფასები შემცირებულ იქნა 8,5 და 2 პროცენტით.** ზოგიერთის უცვლელი დარჩა, ხოლო ნაწილი საქონლისა გაძვირდა კიდეც. (ადს)

მუშების ხმა

მოსკოვი, 2 დეკემბერი. ჩეხო-სლოვაკიის მუშა ქიმიკოსების რევოლიუციონურმა კავშირმა, რომელმაც ამას წინად გადაიხადა თავისი არსებობის 30 წლის იუბილე, საბჭოთა კავშირის ქიმიკოსებს გამოუგზავნა დეპეშა საბჭოთა ქიმიკოსების მიერ გაგზავნილ მისალმებების საპასუხოდ.

„ჩვენ ვარწმუნებთ საბჭოთა კავშირის ყველა ქიმიკოს მუშებს, ნათქვამია დეპეშაში, რომ ჩვენი ორგანიზაცია მზად არის მომავალშიაც მიიღოს მონაწილეობა რევოლიუციონურ ბრძოლაში კაპიტალისტურ წყობილების წინააღმდეგ. (ადს).

უკრაინა

სოფლების ელექტროფიკაცია

ხარკოვი, 2 დეკემბერი. უკრაინის მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატმა დაამტკიცა უკრაინის სოფლების საელექტროფიკაციო ხუთწლიური გეგმა. **ხუთი წლის განმავლობაში ამ გეგმით უნდა აშენდეს 150 სასოფლო ელექტრო სადგური, 24.000 კილოვატის საერთო სიმძლავრით.** ამ ელექტრო-სადგურების აგებაზე დაიხარჯება 200.000.000 მანეთი. (ადს).

ბრძოლა უბედურ შემთხვევებთან

არტემოვსკი, 2 დეკემბერი. გორლოვის სამთო სამმართველომ, უბედურ შემთხვევების თავიდან ასაცილებლად, რასაც იწვევს მუშების თავზე დაცემული მადნის ან ნახშირის ბელტები, გადასწყვიტა ტყავის ქუდები დაურიგოს მემაღაროელებს. მემაღაროელთათვის მიღებულია 400 ასეთი ქუდი. ახლო ხანში კიდევ მიღებულ იქნება 600 ასეთი ქუდი. სექტემბრიდან, როცა მუშებს დაურიგეს ასეთი ქუდები, არც ერთ უბედურ შემთხვევას არ ჰქონდა ადგილი. (ადს).

ბრძოლა უმუშევრობასთან

მოსკოვი, 2 დეკემბერი. საბჭოთა კავშირის შრომის სახალხო კომისარმა ამხ. **შმიდტმა** მუშა-მშენებლების საკავშირო ყრილობაზე მოხსენება გააკეთა უმუშევრობის შესახებ.

საბჭოთა კავშირში, აღნიშნა მომხსენებელმა, ამჟამად 1,023,000 უმუშევარი მოიპოება. მათ უმრავლესობას არაკვალიფიციური და მცირე კვალიფიკაციის მქონე ჯგუფები შეადგენენ. მომხსენებელმა ჩამოთვალა ძირითადი ღონისძიებანი უმუშევრობის წინააღმდეგ ბრძოლისათვის, რომელთა გატარება მიზნად აქვთ დასახული საკავშირო ცენტრალურ პროფსაბჭოს და საბჭოთა კავშირის შრომის სახალხო კომისარიატს. (ადს).

საბინაო აღმშენებლობის ზრდა

მოსკოვი, 2 დეკემბერი. შრომის და თავდაცვის საბჭომ მოისმინა მუშათა ბინების კოოპერატიულ აღმშენებლობის ხელის შემწყობ კომიტეტის თავმჯდომარის შრომის სახ. კომისარის ამხ. **შმიდტის** საანგარიშო მოხსენება 1925—26 წლის საბინაო აღმშენებლობის გეგმის შესრულების და 1926—27 წლის საბინაო აღმშენებლობის გეგმის შესახებ. შმიდტმა განაცხადა, რომ, როგორც საანგარიშო ცნობებიდან სჩანს, 1924—25 წლის განმავლობაში მთელს საბჭოთა კავშირში საბინაო აღმშენებლობაზე დაიხარჯა 126.800.000 მან. ამ თანხით აგებულ იქნა 6.006 სახლი სივრცით 188.198 კაცისთვის. 1925—26 წლის საამშენებლო პროგრამა განსაზღვრული იყო 248 მილ. მანეთის რაოდენობით ამ თანხით უნდა აგებული 1.400.000 კუბ. საჟენი 282.567 კაცის დასაკმაყოფილებლად.

1926—27 წლის საბინაო აღმშენებლობის გეგმის წინასწარ დასამუშავებლად და აგრეთვე ამ აღმშენებლობისათვის ფინანსების მიწოდების გეგმის განსახილველად შრომის და თავდაცვის საბჭომ გამოჰყო კომისია **შმიდტის, ბერნადსკის და სწურგისის** მონაწილეობით. კომისიაში შედის აგრეთვე თითო წარმომადგენელი ს. მ. უ. საბჭოსგან, გზათა სახ. კომისარიატისაგან და განათლების სახ. კომისარიატისაგან. (ადს).

საბჭოების გადარჩევისათვის

მოსკოვი, 2 დეკემბ. საკავშირო ცაკის პრეზიდიუმმა მოკავშირე რესპუბლიკების ცაკებს მიმართა ცირკულიარული წერილით საბჭოების მორიგ არჩევნების ჩატარების შესახებ.

„დაწყებული საკავშირო საბჭოთა ყრილობის მოწვევის ვადის გამოცხადების მომენტიდან, — ნათქვამია წერილში,— მიღებულ უნდა იქნას ზომები საარჩევნო კომისიების შესადგენად და მათი სწორი მუშაობის სრულ უზრუნველსაყოფად, საბჭოების არჩევნების კონკრეტულ გეგმების გამოსამუშავებლად, საარჩევნო უფლებას მოკლებულ პირთა არსებული სიების შესამოწმებლად, პრესაში კამპანიის დასაწყებად, ამომრჩეველთა წინაშე საანგარიშო მოხსენებების ჩატარების საერთო გეგმის დასამუშავებლად, საარჩევნო მუშაობაში ადგილობრივი ორგანიზაციების ჩასაბმელად და ამომრჩეველთათვის **უწყებების ჩაბარების ტეხნიკის გასაუმჯობესებლად.**

საჭიროა აგრეთვე — აღნიშნავს ცაკის პრეზიდიუმი თავის წერილში — დამუშავდეს ადგილობრივ კამპანიის ჩასატარებლად მუშაკთა დაგზავნის გეგმა".

საკავშირო ცაკის პრეზიდიუმმა დაადგინა შეადგინოს საკავშირო ცენტრალური საარჩევნო კომისია ამხ. **ენუქიძის** თავმჯდომარეობით. (ადს).

საკავშირო აღწერის წინ

საალწერო კომისიის სხდომა

მოსკოვი, 2 დეკემბერი. საალწერო კომისიის სხდომას ოსინსკის თავმჯდომარეობით დაესწრნენ მოკავშირე რესპუბლიკებიდან თათბირზე ჩამოსული, ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოების კოლეგიის წევრები და მმართველები.

ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს საალწერო განყოფილების გამგის მოხსენებიდან გამოირკვა, რომ ცენტრში უკვე დასრულდა წინასწარ მოსამზადებელი მუშაობა აღწერისათვის.

კავშირის ევროპიულ ნაწილსა და ამიერ-კავკასიაში აღწერა დასრულდება და ჯამი გაკეთდება დანიშნულ დროისათვის, ხოლო შუა აზიის რესპუბლიკებში და იაკუტის ოლქში, ორგანიზაციული ხასიათის შეფერხებების გამო, აღწერის დასრულების ვადა გაგრძელდება კიდევ ერთი თვით, მომთაბარე მოსახლეობისათვის კი ორი თვით.

მთიან რაიონებში, სადაც გზები უკვე დაკეტილია, აღწერა ჩატარდება გაზაფხულზე და უფრო დაგვიანდება საერთო ჯამის მიღება ასეთ რაიონებიდან.

უკვე დასრულდა მოსახლეობის აღწერა ჩრდილოეთ ყინულოვან ოკეანეს კუნძულებზე (ახალი მიწა, კოლგუევი, ვაიგაჩი, მორჟევეცი) და, აგრეთვე, ყველა შუქურებზე ჩრდილოეთ ყინულოვან ოკეანეს და თეთრი ზღვის ნაპირებზე.

1926 წლის სრულიად საკავშირო აღწერისათვის გადადებულია 9.778.000 მანეთი. (ადს).

უპატრონოთა აღწერა

მოსკოვი, 2 დეკემბერი. ღამით 18 დეკემბერს ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს ორგანოები ჩაატარებენ იმ პირთა აღწერას, რომლებიც დროებით ან შემთხვევით ბინადრობენ ამა თუ იმ ადგილში და ცხოვრობენ ღამის გასათევ სახლებში, გომურებში და მათ მსგავს ადგილებში. სადაც შეუძლებელია ჩვეულებრივი აღწერის ჩატარება.

ასეთ პირთა ჯგუფს ეკუთვნიან, აგრეთვე უპატრონო და ქუჩის ბავშები.

ამის გამო განათლების სახალხო კომისარიატმა წინადადება მისცა ყველა მის ქვემდებარე ორგანოებს, რომლებმაც იციან უპატრონოთ თავშესაფარი ადგილები, ყოველმხრივი დახმარება აღმოუჩინონ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს ორგანოებს.

აღწერილი იქნებიან, აგრეთვე, ყველა არასრულწლოვანნი, რომელნიც აღწერის მომენტში ბინადრობენ **ღამის გასათევ** სახლებში. (ადს).

ამხ. ვოროშილოვის ბრძანება

მოსკოვი, 2 დეკემბ. გამოქვეყნდა სამხედრო საზღვაო სახალხო კომისრის და რევოლიუციონურ სამხედრო საბჭოს თავმჯდომარის ამხ. **ვოროშილოვის** ბრძანება.

„1-ლ დეკემბერს, ნათქვამია ბრძანებაში, ამხ. კრასინის წინაშე უკანასკნელი ვალის მოსახდელად, თავი მოიყარა მოსკოვის მრავალ ათასმა მშრომელმა. მშრომელთა მწყობრმა რიგებმა მიაცილეს გარდაცვლილის ნეშტი ბელორუს-ბალტიის რკინისგზის სადგურიდან წითელ მოედნამდე. მხოლოდ წითელ მოედანთან, პასუხისმგებელ პირთა დაუდევრობით, შეაჩერეს ეს მწყობრი რიგები და არ დაუშვეს წითელ მოედანზე. ამ განსაკუთრებით დაუშვებელ მოვლენას ყურადღება მიაქცია მუშურ - გლეხურმა მთავრობამ. ამიტომ მოსკოვის გარნიზონის უფროსს, მოსკოვის სამხედრო ოლქის ჯარების უფროსს ვაჩილევიჩს და ყველა პირთ, ვინც უშუალოდ ხელმძღვანელობდა ასეთ დაუშვებელ მოვლენას, ეცხადებათ სასტიკი საყვედური გაფრთხილებით". (ადს).

დახმარება სომხეთს

მოსკოვი, 2 დეკემბ. საკავშირო სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს სამრეწველო საგეგმო კომისიის პრეზიდიუმმა განიხილა და დაამტკიცა სომხეთის მრეწველობის გეგმა 1926—27 წლისათვის. ამ გეგმის მიხედვით სომხეთის მრეწველობის ხარჯები განსაზღვრულია 3.774.000 მან. მრეწველობის კაპიტალური ხარჯებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადადებულია 2.525.000 მან.. მრეწველობის საბრუნავი თანხებისათვის კი 715.000 მან. გარდა ამისა, სახელმწიფო სამრეწველო საგეგმო კომისიამ დაადგინა, რომ ტრესტ „ზაკმედს" სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიეცეს 1 მილ. მან. იმ შემთხვევაში კი, თუ ტრესტ „ზაკმედის" კაპიტალური ხარჯების ფონდი მოიმატებს, მაშინ დამატებით კიდევ მიეცემა 500.000—700.000 მანეთი. „ზაკმედის" საბინაო აღმშენებლობისათვის. სამრეწველო საგეგმო კომისიის დადგენილებით გადაიდება 250.000 მან. სამრეწველო საგეგმო კომისიამ გეოლოგიურ კომიტეტს დაავალა, რომ 1926—27 წლის სამუშაოთა გეგმის შედგენის დროს [illegible] გაითვალისწინოს სომხეთის საჭიროებანი გეოლოგიურ - გამოკვლევითი მუშაობაში. (ადს).

ნავთის მრეწველობა

მოსკოვი, 2 დეკემბ. 23 ნოემბერს გამოემგზავრა ბაქოსა და გროზნოში საბჭოთა კავშირის სახ. მეურ. უმაღ. საბჭოს კომისია ამხ. **ჩუბაროვის** თავმჯდომარეობით ნავთის მრეწველობის მუშაობის გამოსარკვევად.

ანალოგიურმა კომისიამ 1924 წელში დასახა ნავთის მრეწველობისათვის შემდეგი ამოცანები: გადასვლა ამოთხრის წესით ბურღვისაგან მბრუნავ სალვედო ბურღვაზე,—ღარის საშუალებით ამოღებიდან ქაჩვითი წესზე გადასვლა, დიდი დიამეტრის ჭებიდან — მცირე დიამეტრის ჭებზე, გაზის გამოყენება და მისგან ბენზინის მიღება. ბრძოლა ნავთის აორთქლების წინააღმდეგ მისი ჭებიდან გადატანის დროს ქარხანამდე, ნავთის, ტრანსპორტისა და სხვების რაციონალიზაცია ეხლა ძნელი სათქმელია — განაცხადა პრესის წარმომადგენლებთან ჩუბაროვმა —რა ახალი პრობლემების წამოყენება შეიძლება ნავთის მრეწველობის წინაშე. მაგრამ წინასწარ შეიძლება ითქვას. რომ ასეთი პრობლემები ცოტა არ იქნება: რაციონალური საშუალებების შემოღება ნავთიანი ადგილების დასამუშავებლად. უფრო მეტი ნავთის ამოღება ფენიბიდან, ვინემ ამას ადგილი აქვს ეხლა. ძლიერი საქაჩავების დადგმა სითხის დიდი რაოდენობის ამოსაღებად, მბრუნავი ბურღვის გაუმჯობესება. ნავთის გადამუშავების სრული რაციონალიზაცია და სხვა. (ადს).

ა.-კ. ფედერაციაში

აზერბეიჯანი

საჩვენებელი გასამართლება

ბაქო, 2 დეკემბერი. დღეს საღამოს „ექიმის სახლში" დაიწყო ხულიგნების საქმის საჩვენებელი პროცესი. მათ ბრალი ედებათ ხულიგნურ გამოსვლებში. მესამე საბჭოთა სამკურნალოში. და აგრეთვე საექიმო პერსონალის ცემა. პასუხისგებაში მიცემული არიან: გულ-მამედ-სადიხ - შუკურ - ოღლი და იბრაგიმ - აბდულ - გასან - ოღლი. ბრალს დებს პროკურორი ბოგდანოვი. ბრალდებულნი თავს დამნაშავეთ არ სცნობენ.

პირველ სხდომაზე მოხდა ბრალდებულების და მოწმეების დაკითხვა. სასამართლომ შესაძლებლად სცნო ბრალდებულ იბრაგიმ - აბდულა-გასან-ოღლის პატიმრობიდან განთავისუფლების შესახებ. დამცველის მიერ აღძრული შუამდგომლობის დაკმაყოფილება, პროცესმა დიდი ხალხი მიიზიდა. შემდეგი სხდომა შესდგება 2 დეკემბერს დღის 4 საათზე. (ადს).

პროლეტარულ სტუდენტობის კონფერენცია

ბაქო, 2 დეკემბერი. პროლეტარულ სტუდენტობის კონფერენციის 1 დეკემბრის საღამოს სხდომაზე, პროფგანათლების მთავარ სამმართველოდან მოხსენებით გამოვიდა განათლების სახალხო კომისარის მოადგილე ამხ. მამედ - ზადე.

მომხსენებელმა შეეხო რა პროფტეხნიკურ განათლების მძიმე მატერიალურ მდგომარეობას აზერბეიჯანში. აღნიშნა, რომ აზერბეიჯანში არსებობს 12 საფაბრიკო - საქარხნო სკოლა, სადაც 1924—25 წელს სწავლობდა 1,609 მოწაფე, და 1925—26 წელს—2,224, მათ შორის 40 პროც.-მდე თურქები არიან.

გასულ წელს მთელს აზერბეიჯანში ითვლებოდა 19 პროფტეხნიკური კურსები, სადაც 1,299 მოსწავლე სწავლობდა. წელს კი არსებობს — 32, 2,295 მოწაფით. ამათში 19 პროც. თურქია.

სომხეთი

მხარეთ-მცოდნეობის საზოგადოება

ერევანი, 2 დეკემბერი. სომხეთის სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახ. კომ. საბჭომ დაამტკიცა წესდება მხარეთ-მცოდნეობის საზოგადოების, რომელიც ამას წინად მოეწყო ერევანში. (ადს).

არმიის დივიზიის გამოფენა

ერევანი, 2 დეკემბერი. 4 დეკემბერს არმიის დივიზიის კლუბში გაიხსნება გამოფენა, რომელზედაც ნაჩვენები იქნება არმდივიზიის მიღწევანი სამხედრო მომზადებისა და პოლიტიკური აღზრდის დარგში 6 წლის განმავლობაში. (ადს).

გვალვა

ნორბაიაზეთი, 2 დეკემბერი. მთელ მაზრაში ორი უკანასკნელი თვის განმავლობაში არის გვალვა, რაიც ხელს უშლის შემოდგომის თესვის დაწყებას. (ადს).

რა ხდება უცხოეთში

ვარშავის პოლიციის საქმენი „საგმირონი"

ვარშავის გაზეთმა „გლოს პრავდი" უკანასკნელ ხანებში მოათავსა მთელი რიგი წერილები, რომლებიც შეიცავდენ არაჩვეულებრივად სკანდალურ ცნობებს პოლონეთის სატახტო ქალაქის სისხლის სამართლის პოლიციის მოღვაწეობის შესახებ. ზოგიერთ ამ ცნობებთან გაცნობა ინტერეს მოკლებული არ იქნება საბჭოთა მკითხველისათვის.

სისხლის სამართლის პოლიციას, თურმე, მჭიდრო კავშირი ჰქონებია ქურდებთან. ვარშავის [illegible] საპოლიციო რაიონში არსებობს ქურდების ცალკე ორგანიზაცია. ამ ორგანიზაციებს მჭიდრო ურთიერთობა აქვს თავისი რაიონის პოლიციასთან. თუ ვინმეს მოპარეს ნივთები, მას შეუძლია უკან მიიღოს ისინი. ამისათვის, ერთი ან ორი დღის განმავლობაში, სანამ ნაქურდალი სხვა რაიონში არ გადაუტანიათ, დაქურდულმა უნდა მიმართოს სისხლის სამართლის პოლიციას, სადაც მას უსახელებენ თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს მოპარული ნივთების უკან მისაღებათ. როგორ „პოულობს" პოლიცია მოპარულ ნივთებს?

ძლიერ ადვილათ.

პოლიცია აცნობებს ქურდებს, რომ სასყიდელი მიღებულია და აღებულ ფულებს ძმურად იყოფენ.

სისხლის სამართლის პოლიციის პრესტიჟის ასამაღლებლად და პოლიციის სახელის გამტეხი ხმების გავრცელებისათვის ხელის შემშლელათ, პოლიცია დროგამოშვებით, რეგულიარულად მიმართავს შემდეგ ხერხს:

წინასწარ შემუშავებული, პოლიციასთან შეთანხმებული გეგმით, ქურდები თავს ესხმიან რომელიმე გამოჩენილ პირის ბინას. მეორე დღეს გაზეთები სავსეა ცნობებით ქურდების „თავხედური" თავდასხმის შესახებ. პოლიცია აცნობებს გაზეთებს, რომ მიღებულია ზომები ქურდების შესაპყრობად და მოპარულ ნივთების აღმოსაჩენათ. და მართლაც, ორი-სამი დღის შემდეგ პოლიცია აცხადებს, რომ მოპარული ნივთები „აღმოჩენილია".

თუ როგორ „აღმოაჩინა" ნივთები, ამის შესახებ პოლიცია სდუმს. მაგრამ ეს არც საჭიროა, პოლიციის რეპუტაცია აღდგენილია. პრესა ერთხმად აქებს პოლიციის ენერგიულობას და გამჭრიახობას. რასაკვირველია, ქურდები აღმოუჩენელი რჩებიან, და მართლაც, პოლიცია თავის კომპანიონებს ვერ დააპატიმრებს. ასეთ ქურდობას ხშირად აწყობენ გამოჩენილი დეპუტატების, უცხოელი ელჩების, ბანკირების და მინისტრების ბინებზე.

თავისთავად ცხადია, რომ სისხლის სამართლის პოლიციის თანამდებობა დიდ შემოსავლიან წყაროსთან არის დაკავშირებული. ამიტომ, გასაკვირი არ არის, რომ მრავალია ამ თანამდებობის მაძიებელი. მაგრამ პოლიციაში სამსახურის შოვნა არც ისე ადვილია. ამისათვის საჭიროა განსაზღვრული ქრთამის მიცემა უფროსებისათვის—სისხლის სამართლის პოლიციის გამგისათვის ან მისი რომელიმე თანაშემწესათვის. ვარშავის პოლიციას ყველაფერი წინდაწინ აქვს გათვალისწინებული. შემუშავებულია სპეციალური ნიხრი, თუ რა თანამდებობის მიღებისათვის რა „სასყიდელის" მიღება არის საჭირო. რამდენათაც მეტად შემოსავლიანი რაიონია, რამდენადაც მეტია რაიონში ბოროტმოქმედთა რიცხვი და ქურდობათა რაოდენობა, მით უფრო მეტი თანხის გაღება არის საჭირო.

მიუხედავათ იმისა, რომ ამდენათ დიდია ვარშავის სისხლის სამართლის პოლიციის შემოსავალი, ამდენად დიდია უფროსების შემოსავლის წყარო. პოლიცია მაინც არ კმაყოფილდება ამ ჩვეულებრივი, ყველასათვის საერთო შემოსავლის წყაროთი. უფროსების მადაც დიდი აქვთ და ამ მადის დაკმაყოფილების შესაძლებლობაც.

განსაკუთრებული მოხერხებულობა გამოიჩინა შემოსავლის ახალი წყაროების ძებნაში ერთი უბნის ბოქაულმა, ვინმე **ბახრახმა.** ეს „ენერგიული" კაცი, რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობდა სისხლის სამართლის პოლიციაში, ამავე დროს მჭიდროთ იყო დაკავშირებული ყალბი ფულების მჭრელებთან. ირკვევა, რომ ბახრახი სათავეში ედგა ყალბი ფულის მჭრელების სამ შაიკას, რომლებიც, მისი მფარველობის წყალობით, თავისუფლად და დამშვიდებით „მუშაობდენ" რესპუბლიკის სატახტო ქალაქში.

მეტად საგულისხმოა ის, რომ ყველა ეს ფაქტები არ შეადგენდენ საიდუმლოებას არც პოლიციის უმაღლესი თანამდებობის პირებისათვის და არც სასამართლო ორგანოებისათვის. შეუძლებელია ასეთი ფაქტების დამალვა მთელ რიგ წლების განმავლობაში. მაგრამ უმაღლესი ადმინისტრაცია თითქო ვერ ხედავდა ამ სკანდალურ ფაქტებს. სისხლის სამართლის პოლიციამ ძლიერ ბევრი იცოდა, ბევრ გამოჩენილ სახელმწიფო მოღვაწეებთან იყო დაკავშირებული და მის წინააღმდეგ ბრძოლის დაწყება იოლი საქმე როდი იყო.

და თუ ახლა ნაწილობრივ მაინც ეხდება ფარდა მთელ ამ სისაძაგლეს, ეს პარტიათა შორის ბრძოლის გამწვავებით აიხსნება. პილსუდსკიმ პოლიციის სკანდალი გამოიყენა იმისათვის, რათა სახელი გაეტეხა ძველი რეჟიმისათვის, ძველ მთავრობისათვის.

კიდევ ერთი საგულისხმო ფაქტი, როცა „გლოს პრავდი"-ს ფურცლებზე გამოქვეყნდა პირველი წერილები ვარშავის პოლიციის მოღვაწეობის შესახებ, მის ავტორს, სისხლის სამართლის პოლიციის ყოფ. თანამშრომელს, სიკვდილით დაემუქრნენ. საჭირო შეიქნა მისი სიცოცხლის დასაცავად ჟანდარმების მიყენება რადგან პოლიციაზე დაყრდნობა ამ შემთხვევაში შეუძლებელი იყო.

ზემოთ დასახელებული ბახრახის დაპატიმრება სასამართლოს ორგანოებმა დიდ ხანს ვერ გაბედეს. დააპატიმრეს იგი მხოლოდ სამხედრო პროკურატურის მოთხოვნით, რომელმაც მას ჯაშუშობა დააბრალა. მეორე გამომჟღავნებულმა პიროვნებამ. სისხლის სამართლის პოლიციის უფროსმა **კურნატოვსკიმ,** მოასწრო საზღვარგარეთ გაქცევა.

ი. რ.

არჩევნები კუნძულ კუბაზე

კუბა ეკუთვნის ამერიკის სანაპიროებთან მდებარე ანტილიის კუნძულების ჯგუფს. ფორმალურათ კუბა არის რაღაც დომინიონის მსგავსი—ნახევრად დამოუკიდებელი სახელმწიფო, სინამდვილეში კი იგი წარმოადგენს შეერთებული შტატების კოლონიას. კუბაზე სახელმწიფო ძალა-უფლება ეკუთვნის ლიბერალურ პარტიას, რომელიც ქალაქის ბურჟუაზიას ეყრდნობა. ლიბერალები უსიტყვოდ ასრულებენ ამერიკელ კაპიტალისტების დირექტივებს. ამერიკელი კაპიტალისტების მოთხოვნით, კუბის პრეზიდენტმა, ლიბერალმა მაჩადომ აკრძალა ყველა პროლეტარული ორგანიზაციები, დახურა მუშათა პრესა, მუშათა ლიდერები კი ციხეში გაგზავნა.

ასეთი „მომზადების" შემდეგ, კუბაზე ჩაატარეს თვითმართველობის ადგილობრივ და რაიონულ ორგანოების არჩევნები. ლიბერალებმა რასაკვირველია, თითქმის ყველგან შეინარჩუნეს ძველი გაბატონებული მდგომარეობა. მხოლოდ ქ. პინარ-დელ-რიოში გაიმარჯვეს კონსერვატორებმა. მაგრამ ლიბერალები და კონსერვატორები ბევრით არაფრით განირჩევიან ერთმანეთისაგან. ორივე ერთ ბატონს—შეერთებული შტატების კაპიტალს—ემსახურება.

კუბის მუშათა კლასი კი კვლავინდებურად აუტანელ მდგომარეობაში იმყოფება. მუშათა ორგანიზაციები და კომპარტია ჩადენილია ჯურღმულებში.

მუშათა მოძრაობა

ამსტერდამელების მორიგი მარცხი

ბალტიისა და სკანდინავიის ქვეყნების პროფკავშირების კონფერენციის მოწვევის საკითხი კვლავ ამ ქვეყნების მუშათა მოძრაობის ცენტრში დგას. ამ კონფერენციის მოწვევა განზრახულია მიმდინარე დეკემბერში ქ. სტოკჰოლმში (შვეცია). კონფერენციის ინიციატორი იყო ამსტერდამის ინტერნაციონალი. კონფერენციის მოწვევის სასარგებლოთ აგიტაციის მიზნით მიმდინარე წლის ზაფხულში შვეციაში იყო „თვით" ამსტერდამის ინტერნაციონალის მდივანი უდეგესტი. რეფორმისტების განზრახვა მარტივი იყო. საჭირო იყო საზეიმო განწყობილების შექმნა, შესაფერი ზეგავლენის მოხდენა ნორვეგიისა და ფინეთის „ურჩ" პროფკავშირებზე და მიღწევა იმის, რომ ისინი შესულიყვნენ ამსტერდამის ინტერნაციონალში.

ამსტერდამის მთავარი დასაყრდენი ამ „ოპერაციაში"—არის შვეციის პროფკავშირების ბიუროკრატია.

მაგრამ რეფორმისტების ბრწყინვალე იმედებს თანდათანობით ეცლება ნიადაგი. რეფორმისტების მიერ გამოწვეული მოძრაობა, მათივე წინააღმდეგ აღმოჩნდა მიმართული.

დაიწყო იქედან, რომ შვეციის ზოგიერთმა პროფკავშირებმა მოითხოვეს საკავშირო პროფსაბჭოს წარმომადგენლების მოწვევა სტოკჰოლმის კონფერენციაზე. საბჭოთა კავშირი,—აღნიშნავს ეს პროფკავშირები, ისეთივე ბალტიის მხარის სახელმწიფოა, როგორც ფინეთი, ლატვია და სხვ.

მაგრამ ამსტერდამელები ლოღიკაზე მწყრალათ არიან. ამსტერდამის ინტერნაციონალის ხელმძღვანელები ამ კონფერენციას იმისათვის იწვევენ, რომ ნორვეგიისა და ფინეთის პროფკავშირები გამოგლიჯონ რევოლიუციონური პროფმოძრაობის გავლენისაგან, ამიტომ ყველა პროფმოძრაობის ხელმძღვანელებმა კატეგორიულად სთქვეს უარი კონფერენციაზე საკავშირო პროფსაბჭოს წარმომადგენლების დაშვებაზე.

ნორვეგიისა და ფინეთის პროფკავშირებმაც მოითხოვეს საკავშირო პროფსაბჭოს მიწვევა კონფერენციაზე. ორივე ორგანიზაციამ, რომლებიც პროფინტერნს თანაუგრძნობენ, მოითხოვა, რათა კონფერენციის დღის წესრიგში დასმული ყოფილიყო აგრეთვე საერთაშორისო პროფმოძრაობის ერთიანობის საკითხი. ამ მიზნით, ნორვეგიის პროფკავშირთა გაერთიანებამ მოითხოვა, რათა კონფერენციაზე მოწვეული ყოფილიყვნენ არა მარტო საკავშირო პროფსაბჭოს, არამედ ინგლისის ტრედ-უნიონების გენერალურ საბჭოს წარმომადგენლებიც.

ამ მოთხოვნილებამ პირდაპირ ლახვარი ჩასცა ამსტერდამის ინტერნაციონალის მახინაციებს.

შემდეგ, ფინეთის პროფკავშირებმა მოითხოვეს, რათა კონფერენციაზე დასმულიყო ინგლისელ მემაღაროეთა დახმარების საკითხი.

უბედურ კაცს ქვა აღმართში მიეწევაო,— სწორეთ ასე დაემართათ ამსტერდამელებს. უდეგესტს ზემოთ ჩამოთვლილი არასასიამოვნო წინადადებები არ აკმარეს. ფინეთის დელეგატებს კონფერენციაზე დაავალა არამც და არამც არ დათანხმდნენ ფინეთის პროფკავშირების შესვლაზე ამსტერდამის ინტერნაციონალში.

ამ რიგად, ამსტერდამის ინტერნაციონალის პირვანდელ „დიდი" განზრახვისაგან არაფერი აღარ დარჩა.

შვეციის პროფბიუროკრატებმა და მთელმა რეფორმისტულმა პრესამ, რასაკვირველია, ამის გამო ერთი აურზაური ასტეხეს და ამსტერდამის ასეთი სამარცხვინო მარცხი „ბოლშევიკური აგენტების" აგიტაციას გადააბრალეს. რათა თვალი აეხვიათ ბალტიის ქვეყნების რევოლიუციონური მუშათა კლასისათვის, რეფორმისტული პრესა ავრცელებდა ხმებს, რომ სტოკჰოლმის კონფერენციაზე მოხდება მხოლოდ განხილვა იმ პირობების, რომელთა საფუძველზე უნდა მოხდეს შესვლა ამსტერდამის ინტერნაციონალში და სხვ.

მაგრამ ბალტიისა და სკანდინავიის ქვეყნების რევოლიუციონური მუშების მოტყუება ასეთი იოლი საქმე როდია. ისინი მშვენივრად ხედავენ. **რომ პროფმოძრაობის ნამდვილი მთლიანობის მიღწევა შეიძლება მხოლოდ საბჭოთა კავშირის მუშებთან ხელი-ხელ ჩაკიდებული.**

ფინეთისა და ნორვეგიის მუშებმა კვლავ დაიჭირეს გამოცდა პოლიტიკურ სიმწიფეზე.

ტ. ა.

შვეციის მუშების შრომის ხელფასი

შვეციის სტატისტიკურმა სამმართველომ გამოაქვეყნა ცნობები შვეციის მუშების ხელფასის გამოკვლევის შედეგების შესახებ.

შვეციის მუშის საშუალო ხელფასის გამოსარკვევად გამოკვლეულ იქნა 3.300 წარმოება, სადაც 270.000 კაცი მუშაობს.

გამოკვლევის თანახმად მუშის საშუალო ხელფასი შვეციაში 1925 წ. შეადგენდა 2.630 კრონას (კრონა 50 კაპ. უდრის), სტოკჰოლმში—3.650 კრონას.

◆

დაზღვევის საქმე კოოპერაციაში

(კოოპერატიულ ცენტრების საყურადღებოდ)

ჩვენი კოოპერატორები, ამბობენ, თუ კოოპერაციას გრძელვადიანი სესხი არ მიეცა, ისე მუშაობა შეუძლებელიაო. რომ საქონლის ნისიათ მიცემას და გრძელვადიანი სესხის აღებას დიდი მნიშვნელობა აქვს, ეს ყველასათვის აშკარაა და უდავო, მაგრამ კოოპერაციის მუშაობის მთლიანად კრედიტის საკითხთან დაკავშირება სწორი არაა.

მოსახლეობა ზოგჯერ ხალისით არ ჰკიდებს ხელს კოოპერაციის გაძლიერების და განმტკიცების საქმეს. რატომ? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ადვილი საქმეა: 1) კოოპერაციის აპარატი ძვირი ჯდება, 2) საქონელი არ არის შერჩეული და კარგი ღირსების, 3) კოოპერაციის თანამშრომელნი არ ეპყრობიან მუშტრებსა და წევრებს თავაზიანათ, ზრდილობიანათ, 4) ყველაზე დიდი უბედურება კი ის არის, რომ კოოპერაციის დოვლათი და ქონება ხშირად იფლანგება, რის გამო ილუპება კოოპერატიული ორგანიზაცია.

თქვენ იშვიათად ნახავთ კოოპერატივს, სადაც არ მომხდარა გაფლანგვა ორ-სამჯერ მაინც. თბილისის გაზეთების ერთ-ერთ უკანასკნელ ნომერში მოყვანილია შემდეგი სტატისტიკური ცნობები: „ამიერ-კავკასიის საქალაქო კოოპერატივებში, ერთი წლის განმავლობაში ადგილი ქონდა გაფლანგვის 216 შემთხვევას. გაფლანგულია სულ 154227 მან. ერთ გამფლანგველზე საშუალოდ მოდის 714 მან.. რაც შეეხება სოფლის კოოპერატივებს, აქ 146 კოოპერატივში აღმოჩენილია 113 გაფლანგვის შემთხვევა. მითვისებული და გაფლანგულია 153.988 მანეთი. ერთ გამფლანგველზე მოდის—1.360 მან.. რათ გვინდა შორს წასვლა? გაიხსენეთ კოჯორის კოოპერატივის ბედი. აქაურმა „კოოპერატორებმა" გაფლანგეს და გაანიავეს კოოპერატივის ქონება.

ბუნებრივად ისმება კითხვა: სად არის გამოსავალი? ჩვენის აზრით საჭიროა კოოპერატივების ქონება დაზღვეული იქნეს სახელმწიფოს მიერ გაფლანგვის შემთხვევისაგან. ასეთი დაზღვევა ამ ბოლო დროს ძლიერ გახშირდა ჩვენს სახელმწიფო დაწესებულებებში. რატომ არ შეიძლება ეს დაზღვევა სავალდებულო გახდეს ყველა სახის კოოპერატივებისათვის.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს შესაძლებელია. გამორკვეულ უნდა იქნეს ყოველწლიურად რა რაოდენობის ქონება არის კოოპერატივში, როგორც საქონლით, ისე ფულათ (რა თქმა უნდა საშუალო გამოანგარიშებით) და ამნაირად ის იქნება დაზღვეული სახელმწიფო დაზღვევის სამმართველოს („გოსტრახის") მიერ. მართალია, დაზღვევა ხარჯებს გამოიწვევს, მაგრამ სამაგიეროთ ამა თუ იმ კოოპერატივის წევრი დარწმუნებული იქნება იმაში, რომ თუ მოხდა გაფლანგვა, ის არაფერს დაკარგავს.

დაზღვევის ხარჯების შესამსუბუქებლად საჭიროა კოოპერატივის საერთო ხარჯები დაყვანილ იქნეს მინიმუმამდე, რათა გამოიჭრას ისაუცილებელი თანხა, რომელიც საჭიროა კოოპერატივების დაზღვევისათვის გაფლანგვის შემთხვევისაგან.

საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ მოეწყოს და მოგვარდეს ტეხნიკურათ სახელმწიფო დაზღვევა, — უნდა გადაწყდეს კოოპერატიულ ცენტრების და სახელმწიფო დაზღვევის ურთიერთ შორის შეთანხმებით. დასასრულ ვიტყვი, რომ თუ მოვაწყობთ კოოპერატივების ქონების დაცვის საქმეს, ეს დიდათ შეუწყობს ხელს კოოპერაციის ფინანსიურად და ორგანიზაციულად გაჯანსაღებას, რაც საშუალებას მოგვცემს უფრო ენერგიულათ და წარმატებით ვაწარმოოთ ბრძოლა კერძო კაპიტალთან.

კ. ხომერიკი

პარტიული ცხოვრება

საქ. კომპარტიის ც. ს. კომისიაში

„გაეცნო რა ს.კ.პ.ც. საკონტროლო კომისიის საგამომძიებლო კომისიის დასკვნას ამხ. მ. ოკუჯავას, როგორც ოპოზიციის ერთი ხელმძღვანელთაგანის, ფრაქციული მუშაობის შესახებ საქართველოში, ს.კ.პ.ც. საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმი უცხადებს მას სასტიკ საყვედურს უკანასკნელი გაფრთხილებით".

ამხ. მ. ოკუჯავას განცხადება

(ს. კომპ. ც. ს. კომისიის პრეზიდიუმს)

„თუმცა დაგვიანებით, მაგრამ მე ვაცხადებ, რომ სრულიად ვუერთდები ამხ. ლ. დუმბაძის, ნ. კიკნაძის, ბ. კალანდაძის განცხადებას [*] ცეკასა და ც. ს. კომისიაში 1926 წლის 20 ნოემბერს".

მ. ოკუჯავა.

საქ. კომპარტიის ცეკას გაფართოებული პლენუმი

გუშინ, საღამოს 6-ნახევარ საათზე სახალხო წითელ დარბაზში გაიხსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტის გაფართოებული პლენუმი სამაზრო და საოლქო კომიტეტების მდივნების თანდასწრებით. პლენუმი გახსნა ამხ. მ. **კახიანმა.** მიღებულ იქნა შემდეგი დღის წესრიგი 1) მოხსენება საქართველოს მრეწველობის შესახებ, 2) ქალაქის საბჭოების შესახებ, 3) სამხრეთ-ოსეთის საოლქო კომიტეტის მოხსენება, 4) საბჭოების არჩევნების შესახებ და 5) მიმდინარე საკითხები.

დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ პლენუმმა მოისმინა ამხ. **აგაბეკოვის** მოხსენება საქართველოს მრეწველობის შესახებ.

— გასული ხუთი წლის განმავლობაში,—დაიწყო მომხსენებელმა, ჩვენ საკმაო მძიმე პირობებში დავამთავრეთ უდიდესი მუშაობა ნახევრად დანგრეულ მრეწველობის აღსადგენად. უნდა აღინიშნოს ამ თვისება, რომ ჩვენი მრეწველობის ხვედრითი წონა სახალხო მეურნეობაში საერთოდ მცირეა, ამას ამტკიცებს არა მარტო ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის რიცხვის შეფარდება, არამედ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის რაოდენობაც. ასე მაგალითად, თუ სოფლის მეურნეობა პროდუქციის ღირებულების დაახლოებით 75—80 პროცენტს, მრეწველობა გვაძლევს მხოლოდ 20—25 პროცენტს. ეს არ ნიშნავს რასაკვირველია იმას, რომ ჩვენ არ მოგვეპოება [illegible] ადგილი მრეწველობის განვითარებისათვის. უკანასკნელი წლების განმავლობაში მრეწველობის განვითარების ტემპმა უკვე გაუსწრო სოფლის მეურნეობისას და ამჟამად მან (მრეწველობამ) თითქმის მიაღწია ომის წინადროინდელ დონეს. მრეწველობის აღდგენა ხდებოდა საწარმოო თანხების და კრედიტის დიდ სივიწროვის პირობებში. ასე მაგალითად, თუ ომამდე მრეწველობის თვითეულ საკუთარ მანეთზე ჰქონდა 2 მან. და 50 კაპ. გარეშე, ე. ი. კრედიტით მიღებული თანხა, ამჟამად ჩვენ მრეწველობას თვითეულ მანეთზე მხოლოდ 60 კაპ. აქვს. ასეთ პირობებში განსაკუთრებით სავსებით ისმება საკითხი კრედიტების გაძლიერების შესახებ. ეს მით უმეტეს, რომ ამჟამად უკვე თითქმის დამთავრებულია აღდგენის პროცესი, ჩვენ უკვე თითქმის სავსებით გამოვიყენეთ არსებული საწარმოო საშუალებები და ვდგებით ახალ აღმშენებლობას. მომავალი საწარმოო პროგრამა შედგენილია იმ რიგად, რომ უმთავრესი ყურადღება მიექცეს მსხვილი მრეწველობის განვითარებას, როგორიც არის ტყიბულისა და ჭიათურის დამუშავების საქმე. ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე სამთო და სამთო-ქიმიურ მრეწველობის განვითარებას. ჩვენ საკმაოდ მოგვეპოება ბუნებრივი სიმდიდრენი, მაგრამ ეს სიმდიდრე არ არის ხანგრძლივად შესწავლილი და გამოკვლეული. ამ მიმართულებით მუშაობა უკვე სწარმოებს და მომავალში ის კიდევ მეტად უნდა იქნეს გაძლიერებული. სწარმოებს მაგალითად მუშაობა ტყვარჩელის ქვანახშირის გამოსაკვლევად, რომლისთვისაც გადადებულია 200 ათასი მანეთი. დაწყებულია მუშაობა გურიის ნავთის გამოსაკვლევად, რომელიც სავსებით უზრუნველყოფილია მატერიალურად აზერბეიჯანის ნავთის სამმართველოს მიერ. ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე დიდღორაკის სპილენძის მადნებსაც.

ორატორი აღნიშნავს შემდეგ, რომ მძიმე მრეწველობის განვითარებასთან ერთად უნდა განვითარდეს მსუბუქი მრეწველობაც, უმთავრესად ისეთი, რომელთა უზრუნველსაყოფად ჩვენ მოგვეპოება საკმაო ნედლი მასალა ადგილობრივ. პირველ რიგში ყურადღება უნდა მიექცეს აბრეშუმის მრეწველობას. ჩვენ უკვე გვაქვს აბრეშუმის სახვევი სამი ქარხანა: ოზურგეთში, თელავში და ხონში. ახლო ხანში კიდევ აგებული იქნება ორი ქარხანა: ერთი ჩოხატაურში და მეორე ხონში. შენდება ორი დიდი საქარხო ქარხანა ბაღდადისა და ზუგდიდის რაიონებში. განზრახულია ქაღალდის ქარხნის აშენება ან იმერეთის, ან ზუგდიდის რაიონში. შენდება მაუდის ქარხანა თბილისში, რომელიც დაამუშავებს 1.200.000 მეტრ მაუდს და რომლისთვისაც მანქანები შეკვეთილია გერმანიაში და ინგლისში. ამ ქარხანას წლიურად დასჭირდება 60 ათასი ფუთი მატყლი. შემდეგ ორატორი ჩერდება მეღვინეობაზე, ტყავის, ზეთისა და საპნის მრეწველობაზე და აღნიშნავს, რომ სამი უკანასკნელი დარგის (ე. ი. ტყავის, ზეთისა და საპნის) მრეწველობის განვითარება მომავალში გაძნელდება, რადგან ჩვენ არ მოგვეპოება ამ მრეწველობისათვის საჭირო ნედლი მასალა. საერთოდ შესაძლებელია განვავითაროთ [illegible] ნივთიერებათა მრეწველობა. განზრახულია აგრეთვე ხარაგოულის რაიონში აშენებულ იქნეს შუშის ქარხანა. გადადის რა ადგილობრივი ხასიათის მრეწველობაზე მომხსენებელი აღნიშნავს, რომ განზრახულია მაზრებში მთელი რიგი ახალი ქარხნების აგება. ასე მაგალითად, აგებულ იქნება ზეთის სახდელი და საპნის სახარში ქარხანა ახალქალაქში, ყველის — ბორჩალოში და ყაზახში, შაქრისა და კონსერვის—გორში, ბეკონის—სენაკში და სხვა.

აღნიშნავს რა, რომ წარსულში ადგილობრივ ფაბრიკა-ქარხნებისა და სხვა წამოწყებათა აგების საქმეში ადგილი ჰქონდა უგეგმობას, ორატორი საჭიროდ მიიჩნია ამ მხრივ, როგორც ადგილობრივ, ისე ცენტრში სასტიკი გეგმიანობის დაცვა.

მრეწველობის წარმატების განვითარება შეუძლებელია იაფი ელექტრონის ენერგიის გარეშე. ჩვენში, სადაც თეთრი ნახშირის ძალიან დიდი მარაგი მოიპოება, უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს ჰიდრო-ელსადგურების აგებას. რაც ახლაც ხდება; ამჟამად მთავრდება სამი დიდი ჰიდრო-ელსადგურის შენება: ზაჰესის, აბაშის და აჭარის წყალის. წელს დაიწყება ელსადგურის შენება მდინარე რიონზე. განზრახულია აგრეთვე სადგურების აგება აფხაზეთში და [illegible] არეზე. ელექტრო-აღმშენებლობის დარგში მომხსენებელმა საჭიროდ მიიჩნია მტკიცე ენერგეტიული გეგმის შემუშავება. ორატორი აღნიშნავს, რომ იმ დიდი აღმშენებლობისათვის, რომელსაც ეხლა და მომავალშიაც აწარმოებს ჩვენი სახელმწიფო, საჭიროა საამშენებლო მასალა,—უმთავრესად ცემენტი, ვინაიდან ნოვოროსისკი ვერ შეძლებს მოგვაწოდოს ჩვენ ცემენტის საკმაო რაოდენობა, ამიტომ განზრახულია ცემენტის ქარხნის აგება კავთი-ხევის ახლოს. აგებულ იქნება აგრეთვე ადგილებზე კირის, აგურის და კრამიტის ქარხნები. დასასრულ მომხსენებელი ჩერდება კვალიფიციურ მუშა-ძალის მომზადების საკითხზე და მოითხოვს, რათა განათლების სახალხო კომისარიატმა თავის მუშაობის გეგმა შეუფარდოს საქართველოს მრეწველობის მოთხოვნილებას.

ამხ. აგაბეკოვის მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი, რომელშიაც გუშინდელ სხდომაზე მონაწილეობა მიიღეს ამხ. **ჟვანიამ, აკირტავამ და ბახტაძემ.** კამათი გადაიდო დღეისათვის.

გურიის ორგანიზაცია ლენინის ცეკასთან ერთად

28 ნოემბერს ოზურგეთის მუშათა კლუბის დარბაზში შესდგა ქ. ოზურგეთის, ლიხაურის, შემოქმედის, დვაბზუს, გურიანთის პარტ-ორგანიზაციების, ჯარის ნაწილების კომუჯრედების და ამავე თემების კომკავშირის აქტივის საერთო კრება.

კრებაზე დაესწრო 2501-მდე ამხანაგი. მეხუთმეტე კონფერენციის შედეგებზე ვრცელი მოხსენებით გამოვიდა ამხ. **ფილიპე მახარაძე,** რომელსაც კრება ოვაციებით და მხურვალე ტაშით შეეგება. მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი. მოხსენების და კამათის შემდეგ მიღებულ იქნა **ერთხმად** შემდეგი რეზოლიუცია:

„საქ. კომპარტ. (ბ) ოზურგეთის, შემოქმედის, დვაბზუს, გურიანთის, ლიხაურის ორგანიზაციების საერთო კრება, ჯარის ნაწილების კომუჯრედებთან და ამავ თემების კომ. კავშირის აქტივთან ერთად, მოისმინა რა მან ამხ. **ფილიპე მახარაძის** მოხსენება, საკ. კ. პ. (ბ) მე-15 პარტკონფერენციის შედეგებზე, სავსებით იწონებს და უერთდება კონფერენციის ყველა დადგენილებებს და გადაწყვეტილებებს.

კრება კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ საკავშირო კომპარტიის მე-15 კონფერენციამ ერთხელ კიდევ სავსებით დაადასტურა ცეკას მიერ აღებული ხაზის სისწორე ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის საქმეში, სავსებით სწორად სცნო წარმოებული ღონისძიებანი, როგორც შინაურ აღმშენებლობის, ისე საერთაშორისო დამოკიდებულების საკითხებში.

კრება კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ მე-15 პარტკონფერენციამ ერთხელ კიდევ დაადასტურა პარტიული მასების საკმაო პოლიტიკური მომზადება და პარტიის აბსოლიუტური მთლიანობა, რომლის მტკიცე კედლებზე დაინგრა ოპოზიციონური ბლოკი.

კრება კმაყოფილებას გამოსთქვამს ოპოზიციის ბელადების განცხადების გამო, რომ ისინი უსიტყვოთ დაემორჩილენ პარტიის დადგენილებებს, შეასრულებენ ყოველგვარ მის დავალებას და უარყოფენ ფრაქციულ მუშაობას. რაც ბოლშევიკური პარტიის დისციპლინის ელემენტარულ მოთხოვნილებებს აკმაყოფილებს, მაგრამ ამასთანავე ერთად აღნიშნავს, რომ ოპოზიციის ბელადების განცხადება და მათი გამოსვლა პარტკონფერენციაზე ამტკიცებს, რომ ისინი რჩებიან თავის შემცდარ „პრინციპიალურ" შეხედულებებზე. კრება სთვლის, რომ ეს შეხედულებები სწორად იქნა შეფასებული კონფერენციის მიერ, როგორც სოც. დემოკრატიული (მენშევიკური) გადახრა. ოპოზიციონური ბლოკის შეფასება ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის შესაძლებლობის, გლეხობის როლისა და მასთან პროლეტარიატის დამოკიდებულების საკითხში უდავოდ სოციალ-დემოკრატიული გადახრა და ლენინის მიერ ნაჩვენებ სწორი გზის უარყოფაა. რჩება რა თავის „პრინციპიალურ" შეხედულებებზე ოპოზიცია, შესაძლებლობას იტოვებს გართულებისას კვლავ თავს დაესხას პარტიას თავისი უპრინციპო შეხედულებით და არევ-დარევა შეიტანოს პარტიის პრაქტიკულ მუშაობაში, რომელ. ქვეყანა მიჰყავს სოციალიზმისაკენ. ამიტომ კრება გადაჭრით მოითხოვს: გაგრძელებულ იქნას დაუნდობელი ბრძოლა ყველა ანტილენინურ გადახრებთან, სანამ ოპოზიცია იდეურად. და პრაქტიკულადაც არ დადგება ლენინის მიერ ნაჩვენებ სწორ გზაზე, რომლის ურყევი გამტარებელია პარტიის ცენტრალური კომიტეტი. კრება განცვიფრებულია ადგილობრივ ოპოზიციის ზოგიერთ ხელმძღვანელების ორპირული განცხადებით, რომ ისინი შლიან თავიანთ ჯგუფს, ფრაქციებს, ემორჩილებიან პარტიის დადგენილებებს, მაგრამ რჩებიან ოპოზიციონური ბლოკის „შეხედულებებზე" მაშინ, როდესაც მათ არსებითად არავითარი საერთო არ ქონიათ ახალ ოპოზიციასთან. ეს ოპოზიციონერები სცდილობენ, შაბლონური მიბაძულობით შეეცადნენ უკვე ცნობილი და დაგმობილი ნაციონ. შეხედ. გაელამაზებინათ პარტიის წინაშე. ამიტომ ადგილობრივი „ოპოზიციის" შეხედულებების როგორც ვიწრო ნაციონალისტური გადახრის წინააღმდეგ, გაათკეცებული ბრძოლა უნდა იქნას წარმოებული მისი ერთხელ და საბოლოოდ აღმოფხვრისათვის.

კრება ღრმა რწმენას გამოსთქვამს, რომ მთელი პარტია ერთსულოვანი მუშაობით პრაქტიკულად გაატარებს მე-15-ე კონფერენციის დადგენილებებს და გადალახავს ყველა წინააღმდეგობებს.

კრება პირობას აძლევს საქ. კომპარტიის ცეკას, რომ შემოგარენის თემების და საერთოდ გურიის ორგანიზაცია ცეკასთან ერთად იქნება ყოველგვარ ანტილენინურ გადახრებთან ბრძოლაში.

გაუმარჯოს ერთად ერთ, მთლიან საკავშირო კომპარტიას და მის გამოცდილ ბელადს—ლენინურ ცეკას!

გაუმარჯოს საქმიან მუშაობას!

დაუნდობელი ბრძოლა ყველა იმათ, ვინც ხელს გვიშლის მუშაობაში!".

საკავშირო კომპარტიის ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტის პლენუმი

პლენუმის დღის წესრიგში სდგას შემდეგი საკითხები:

1) ცნობა შინა-პარტიული მდგომარეობის შესახებ,
2) ამიერ-კავკასიის პარტორგანიზაციების ზრდის მოწესრიგება,
3) ფასების დამკლები კომისიის მოხსენება,
4) ამიერ-კავკ. 1926—27 წ. სამრეწველო აღმშენებლობის გეგმა.
5) ამიერ-კავკ. წყალთა მეურნეობის სამმართველოს მუშაობათა გეგმა,
6) საორგანიზაციო საკითხები.

უჯრედის მუშაობის შესახებ

კომუჯრედების მუშაობა ნაყოფიერია მაშინ, როდესაც ის სწარმოებს განსაზღვრული გეგმის მიხედვით. დღეს კი ხშირად შეხვდებით ისეთ უჯრედებს, რომელთაც არავითარი გეგმა არ გააჩნიათ, ან რა თუ აქვთ გეგმა ის ქაღალდზე რჩება, ასე ვსთქვათ „წესისათვის", ხოლო მუშაობა ჩვეულებრივად უსისტემოდ მიმდინარეობს. განსაკუთრებით ითქმის ეს სოფლის უჯრედებზე. ეს რასაკვირველია არ არის ნორმალური მოვლენა. აიხსნება ის უმთავრესად იმით, რომ უჯრედებში, სოფლად მაინც იშვიათად გვყავს სათანადოდ მომზადებული და გამოცდილი მუშაკები, რომელთაც შეუძლიათ გეგმის გამომუშავება და შემდეგ მისი ცხოვრებაში გატარება, მაგრამ ყველგანაც რომ გვქონდეს გეგმები ესეც არ უშველიდა საქმეს. მთავარია ის, თუ როგორია გეგმა. შეფარდებულია ის თუ არა ადგილობრივ პირობებთან გათვალისწინებულია არა მასში უმთავრესი საჭირბოროტო საკითხები. ჩვეულებრივ უჯრედებს სამაზრო კომიტეტებიდან მოსდით სანიმუშო გეგმა. ზოგან ამ გეგმას პირდაპირ უცვლელად იღებენ; ეს არ არის მიზანშეწონილი.

სამაზრო კომიტეტიდან გადმოგზავნილი სანიმუშო გეგმა უჯრედმა უნდა გამოიყენოს, როგორც მუშაობის გეზის მიმცემი, შეავსოს ადგილობრივი საკითხებით, შეიტანოს შიგ ის ღონისძიებანი, რომელთა განხორციელება დაავალა უჯრედმა ბიუროს, ახლად არჩეულს.

დიდ და აჭრელებულ გეგმას არ უნდა გამოვედევნოთ; საჭიროა მოკლე გეგმა, სადაც აღნიშნული იქნება მთავარი საკითხები; წინააღმდეგ შემთხვევაში უჯრედი ვერც ერთ დარგში თვალსაჩინო საქმეს ვერ გააკეთებს.

ყოველივე ეს ლიტონ სიტყვებად დარჩება, თუ **კონტროლი** და პასუხისმგებ. არ გაძლიერდა. ბიურომ და უჯრედმა ყურადღება უნდა მიაქციონ თუ როგორ ატარებს გეგმაში აღნიშნულ ამა თუ იმ დავალებას უჯრედის თითეული წევრი.

უჯრედებმა უნდა დაამუშაონ და გეგმიანად ცხოვრებაში გაატარონ, მოკლეთ შემდეგი პრაქტ. ამოცანები. სოფლად: ღარიბთა ჯგუფების გამაგრება, საბჭოს საქმიანი მუშაობა, ღარიბებისადმი დახმარება, მოჯამაგირეთა შეკავშირება და მათი მდგომარეობის გაუმჯობესება, კოოპერატივის მუშაობის გამოკვლევა და მის ახალ არჩევნებში მონაწილეობა, საბჭოთა ახალ არჩევნებისათვის მზადება, ხოხსამკითხველოს კულტურული მუშაობა და სხვა.

ქალაქად: საწარმოო თათბირების მუშაობა, უკანასკნელ პარტკონფერენციის დადგენილების მიხედვით. მომჭირნეობის რეჟიმის მახინჯ მხარეების მოსპობა, მუშათა განათლების საქმის მოწესრიგება და სხვა.

როგორც სოფლად, ისე ქალაქად საჭიროა მასიურ მუშაობის გაძლიერება, წევრთა მეტი თვითმოქმედება, ლოზუნგის: „არც ერთი წევრი პარტიულ დავალების გარეშე" ცხოვრებაში გატარება; მეტი დახმარება-ხელმძღვანელობა კომკავშირის უჯრედსა და პიონერთა კოლექტივზე და ა. შ.

გეგმიანი მუშაობას უნდა მივაღწიოთ არა მარტო უჯრედებში, არამედ თემკომებშიც, რომელთაც ჯერ-ჯერობით დიდი გამოცდილება არა აქვთ.

ამ ამოცანების ცხოვრებაში გატარებას ხელს შეუწყობს სამაზრო კომიტეტების მიერ უჯრედების და თემკომების მუშაობის ხშირი დათვალიერება და ცოცხალ კავშირის გაძლიერება.

ა—ლი.

დავიცვათ კომუნისტი დეპუტატები

დეკემბრის პირველ რიცხვებში დაიწყება რუმინეთის სამხედრო საველე სასამართლოს პროცესი. რომელმაც უნდა გაასამართლოს კომუნისტი დეპუტატი ამხ. დობროჯეი, ბორის სტეფანოვი, ბ. ზაბარესკუ, ლ. დიჟური, ი. ილისი და ლ. ლოშკო.

ყველასათვის ცხადი უნდა იყოს საშინელი შედეგები ბურჟუაზიული სასამართლოსი თუ ამ სასამართლოს ხელი არ შეუშალა მთელი ქვეყნის მშრომელთა მასების პროტესტმა.

როგორც საზღვარგარეთ, ისე მთელ საბჭოთა კავშირში, მომზადებულია საზოგადოებრივი აზრი რუმინეთის კლასიური სასამართლოს წინააღმდეგ; მუშათა კლასი, ინტელიგენცია, საზოგადო მოღვაწენი, მწერლები, მასწავლებლები ყველა აღშფოთებულია მიმდინარე პროცესით. ყოველ მხრიდან ისმის საპროტესტო ხმები, რაც ცხადია, დიდ გავლენას იქონიებს ბურჟუაზიულ სასამართლოზე.

მთელი ქვეყნის მშრომელთა მასები საპროტესტო კრებებით და მიტინგებით ხელიდან გააგდებინებენ ჯალათს იმ მახვილს, რომელმაც უნდა განგმიროს მებრძოლი რევოლიუციონერების გული.

ამჟამად საქ. რემედასის ცენტრალური კომიტეტი ხელმძღვანელობს და ატარებს საზოგადო მოღვაწეთა და მეცნიერთა საპროტესტო მიტინგებს. ყველა დარწმუნებული უნდა იყოს იმაში, რომ ჩვენი საპროტესტო ხმა დიდათ შეუმსუბუქებს მებრძოლ ამხანაგებს მოსალოდნელ სასტიკ სასჯელს.

რა ბრალდებათ ზემოთ ჩამოთვლილ ამხანაგებს?

რუმინეთის ჟანდარმები მათ უყენებენ ასეთ ბრალდებებს: რუმინეთში არსებულ ხელისუფლების საწინააღმდეგო აგიტაციას, კომუნისტურ იდეების პროპაგანდას, შეთქმულებას, ბანდების მოწყობას, მეთაურობას და სხვა მრავალს.

აქედან ცხადია, როგორ მოჰკიდებს ხელს ჟანდარმების სასამართლო სახელოვან მებრძოლ რევოლიუციონერებს.

მშრომელთა მედგარმა საპროტესტო ხმებმა ჯალათს ხელიდან უნდა გააგდებინოს რევოლიუციონერების თავზე აღმართული მახვილი.

დავითაია.

ბრძოლა მომჭირნეობისათვის

მუშაობა კიდევ უფრო უნდა გავაძლიეროთ

საზოგადო შეხედულებათაა გადაქცეული, რომ მომჭირნეობის გატარებაში პასუხისმგებელია დაწესებულებისა თუ წარმოების ხელმძღვანელი. ამ შეხედულებას კიდევ უფრო აძლიერებს ის ფაქტი, რომ მომჭირნეობის კომისიები, სადაც კი იყვნენ ასეთები, ყველგან უქმდება და მთელი ამ საქმის ხელმძღვანელობა ადმინისტრაციას ეკისრება.

არსებითად ამის წინააღმდეგ არაფერი ითქმის, რამდენადაც განვლილი თვეების გამოცდილებამ საკმაოთ ნათლად დაგვანახვა, რომ მომჭირნეობის წარმატებით გატარებისათვის უფრო მიზანშეწონილია პასუხისმგებლობის ადმინისტრაციაზე დაკისრება.

მაგრამ აქ იქმნება ერთგვარი მიუღებელი სულიერი განწყობილება, რომელსაც ჩვენ ვერაფრს ვერ აუხვევთ. ესაა „ხელების დაბანა" მომჭირნეობის საქმეში. რაკი არის პასუხისმგებელი პირი, რაკი ადმინისტრაციას ევალება მომჭირნეობის გატარება, სხვებს შეუძლიათ „დაისვენონ", თავი არ იტკიონ ამ საქმით. ეს ყოვლად მიუღებელი შეხედულებაა, რომელსაც აქედანვე უნდა გამოეცხადოს ბრძოლა.

ადმინისტრაციაზე პასუხისმგებლობის დაკისრება ოდნავადაც არ ანთავისუფლებს ჩვენს ძირითად პარტიულ და პროფესიულ ორგანიზაციებს თუ პროფკავშირების თვითეულ წევრს მომჭირნეობისათვის ზრუნველობისაგან. ადმინისტრაცია მხოლოდ მომჭირნეობის ტეხნიკური გამტარებელია, ის პასუხისმგებელია ამ საქმეში. მაგრამ რა ფასი იქნება ადმინისტრაციის მუშაობას, თუ დაწესებულებაში ან წარმოებაში არ შეიქმნა მტკიცე საზოგადოებრივი აზრი მომჭირნეობის სარგებლობის შესახებ, თუ მომჭირნეობის გატარებაში მხურვალე მონაწილეობა არ მიიღო თვით მასამ?

აქედან ცხადია, რომ საწარმოო თათბირების, ეკონომიურ კომისიების, პარტუჯრედების და სხვა ორგანიზაციების დახმარება მომჭირნეობის გატარების საქმეში მეტი ენერგიით და ხალისით უნდა იქნას გაგრძელებული მომავალშიაც.

ამასთან ერთად საბჭოთა დაწესებულების თვითეულ მუშაკს, რა საქმესაც არ უნდა ასრულებდეს ის, უნდა მტკიცედ ახსოვდეს, რომ თავის მუშაობის ფარგლებში ის მოვალეა ყოველნაირათ დაიცვას მომჭირნეობა. ადმინისტრაცია, ძალიანაც მჭრელი თვალი რომ ჰქონდეს მას ყველა წვრილმანს ვერ დაინახავს, ყოველივეს ვერ გაითვალისწინებს და ამრიგათ ზევიდან მიღებული ღონისძიებებით ვერ აღმოფხვრის ყველა ტკივილებს მუშაობაში.

აქ საჭიროა თვით მომუშავეების აქტიური დახმარება. თავიანთ ყოველდღიურ საქმიანობაში, თვითეულმა თავის მუშაობის ფარგლებში უნდა ეცადოს თავიდან აიცილოს დაწესებულებას ზედმეტი ხარჯი და ან ასეთ ხარჯის გამომწვევი რაიმე დაბრკოლება.

ამრიგად პასუხისმგებლობა და ხელმძღვანელობა მომჭირნეობის საქმეში ადმინისტრაციას, მაგრამ დახმარება და აქტიური [illegible] ადმინისტრაციას ფართე მშრომელი მასის მიერ ამ ფრიად საპასუხისმგებლო ამოცანის მოგვარებაში.

მუშაკი.

სახელდახელო ბაზარი

ჩვენში ბევრი ჩივის საქონლის ნაკლებობას; საქონლის კრიზისი განსაკუთრებით საგრძნობია ჩვენს საფეიქრო მრეწველობაში, რასაც კიდევ უფრო ამწვავებს მოახლოვებულ ზამთრის სუსხი. მომხმარებლებს „იერიში" მიაქვთ სინდიკატებზე, კოოპერატივებზე, სახელმწიფო სავაჭროებზე.

არის ერთი გარემოება, რომელიც ხელოვნურად ამწვავებს კრიზისს. საქმე იმაშია, რომ ამ სავაჭროების წინ ჩამწკრივებულ „კუდებში" მომხმარებლების გარდა დგანან ჩარჩ-ვაჭრები— ქალი და კაცი, რომლებიც იაფ-ფასებში შინაძენ საქონელს „მამა-სისხლად" ასაღებენ სოფელ თუ ქალაქელ მომხმარებლებზე.

ამაში დასარწმუნებლად დილა ადრიანად ჩაიარეთ იერუსალიმის შესახვევში (თონეთის მოედანი). აქაც არა ნაკლები ერიამულია, ვიდრე ჩვენი სინდიკატების კარებში. „ინდუსტრია, ინდუსტრია"![*] თოთხმეტი „შაური" გაჰკივის ერთი, „და-ძმობას, თორმეტ აბაზად გამოგიტანია—ორ მანეთად ბიდე" ევაჭრება მეორე. აქედან წაღებული ჩარჩის ბოხჩა შემოივლის ჩვენს დაბასოფლებს და დასტყუებს გლეხკაცობას უკანასკნელ გროშებს. ჩარჩი ბოხჩით ზურგში ასწრებს კიდეც ზოგჯერ მოძრავ სასოფლო კოოპერაციის აპარატს; ბარგის ფულს არასოდეს გადაიხდის, ხშირად უბილეთოდაც გაძვრება ხოლმე, დიდ „ზედნადებ ხარჯებს" და „სამილიციობოს" არ გამოსძენის და რა გასაკვირია, რომ ხშირად აჯობებს კოოპერატივზე უფრო იაფად მიაწოდოს სოფელს საქონელი.

რით შეიძლება საქმეს ეშველოს? ერთის მხრივ საჭიროა, აიკრძალოს საქონლის გაცემა ხშირ მუშტრებზე, რომლებიც ყოველ ცისმარე დღე რიგებში დგანან; მეორეც სასაცილოა აშკარად დღის სინათლეზე, ქალაქის შუა გულში ჩარჩი ვაჭრები ეწეოდენ სპეკულიაციას ჩვენი კოოპერატივიდან გამოტანილ საქონლით. ეს სახელდახელო ბაზარი იხსნება დილის 6 საათზე და იშლება დილის 9 საათზე; აქ საჭიროა მილიციის და ხელისუფლების სხვა ორგანოების მაგარი ხელი.

ბ—ძე.

---

[*] რომელიც დაბეჭდილი იყო გაზ. „კომუნისტ"-ში 21 ნოემბრის ნომერში.

[*] ქსოვილის სახელწოდება.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

აფხაზეთი

აღწერის წინ

სოხუმი, 2 დეკემბერი. დღეს სოხუმში შესდგა პასუხისმგებელ სტატისტიკოსებისა და აღწერის ხელმძღვანელთა თათბირი. (ადს).

თამბაქოს დაღუპვა

სოხუმი, 2 დეკემბერი. წვიმებისა და ძლიერ-ხომხერ რაიონებში ხანძარმა გაანადგურა ახალი მოსავლის თამბაქო. ზარალი უდრის 15.000 მან. (ადს).

სოხუმის კეთილმოწყობა

სოხუმი, 2 დეკემბერი. სოხუმის კომუნალური მეურნეობის განყოფილება შეუდგა ქალაქის კეთილმოწყობის საქმეს. სწარმოებს ქვაფენილების, ტროტუარების და სხვ. შეკეთება.

ამას გარდა ხელახლა აშენებენ ხუთ დიდ სახლს და მთელ შენობებს ხუთი დიდი მაღაზიისათვის.

სამხრეთ-ოსეთი

ლოკომობილის შეძენა

ცხინვალი, 2 დეკემბერი. სამხრეთ-ოსეთის სახალხო მეურნეობის საბჭომ საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოდან ხე-ტყის სახერხ ქარხნისთვის მიიღო 20 ძალიანი ლოკომობილი, რომელიც დაიდგმება ძველი ორთქლის მანქანის მაგიერ. (ადს).

ფაბრიკის ელექტროფიკაცია

ცხინვალი, 2 დეკემბერი. ცხინვალში გატარდა გრეხილის ავეჯის ფაბრიკის ელექტროფიკაცია. გამზრახულია წარმოების სრული მექანიზაციის გატარება. (ადს).

წერილები

ცოტა რამ კედლის გაზეთებზე

დღითი დღე იზრდება კედლის გაზეთის რიცხვი. იშვიათია მოზრდილი სოფელი, რომ იქ არ გამოდიოდეს კედლის გაზეთი.

კედლის გაზეთი ემსახურება და უნდა ემსახურებოდეს მეურნეობის გაუმჯობესებას, გაზეთმა სასტიკი ბრძოლა უნდა აწარმოოს გლეხებში ჯერ კიდევ დარჩენილ ძველ ადათ-წესების და ზნე-ჩვეულებების წინააღმდეგ. იგი უნდა იდგეს საზოგადოებრივ ცენტრში და გაბედულად უნდა გამოქონდეს თავის ფურცლებზე საზოგადოების ესა თუ ის უარყოფითი ან დადებითი მხარეები. კედლის გაზეთებმა დიდი როლი უნდა ითამაშონ სოფლის კულტურულად აყვავებაში და დაწინაურებაში და სასტიკი ბრძოლა უნდა აწარმოონ ყოველგვარ უკანონო მოქმედების წინააღმდეგ. ერთი სიტყვით, ისინი უნდა შეიქნან სოფლის პროპაგანდისტები და ორგანიზატორები.

მაგრამ ზოგ ადგილებში კედლის გაზეთები ვერ ასრულებენ თავის დანიშნულებებს. ხშირად თავსდება წერილები ისეთ საკითხებზე, რომელთაც არავითარი დამოკიდებულება არა აქვთ ადგილობრივ ცხოვრებასთან. ზოგჯერ მთელი კედლის გაზეთის ფურცლები გავსებულია წერილებით „საერთაშორისო მდგომარეობის" შესახებ. ზოგან კი გაზეთი გავსებულია ყოველდღიურ ცენტრალურ გაზეთის მასალებით.

გარდა ამისა, კედლის გაზეთების მუშაობის ერთი მტკივნეული საკითხთაგანია ის გარემოება, რომ წერილები, რომელიც თავსდება კედლის გაზეთში სათანადო ორგანოებისაგან უყურადღებოდ რჩება.

კორესპონდენტთა კადრის შესაქმნელად და მათში აღმზრდელობითი მუშაობის საწარმოებლად, საჭიროა კედლ. გაზეთებთან ჩამოყალიბდეს კედლკორთა წრეები.

ვ. ძაბილაშვილი.

წითელი ქალაქის ავკარგი

(გორის მაზრა).

წითელი სასადილო მოთავსებულია თვალსაჩინო ადგილზე. თუ შეხვალთ შიგ, ბევრს იწყენთ. ისეთ გემოს სადილს გაჭმევენ, ორჯერ ისევე სადმე მიკიტანს მონახოთ ბაზარში და მასთან ისადილოთ.

ეს იმის ბრალი ყოფილა, რომ ადგილობრივ ეპოს თურმე იჯარით გაუცია ეს სასადილო და თვეში 100 მანეთის გამორთმევის მეტი არაფერი აგონდება მას. ისიც კი დავიწყებია, რომ აბრაზე „კოოპერატივის სასადილო" სწერია. მოიჯარადრეც ვაჭრობს არხეინად კოოპერატივის ფირმის ქვეშ.

ბაზარშიც ნაკლები სურათი არ დაგხვდებათ. ნახავ წამოქცეულთ ყასაბს თავისი დუქნის წინ შუა ქუჩაში ვეებერთელა ყორი და ჩუხჩუხით აფრქვევინებს ცხელ სისხლს მიწაზე. რა არის: მუშტარი მეტი მომივიდოს.

შემდეგ ცოტას ვივლით და იქვე დაინახავთ დიდს და კარგ გამართულ შენობას, რომლის ეზოში მდგარ ურემებზე მწოლარე ავადმყოფებით მიხვდებით, რომ აქ ალბად საავადმყოფო უნდა იყოს. მაგრამ ჩვენდა საუბედუროდ საავადმყოფოს გამგე ყოფილა ერთი გამოუცდელი ექიმი ქალი. გარდა ამისა მას ქართული ენაც არ სცოდნია. შენობა და მოწყობილობა საავადმყოფოსი საუკეთესოა, ხოლო საჭიროა ამ 30.000 მოსახლეობიან რაიონისათვის შესაფერ გამოცდილ ექიმის დანიშვნა.

აქვე ნახავთ ფოსტის კანტორას, მაღლა კიბეზეა, მაგრამ კანტორას კი არა, უფრო ქათმის ქანდარას წააგავს. 4—5 დღის გაზეთი ერთად მოდის შეკრული და აბავენ მოიცლის, რომ სულ ერთად წაიკითხოს? ფოსტას ქირაში სამჯერ სცვლიან სადგურზე და ზოგჯერ 5 დღე ისე გადის, გაზეთს ვერ ღებულობენ. არ ვიცი ამ შემთხვევაში თემ-აღმასკომს მოგონებია თუ არა ერთხელ მაინც ეტლის დაქირავება და საკითხის მოგვარება.

ეხლა მოვინახოთ თვით თემ-აღმასკომი. თურმე თავმჯდომარე და მისი მოადგილე აღმასკომის ბაღებში სიარულს უნდებიან, ვინაიდან „მაჭრობა" იყო და იმ მოსავლის პატრონობა უნდოდა, მაგრამ იმ დროს, როდესაც ბაზარზე მაჭარი ღვინო კოკა 25—30 მანეთს ფასობს, ისინი რაღაც მოსაზრებით ხოვლის ვენახების საუკეთესო ტკბილ ღვინოს ჰყიდიან 15 მანეთად კოკას.

„მიწერაქი".

რა მოგვცა წარსულმა წელმა

(ახალქალაქის მაზრა)

წინანარე წლის განმავლობაში აღმასკომის კომუნალურმა განყოფილებამ დაამთავრა შემდეგი საამშენებლო სამუშაოები: აშენებულ იქნა 14 დარაბა, შენდება ფარდული ბაზრის მოედანზე, შენდება 2 დარაბა, ნაწილობრივ აღდგენილ იქნა რამოდენიმე სახლი, შეკეთებულ იქნა სახელმწიფო დაწესებულებათა შენობები როგორც ქალაქად, ისე სოფლად და სხ.

წარმატებით მიმდინარეობდა აგრეთვე კერძო საბინაო აღმშენებლობა. მაგრამ კერძო ინიციატივას ხელს უშლიდა საამშენებლო მასალების ნაკლებობა და კრედიტების უქონლობა.

ენერგიულად მუშაობს აგრეთვე სარძევე არტელების კავშირი. ამას წინად შესდგა ახალქალაქის მაზრის სარძევე არტელების კავშირის რწმუნებულთა საზოგადო კრება. კავშირის მოქმედება დამაკმაყოფილებლად იქნა ცნობილი. კრებამ აღნიშნა, რომ გამგეობას დიდი მუშაობა უწარმოებია ახალი არტელების მოსაწყობად, და მათთვის ინვენტარისა და კრედიტების მისაწოდებლად.

კრებამ გაანაწილა მიღებული მოგება 2.279 მანეთი.

არტელებმა სეზონის განმავლობაში დაამზადეს 1.800 ფუთი თუშური ყველი, 406 ფუთი შვეიცარიული ყველი, ერბო—883 ფუთი. კავშირმა საარტელო ქარხნების ასაგებად გადასდო 2.191 მან., მათ მოსაწყობად—1.207 მან., ერბოს გადასამუშავებლად—6.303 მან. და სხვ.

ბ—ძე.

ტრაქტორმა კულაკი ალაგმა

(თელავის მ.)

ამ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ტრაქტორებმა ჩვენში დიდი პოპულიარობა მოიპოვეს. არ არის გლეხი, რომელიც ეხლა ტრაქტორზე არ ოცნებობდეს. გლეხები კავშირდებიან და აწყობენ სამანქანო ამხანაგობებს. ტრაქტორების რიცხვი მთელ კახეთ-ქიზიყში დღეს შვიდიოდე ათეულს უდრის. უმთავრესად გავრცელებულია ფორძონის სისტემის ტრაქტორები. ესენი მშვენივრად მუშაობენ ალაზნის გაღმა (მარცხენა) მხარეზე, სადაც მსუბუქი ქვიშნარი ნიადაგებია. ტრაქტორების წყალობით აგრონომიულ პუნქტებმა შეჩვიეს ზოგან გლეხობა მწკრივად თესვას სათეს მანქანების საშუალებით და რკინის ფარცხების ხმარებას.

საინტერესო ის არის, რომ იმ ადგილებში, სადაც ტრაქტორების შეჯგუფებაა (მაგალითად შილდა-ენისელის რაიონი), ე. ი. რამოდენიმე მანქანა ერთად მოქმედობს, იქ მუშაობაც უფრო ნაყოფიერია და მიწის ერთეულის დამუშავებაც უფრო იაფი ჯდება. აქ მოყვანილ რაიონში შარშან დღიურის მარტო მოხვნა ღირდა 15 მანეთი, რითაც სარგებლობდნენ შეძლებულნი, მუშა საქონლის პატრონი გლეხები. შემოტანილ იქნა სამი ტრაქტორი და მათი მუშაობის დაწყებისთანავე უკვე ხარკამეჩით დესეტინას (ორ დღიურს) უხნავდნენ 20 მანეთად. შემდეგში ტრაქტორებმა (ეხლა ამ რაიონში 8 მანქანა მოქმედობს) უფრო დიდი მეტოქობა გაუწიეს კულაკებს. დღეს აქ სამანქანო ამხანაგობათა ტრაქტორები უხნავენ და კიდეც დაუთესენ მსურველ გლეხებს დესეტინა მიწას 8—10 მანეთად.

სამწუხარო ის არის, რომ ხვნა-თესვის გარდა ტრაქტორები არ არიან გამოყენებული სხვა სამუშაოზე და თვეობით უმოქმედოდ ცდებიან. შემდეგ აღსანიშნავია გამოცდილ ტრაქტორისტების უქონლობა, რაც ხელს უწყობს ტრაქტორების სათანადო გამოუყენებლობას.

კიდევ ერთი გარემოება, რომელსაც დღიდანვე უნდა მიექცეს ჯეროვანი ყურადღება: აუცილებლად უნდა მოეწყოს იმ რაიონებში მაინც, სადაც ტრაქტორების შეჯგუფებაა, სარემონტო სახელოსნოები.

ეპიტე კაკულია.

მუშათა ცხოვრება

მთავარი სახელოსნოები შემოდგომაში

(სურათები სინამდვილიდან)

დილის 6 საათია. საყვირმა უკვე დაიღრიალა. ამოშავდა შავი ბოლი და მოუწოდა მთავარ სახელოსნოს მუშებს დაზგისაკენ.

ლენინის უბნის ქუჩები მოფენილია შავ, გამაზეთიანებულ ტანისამოსში ჩაცმულ მუშებით. ისინი მიეჩქარებიან მთავარ სახელოსნოსაკენ. თუმცა მათ თბილი ტანისამოსი აცვიათ, მაგრამ შემოდგომის სუსხიანი დღეები მაინც სციოდეს ვერის მათ.

— შემოდგომის პირმა მოატანა. სიცივეები დაიჭირა! ამბობენ ზოგიერთი მუშები თავისთვის, რომელთაც პირზე პალტოს ნაწილი მოუფარებიათ და ჩქარი ნაბიჯით მიეჩქარებიან დაზგისკენ.

რონოდის თავებზე დაურთვილავს. მთავარ სახელოსნოს რკინები „როგილში გახვეულან". რკინების ხელის მოკიდება მძიმეა, რადგან შემოდგომის სიცივეებმა უკვე ფეხი მოიკიდა. მართალია, ცივა, მაგრამ არც იმდენად. მუშების სხეული უძლებს ასეთ სიცივეებს.

— აბა ბიჭებო, ნომრები ჩამოვკიდოთ! გაისმა ნუშა გიგოს ხმა, რომელიც კუთხეში იდგა და პაპიროსის ბოლით ხელებს ითბობდა.

მუშათა მასამ „ნომრები" ჩამოკიდა. ყველანი დანაწილდნენ თავიანთ საამქროებში და დაიწყეს მუშაობა. აინთო ცეცხლი. დაიძრა მანქანები. ჰაერში ელექტრო-დენი. ტყავის ფართო ქამრებმა აამუშავეს მანქანები.

მანქანა ხმაურობს. მუშები ხალისიანად მუშაობენ. მზემ თავისი სხივები მოჰფინა თბილისის არე-მარეს და მთავარ სახელოსნოს უსიცოცხლო რკინებს თბობა დაუწყო.

სახელოსნოს ეზოში მომუშავე მუშებმა იგრძნეს სითბო.

ქარხანა ხმაურობს, ორთქლი ქშინავს. რკინები ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე გადააქვთ. სიცივე შეიცვალა სიცხით. ყველგან ცეცხლია. ყველა საამქროში ცეცხლის ბოლი ტრიალებს.

სამჭედლო საამქროს სიცივის ოდნავადაც არ ეშინიან. ქურები სიმხურვალეს იძლევიან. მჭედლების ერთ ნაწილს ხელები დაუმკლავებია და ლაზათიანად ირტყმევენ „მოვალ" სიმძიმით დატვირთულ უროებს გრდემლზე. მათ ეხმარება პატარა ჩაქუჩები და ასე იქმნება ის საგნი, რისი მოთხოვნილებაც არის.

თუჯის ჩამომსხმელი საამქრო ყოველთვის ძლიერია, მისი სიმძლავრე ადნობს თუჯს. დიზელის მანქანათა ჩქარი ტრიალით, ელექტრო-დენის სიძლიერით და 2.000 გრადუსიანი ტემპერატურის საშუალებით ადამიანი ახერხებს უამრავ ნატეხებისგან თუჯის დნობას.

უკვე დადნა თუჯი. იგი გადადის ფორმებში. აქ კი იქმნება საჭირო იარაღი. ძალიან ზედმეტ ზორკლებს მანქანის მჭრელი კბილები.

მძიმეა აქ მუშაობა. ამიტომ აქაურ მუშებს დამატებითი შვებულება ეძლევათ.

ზეინკლები დიდრონ ქლიბებს უხახუნებენ რკინებს. ქლიბების მკვეთრი კბილები აშორებენ რკინის ზედმეტ „ხორცს" აპატარავებენ და ასუფთავებენ.

მუშაობა რთულია. აქაური შთაბეჭდილება ერთობ წარმტაცია ყველაფრით აქ განცვიფრებაში მოდიხარ.

სადურგლო საამქრო როგორც ყოველთვის, დღესაც დაღვრემილია. მას აღვიძებს მხოლოდ ჩვეა სამქროთა ხალისიანი მუშაობა. მუშები აშინებენ ფოლადის შალაშინებს. სადურგლო საამქროში სახერხი მანქანაც არის. მისი ცერის ოდენა კბილები სწრაფად ხერხავენ ფიცრებს.

— აბა გიორგი! ერთი ამ ფიცარს ვეღარ ჩავაკეხებროთ. გაისმა ხმა ვინმე საყურადღებოდ და უმეგებელი ფიცარი სახერხ მანქანის მკვეთრმა კბილებმა დაარღვია.

მილების დასამზადებელ განყოფილებაში ახალ მილებს მოუყრია თავი. მუშების ძლიერელი ძალღონე სწრაფად ლუნავს მათ მომდინარე მანქანების საშუალებით. აქვე ხერხებენ სხვადასხვა რკინებს.

სალესი ჩარხი გამუდმებით ტრიალებს. გაფუჭებული და დაზიანებული იარაღის გალესვა აქ სწარმოებს.

სამღებრო საამქროში იღებება ორთქლმავალები, რონოდები და სხვა. მრავალფერიანი საღებავები აჭრელებენ მუშების ტანსაცმელებს. შეღებილია მათი ხელებიც.

აქ იზრდება შრომის ნაყოფიერება საერთო ძალით, კოლექტიური მუშაობით. მთავარ სახელოსნოს სახით რკინის გზა ადგია უაღრეს განვითარებას.

— საყვირი!

— საყვირი! საყვირი!

— უკანასკნელი საყვირი!—ისმის მუშების ხმა.

სამ საათს მხოლოდ ხუთი წუთი აკლია. მუშების ერთი ნაწილი მიეჩქარება ხელების და პირის დასაბანად.

უკვე გამორიდენ მუშები მთავარ სახელოსნოს კარებს და კვლავ მოეფინენ თბილისის ქუჩებს.

სახელოსნო სდუმს.

იგი ისვენებს. ხვალ იგი კვლავ გაიღვიძებს. მის დუმილს საუკუნო ძალი არ აზის.

შრომა თანდათან ორკეცდება. შრომის ცეცხლის მძლავრი შუქი აბრჭყინებს მუშების სახეს. შრომის ნაყოფიერება დღითი დღე იზრდება. აქ სიცოცხლე სდუღს!

ასეთია შემოდგომის სურათი მთავარ სახელოსნოში.

ძველი მუშკორი.

ქალაქ ქუთაისის ტუბდისპანსერი

(წერილი ქუთაისიდან)

ქუთაისში, ცხაკაის ქუჩაზე, ერთ მეტად ლამაზ სახლს დიდი ასოებით აწერია „ტუბდისპანსერი" მართალი გითხრათ, პირველად ვერც კი გავიგე ამ სიტყვის მნიშვნელობა და შევედი თვით შენობაში, რათა გამეგო, თუ რას ნიშნავდა ეს სიტყვა.

უკვე 12 საათი იყო. კარები ღია დამხვდა. მომვლელმა ქალმა, რომელიც იქვე კარებში იდგა, მიმითითა დიდ დარბაზისაკენ. აქ ვნახე სარეგისტრაციო ოთახი, სადაც მოწყალე და ზრდილობიანად და ალერსიანი კილოთი ამიხსნა, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ამ დაწესებულებას ჩვენი ხალხის კეთილდღეობისა და ჯანმრთელობისათვის.

ამის შემდეგ ხშირი სტუმარი გავხდი ტუბდისპანსერის, თვით ტუბერკულოზით შეპყრობილი და დავრწმუნდი, რომ მხოლოდ ასე კარგად საქმის მცოდნე მუშაკების ჩვენი გლეხის და მუშა-მოსამსახურეთა ჯანმრთელობის საქმე წინ წაიწევს და მათაც საშუალება ექნებათ ეწინააღმდეგონ მათ შეუბრალებელ მტერს, ტუბერკულოზს.

ტუბდისპანსერში ხალხი ბლომად მიდის, უფრო კი მუშა-მოსამს., სოფლის გლეხობა და მათი ოჯახის წევრები. აქ ავადმყოფ ხალხს გულს უმაგრებს და იმედს უღვიძებს თავაზიანი მოპყრობა მოწყალე დების და ექიმების. მათ ავადმყოფობაზე დადებითად მოქმედობს სისუფთავე, სილამაზე და წესიერება, რომელსაც ამ დაწესებულებაში ფეხი მაგრათ აქვს მოკიდებული. აქ მათ აქვთ საშუალება უფასოდ ნახონ ექიმი, რომელიც მათ სათანადო რჩევა-დარიგებას აძლევს, უფასოდ მიიღონ წამალი. ისეთ ავადმყოფებს კი, რომელთაც ფილტვები ოდნავ დაზიანებული აქვთ და კარგი მოვლით და კვებით მათი განკურნება შეიძლება, ბინასაც აქ უჩენენ და ორი თვის შემდეგ გაჯანსაღებულ ისტუმრებენ შინ. ოცი ავადმყოფი ბავშვი, მუშა-მოსამსახურეების შვილები და ოცი თვით მუშა-მოსამსახურეც იკვებებიან ორი თვის განმავლობაში ტუბ-დისპანსერში. ბავშვებს ჰყავს მასწავლებელი, რომელიც მათ ართობს. ბავშვები თავისდაშეუმჩნევლად მისი საშუალებით იძენენ ცოდნას იმის შესახებ, თუ როგორ უნდა თავის მოვლა, როგორ უნდა გაჯანსაღონ ფილტვები, ურომლისოდაც ადამიანის ცხოვრება ყოვლად შეუძლებელია.

მოსაცდელ ოთახში ყოფნის დროს გამოვარკვიე, რომ ავადმყოფები ტუბ-დისპან. დადიან მარტო ახლო მახლო სოფლებიდან კი არა, არამედ ძალიან შორიდანაც.

ამ დაწესებულების არსებობა ქალ. ქუთაისში ამტკიცებს, რომ დასავლეთ საქართველოში ჯანმრთელობის საკითხი პირველ რიგზეა დაყენებული და საბჭოთა ხელისუფლება დიდი ყურადღებით ეკიდება გლეხების და მუშა-მოსამსახურეების ჯანმრთელობას.

ტუბ-დისპანსერი მარტო საავადმყოფო კი არ არის, არამედ იგი ისეთი დაწესებულებაა, სადაც ზედმეტ შრომისაგან დაღლილ-დაქანცულ ადამიანს საშუალება აქვს მოისვენოს სულით და განიკურნოს იმ მძიმე ავადმყოფობისაგან, როგორიც არის ტუბერკულოზი.

მშრომელი ქალი თინა ჩ...ძე.

არის თუ არა ეს დაუდევრობა?!

თბილისის საუბნო სანგარიშო კანტორაში შეადგინეს ნოემბრისათვის ხელფასის სია მემანქანეების და მეტრაპლემების ბრიგადისა და სიაში შეიტანეს განსხვავება ოქტომბრის თვის მომატებულ ჯამაგირისა.

მაგრამ უკვე გამზადებული სია ჯამაგირების დასარიგებლად იქნა გაუქმებული და შეიქნა ხელმეორედ გადასაკეთებლად.

რა იყო ამის მიზეზი? მიზეზი ის იყო, რომ წევის სამსახურის სექციამ არ გაითვალისწინა საუბნოში გამზადებული სიის მდგომარეობა და, აცნობა ბრძანება სტატისტიკურ განყოფილებას (წევის სტატისტიკა), რათა საგერმო ჯილდოდან დაეჭირათ ოქტომბრის მომატებული განსხვავება, რომელიც არც კი გვქონდა მიღებული.

განა დასაშვებია ასე უთავბოლოდ ფულების დარიგება და ამდენი შრომისა და ქაღალდის ფუჭება.

რას გვიპასუხებს ინჟ. მანდენოვი ამაზე.

მუშკორი ჩია ლევან.

მუშათა წერილებიდან

— **ვინ მისცა ამის უფლება.** 17 ოქტომბერს დილის 10 საათზე გორის ქუჩის შესახვევში იდგა ავტომობილი № 148.

აღნიშნულ ავტომობილის შოფერმა ჩასვა შიგ თითქმის ბავშვი და სამ საათზე მეტი ხნის განმავლობაში არონია ისინი. ბენზინი ტყუილად დაიხარჯა. ავტომობილი ეკუთვნის რკინის გზის წარმოებას.

სამმართველომ უნდა გამოარკვიოს ეს საქმე და მიიღოს სათანადო ზომები ასეთი ბოროტების წინააღმდეგ.

მუშკორი ე. არხიპერილი.

— **რას იტყვიან ამაზე.** რკინის გზის საავადმყოფოში სარენტგენოლოგიო კაბინეტთან წესრიგი არ არის დაცული. ხშირად ადგილობრივი თანამშრომლები კერძო ზაფს უნდებიან ხოლმე, მთელ სამუშაო დღის განმავლობაში. ამის გამო რიგში მდგომი მუშები უკმაყოფილებას გამოსთქვამენ.

საავადმყოფოს ადმინისტრაცია, რას იტყვი ამაზე?

მუშკორი რადიუმი.

— **მოსვენებას არ გვაძლევენ.** პირველ რაიონში ლენინის ქუჩის მახლობლად მდებარეობს აბანოების ქუჩა. ამ ქუჩაზე ყოველგვარ უწესოებას აქვს ადგილი. ამას ხელს უწყობს აქ მოთავსებული სამიკიტნო, სადაც მთელი ღამის განმავლობაში ლოთობენ. ქეიფობა და აურზაური საშინელი აქვს. არც სისუფთავე დაცული ამ ქუჩაზე, რასაც აღმასკომმა ყურადღება უნდა მიაქციოს.

მუშკორი შრიშინა.

— **ბილეთები ძვირია.** „მუშათა თეატრში" (ყოფ. სახალხო თეატრი) მუშა ბილეთს ვერ ყიდულობს სიძვირის გამო.

მუშათა თეატრის გამგეობას მართებს შეღავათიან ფასებში გაყიდოს ბილეთები.

მუშკორი კოლოდიუმი.

თათბირები

სტატისტიკურ სამმართველოთა უფროსების თათბირი

2 დეკემბერს ა.-კავკასიის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოში გაიმართა ა.-კ. ფედერაციაში შემავალ რესპუბლიკანურ სტატისტიკურ სამმართველოების უფროსთა თათბირი.

თათბირის დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: საინფორმაციო მოხსენება მოსკოვში გამართულ სააღწერო თათბირის მუშაობის შესახებ, მოხსენებები რესპუბლიკებიდან, აღწერის ხარჯთაღრიცხვები თვითეულ რესპუბლიკისათვის ცალკე, და სხვა.

პირველი სხდომა

დილის სხდომაზე საინფორმაციო მოხსენება გააკეთა ა. კ. ც. სტ. სამმართველოს უფროსმა ამხ. გრიგორიანმა. თავის მოხსენების პირველ ნაწილში ამხ. გრიგორიანი შეეხო მოსკოვში გამართულ თათბირის მუშაობას და აღნიშნა, რომ თათბირმა დიდი შეღავათი მოიტანა აღწერის საქმის შესწავლაში. მოსკოვში გამართულ თათბირს დაესწრნენ საბჭოთა ყველა რესპუბლიკების წარმომადგენლები.

თათბირზე უმთავრესად ირჩეოდა აღწერასთან დაკავშირებული საკითხები და ამ თანხის განაწილების საკითხი, რომელიც გადადებულია სრულიად საკავშირო საყოველთაო აღწერის ჩატარებამდე. მოსკოვში გამართულმა თათბირმა შეიმუშავა აგრეთვე გეგმა, თუ რა წესით და რა ხაზით უნდა იქნას დამუშავებული აღწერით შეგროვილი მასალები.

შემდეგ მომხსენებელი შეეხო ამიერკავკასიის რესპუბლიკებში ჩატარებულ სააღწერო მოსამზადებელ მუშაობას და წინადადება მისცა თათბირს, რომ მომავალი იანვრის 10—15 რიცხვებში კვლავ მოწვეულ იქნეს ა.-კ. რესპუბლიკათა ც. სტ. სამმართველოების თათბირი, სადაც შესწავლილ იქნება აღწერით შეგროვილი მასალები, როგორც დემოგრაფიულის, ისე სოციალური ნიშნების კვალობაზე.

ამხ. გრიგორიანის მოხსენების შემდეგ მოხსენებები გააკეთეს რესპუბლიკათა წარმომადგენლებმა ჩატარებულ სააღწერო მოსამზადებელ მუშაობის შესახებ. მოხსენებებიდან გამოირკვა, რომ ყველა რესპუბლიკებში მუშაობა ჩატარებულია თავის დროზე და დამაკმაყოფილებლად.

მეორე სხდომა

საღამოს სხდომაზე უმთავრესად განხილულ იქნა სხვადასხვა რესპუბლიკებში აღწერის ჩასატარებელი ხარჯთაღრიცხვების დამუშავების საკითხი. თათბირმა მოისმინა ამის შესახებ რესპუბლიკების წარმომადგენელთა განცხადებანი და დაადგინა აღწერის ჩასატარებლად რესპუბლიკებს მისცეს შემდეგი თანხები: **საქართველოს—160.000** მანეთი, **აზერბეიჯანს—140.000** მანეთი, **სომხეთს—65.000** მან.

სააღწერო ხარჯთაღრიცხვები ზემოთ მოყვანილი თანხების რაოდენობით ითვლება საორიენტაციო ხარჯთაღრიცხვებად და თუ რომელიმე რესპუბლიკაში აუცილებელმა ხარჯებმა გადააჭარბეს ხარჯთაღრიცხვას ა.-კ. ც. სტ. სამმართველო დაარიგებს შესაძლებელი რაოდენობის თანხებს იმ სათადარიგო ფონდიდან, რომელიც მის განკარგულებაში ითვლება.

ა.-კ. სასოფ. სამ. ბანკების თავმჯდომარეთა თათბირი

გუშინ გაიხსნა ა.-კ. რესპუბლიკების სასოფლო-სამეურნეო ბანკების თავმჯდომარეთა მორიგი თათბირი. თათბირში მონაწილეობას ღებულობენ: საქართველოს, აზერბეიჯანის, სომხეთის, აფხაზეთის, აჭარისტანის და ნახიჩევანის სასოფლო-სამ. ბანკების თავმჯდომარეები.

თათბირის დღის წესრიგში დასმულია 11-და სპეციალური ხასიათის საკითხი.

პირველ სხდომაზე თათბირმა მოისმინა მოხსენებები: 1) ამხ. მაზმანოვისა 1925—26 წლის საკრედიტო გეგმის შესრულების შესახებ და 1926—27 წლის ფინანსიურ-საკრედიტო გეგმის შესახებ და 2) ამხ. კ. ჩხენკელის—სას.-სამეურ. მანქანების შესაძენად კრედიტების თავმოყრის და მანქანების დაკვეთების უნიფიკაციის შესახებ.

პირველ მოხსენების შესახებ თათბირმა დაადგინა: ა.-კავკასიის სასოფ.-სამ. საკრედიტო სისტემაში შარშან შემჩნეული დეფექტები, მიმდინარე სამეურნეო წლის განმავლობაში აღმოფხვრილი იქნენ, ხოლო რაც შეეხება მომავალში სასოფლო მეურნეობისათვის კრედიტების მიწოდებას, იგი შეთანხმებულ იქნას ბანკების საკუთარ ბრუნვებთან, ცალკე რაიონების მიხედვით. ამხ. მაზმანოვის მოხსენება თათბირმა მოიწონა და დაამტკიცა.

ამხ. ჩხენკელის მოხსენების შესახებ, თათბირმა მიიღო თეზისები, რომლებიც მიიღო „ზაკსელმაშ"-თან მოწვეულმა თათბირმა. იმ დამატებით რომ ტრაქტორების შესაძენათ კრედიტები უნდა გაიცეს ა.-კ. ბანკის საშუალებით. რაც შეეხება დანარჩენ იარაღ-მანქანებს, მათ შესაძენათ კრედიტები უნდა გასცენ მანქანების შემსყიდველმა და განმანაწილებელმა ორგანიზაციებმა, რესპუბლიკანურ ბანკებთან ერთად.

მეორე სხდომა

მეორე სხდომაზე მოსმენილ იქნა ამხ. კარახანიანის მოხსენება.—საბანკო ოპერაციების შესახებ, ამხ. ჩხენკელის—სპეციალურ კულტურებისათვის კრედიტების მიწოდების და ამხ. მაზმანოვის სპეციალურ კურსების-ყრილობების შესახებ.

თათბირმა ამხ. კარახანიანის მოხსენების მთავარ დებულებანი მიიღო ზოგიერთი ცვლილებებით.

ამხ. ჩხენკელის მოხსენების შესახებ, თათბირმა მიიღო დადგენილება, რომლის თანახმად სპეციალურ კულტურებისათვის კრედიტების გაცემა თავმოყრილი უნდა იქნეს სასოფ.-სამეურნეო საკრედიტო სისტემაში.

ამხ. მაზმანოვის მოხსენება თათბირმა მიიღო ცნობად და სახელმძღვანელოდ.

ა.-კ. რკ. გზ. შრომის ინსპექტორების თათბირი

გუშინ ა.-კ. რკ. გზ. პროფკავშირის შენობაში გზათა ინსპექტორის ამხ. სიზოიენკოს თავმჯდომარეობით გაიხსნა ა.-კ. რკ. გზ. შრომის ინსპექტორების თათბირი. თათბირს ესწრებიან გზის ყველა საუბნო ინსპექტორები.

თათბირმა პირველ რიგში მოისმინა მოხსენებები ადგილებიდან, ცალკე უბნებზე მუშაობის შესახებ.

შემდეგ მოსმენილ იქნა ა.-კ. რკ. გზ. დამხმარე სალაროს მოხსენება.

თათბირმა განიხილა და დაამტკიცა აგრეთვე 1926-27 წლის მუშაობის გეგმა.

მილიციის უფროსთა თათბირი

თბ. მაზრის რამილიციის უფროსთა თათბირის მეორე სხდომაზე გაკეთებულ იქნა მთელი რიგი მოხსენებანი მილიციის სოფლად მუშაობის შესახებ.

მილიცია და გლეხობა

მილიციის დამოკიდებულების შესახებ ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებთან მოხსენება გააკეთა ამხ. გველია.

თავის ვრცელ მოხსენებაში, ორატორი აღნიშნავს, რომ ლოზუნგი გლეხობასთან დაახლოების შესახებ, ყველაზედ უწინ უნდა გაახორციელოს მილიციამ. მილიციის მუშაკები ყველაზედ უფრო ახლო დგანან გლეხებთან, რომელიც თავის დამოკიდებულებას ხელისუფლებასთან საზღვრავს მილიციასთან დამოკიდებულებით.

შემდეგ მომხსენებელი ჩერდება იმ პრაქტიკული მნიშვნელობის საკითხების განმარტებაზე, რომელიც ყველაზე უფრო აწუხებს ადგილების წარმომადგენლებს.

მოხსენების შემდეგ დამსწრეებმა შეიტანეს შეკითხვები ცალკე კონკრეტული საკითხების შესახებ, რაზედაც სათანადო პასუხი მიიღეს.

მილიციის ამოცანები

მილიციის მუშაობის უახლოესი ამოცანების შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. შ. კილურაძემ.

მომხსენებელი ეხება მილიციის მუშაობის საერთო პირობებს და აღნიშნავს ხშირათ თათბირების მოწვევის მნიშვნელობას. ორატორი საჭიროთ სცნობს ასეთი თათბირები იმართებოდეს სისტემატიურათ ყოველ 2—3 თვეში, რომ ამით დაცული იქნეს მუდმივი ცოცხალი კავშირი ადგილებთან.

შემდეგ ამხ. კილურაძე ჩერდება თემაღმასკომების და მილიციის ორგანოთა უფლება-მოვალეობებზე, განმარტავს მილიციის პირად შემადგენლობის შერჩევის მნიშვნელობას, ეხება მილიციელთა შორის კულტურულ მუშაობას და აღნიშნავს, რომ დღეს წითელი მილიციელი უნდა იყოს უპირველეს ყოვლისა კულტურული მოქალაქე და იგი თავისუფლათ უნდა ერკვეოდეს საბჭოთა ხელისუფლების მიზნებსა და პოლიტიკაში.

შემდეგ, მომხსენებელს საჭიროთ მიაჩნია, რომ შეძლებისდაგვარათ მილიციის შემადგენლობა შერჩეულ იქნეს ადგილობრივი მოსახლეობიდან.

სხდომის ბოლოს სადირექტივო მოხსენებებით გამოვიდნენ პროკურატურიდან — პროკურორი ამხ. ჯანჯღავა და სისხ. სამ. მილიციიდან ამხ. წერეთელი.

ამხ. ჯანჯღავა და ამხ. წერეთელი ეხებიან მილიციის მუშაობას ადგილებზე ერთი საბჭოთა კანონმდებლობის თვალსაზრისით, ხოლო მეორე—სისხლის სამართლის თვალსაზრისით.

ორატორები იძლევიან დაწვრილებითი განმარტებებს მილიციის მუშაობის დამახასიათებელ მომენტების შესახებ.

მებამბეობის რაიონებში

ა.-კ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ცნობით, ა.-კავკასიის მებამბეობის რაიონებისათვის პურის მიწოდება ვერ მიმდინარეობს სათანადო წარმატებით. წელს ბამბის რაიონებში შეიზიდა მეტად დაბალი ხარისხის ხორბალი. შეზიდულ ხორბლის შემოწმებამ, რომელიც ამ დღეებში სწარმოებდა ბაქოში, ნათელჰყო, რომ ხორბლის უმეტესობა მეტად დაბალი ხარისხისაა.

ა.-კ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა საჭიროდ სცნო დაევალოს ხორბლის მიწოდების საქმე პურის შემომზიდველ ორგანიზაციებს—„ლეპმპრომდუქტს", „კავხლებს", სახელმწიფო ბანკს და ა.-კ. კოოპ. ცენტრ. კავშირს. ბამბის რაიონში წელს შეიზიდება 1.500.000 ფუთი პური.

აბრეშუმის ქარხანა

თელავის აბრეშუმის სახვევ ქარხანაში მუშაობა დაიწყო მიმდინარე წლის ივნისიდან. ქარხანაში ამჟამად მუშაობს 126 მუშა. ქარხნის თვიური ნაყოფიერება 625 კილოგრამ ამოხვეულ ძაფს უდრის.

ამ დღეებში შრომის კომისარიატში შესდგა თათბირი, რომელმაც დაადგინა გაიგზავნოს სპეციალური სანიტარულ-ტეხნიკური კომისია თელავის ქარხანაში სამუშაო პირობების გამოსაკვლევად. კომისიას ევალება შეადგინოს წარმოების ძირითადი რუკა, აწარმოოს ფიზიკო-ქიმიური გამოკვლევა და შეისწავლოს წარმოების სანიტარული პირობები.

ამხ. ფ. მახარაძის მისალმება აჭარისტანის მშრომელთ

სხალთის გზატკეცილის გახსნის გამო საქ. ცაკის თავმჯდომარემ ამხ. ფ. მახარაძემ შემდეგი მისასალმებელი დეპეშა გაგზავნა აჭარისტანის ავტ. ს. ს. რ. ცაკის თავმჯდომარის ამხ. მ. ხურმანიძის სახელზე:

სხალთის გზატკეცილის გახსნის გამო საქართველოს მშრომელთა სახელით მოგილოცავთ სამეურნეო ფრონტზე ბრწყინვალე გამარჯვებას. გისურვებთ კიდევ მრავალ გამარჯვებას საამშენებლო ფრონტზე.

გაუმარჯოს აჭარისტანის აღმშენებლობას!

ვწუხვარ, რომ დროის უქონლობის გამო პირადათ ვერ ვესწრები თქვენს ზეიმს.

საქართველოს ცაკის თავმჯდომარე—ფ. მახარაძე.

მზადება საბჭოთა არჩევნებისათვის

თათბირი

ამიერ-კავკასიის ცაკის პრეზიდიუმმა დაადგინა უახლოეს ხანში მოიწვიოს აზერბეიჯანის და სომხეთის ცაკის საორგანიზაციო განყოფილებების თათბირი საქართველოს შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატთან ერთად. თათბირის მიზანია საბჭოების არჩევნების და ყრილობების მოწვევის საკითხის განხილვა. თათბირის დღის წესრიგში დასმულია მოხსენება: ადგილებიდან წინასწარი მოსამზადებელი მუშაობის მიმდინარეობის შესახებ და სხ. საკითხები.

საარჩევნო კომისია

ამიერ-კავკასიის ცაკის პრეზიდიუმმა დაადგინა დაარსოს ამიერ-კავკასიის ცაკის პრეზიდიუმთან ცენტრალური საარჩევნო კომისია ამხ. ელიავას (თავმჯდომარე), **შავერდოვის, იუსიფოვის, ჯაფარიძის, იაკუბოვის, სახაკიანცის, ხატნეკიანის, მელნიკოვის** შემადგენლობით. კომისიაში შევა აგრეთვე თითო წარმომადგენელი ამიერ-კავკასიის ფედ. სახ. რესპუბლიკაში შემავალი რესპუბლიკებიდან.

კომისიას დავალებული აქვს შეიმუშაოს ამიერ-კავკასიის ცენტრალური საარჩევნო კომისიის დებულების პროექტი და დასამტკიცებლად წარუდგინოს ამიერ-კავკასიის ცაკის პრეზიდიუმს.

ამ.-კავკ. საბჭოების ყრილობა

ამიერ-კავკასიის ცაკმა დაადგინა ამიერ-კავკასიის საბჭოების მეოთხე ყრილობა დანიშნოს 1927 წ. 5 აპრილისათვის.

აზერბეიჯანის, სომხეთის და საქართველოს ცაკის პრეზიდიუმებს წინადადება მიეცათ, რათა საბჭოების რესპუბლიკანური ყრილობების მოწვევა მოხდეს 20—30 მარტის შუა.

ამიერ-კავკასიის საბჭოების მეოთხე ყრილობის მოწვევის ადგილი ჯერ კიდევ არ არის გამორკვეული.

კატასტროფის შემდეგ

ავადმყოფების მდგომარეობა

ამხ. სიმონ ჯუღელის საერთო მდგომარეობას საგრძნობი გაუმჯობესება ეტყობა.

ამხ. თედო ღლონტს გუშინ ხელახლა მეუხვიეს ჭრილობა. ტემპერატურა ნორმალური აქვს. ავადმყოფის საერთო მდგომარეობა თვალსაჩინოდ გაუმჯობესებულია.

ინჟ. ბ. ჭიჭინაძე თავს კარგად გრძნობს.

პროფ. კაჰიანის განცხადებით, ერთ კვირაში მოსალოდნელია ავადმყოფის ავსებით მორჩენა და ფეხზე ადგომა.

ეკონომიურ საბჭოში

ბორჯომის ტყის ქარხანა

ბორჯომის ტყის ქარხნის სამუშაოთა მსვლელობისათვის თვალყურის დევნება დაევალა ს. მ. ე. ს. პრეზიდიუმს.

ქარხანა დაიწყებს მუშაობას 1927 წ. თებერვლის 25-ს ე. ი. საქართველოს გასაბჭოების მე-6 წლის თავზე.

1926-27 წ. პურეულის ბალანსი

ეკონომიურმა საბჭომ დაამტკიცა საქართველოს სტ. ცენტრ. სამმართველოს მიერ შემუშავებული რესპუბლიკის 1926-27 წ. პურეულის სავარაუდო ბალანსი.

პურეულის საერთო მოსავალი უდრის 43.978,3 ათ. ფ., ამ რაოდენობიდან ხორბალზე მოდის 15.142,7 ათ. ფ., ქერზე—5.312,3, სიმინდზე—23.090,1 ათ. ფ. და დანარჩენ მეორე ხარისხოვან პურეულზე 514.2 ათ. ფ.

1925-26 წელთან შედარებით ხორბლის გადიდება უდრის 2.682,9 ათ.ფ. (17,72 პროცენტი), ქერის 1.233,1 ათ. ფ. (23,22 პროც.). სიმინდი იძლევა შემცირებას 4.442,2 ათ. ფ. (16,19 პრ.). დანარჩენი ხორბლეული იძლევა შემცირებას 25 ათ. ფ. (4,7 პროც.).

1926-27 წ. უმუშევართა ფონდის განაწილება

1926-27 წ. უმუშევართა ფონდის გასაძლიერებლად გადადებული 160.000 მ. საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი პროექტის თანახმად განაწილებულ იქნა ქალაქებს შორის შემდეგნაირად: ქ. თბილისში—96,000 მან., ბათომში—17.300 მან., ქუთაისის მაზრა—13.860 მან., სოხუმი—11.300 მან., შორაპნის მაზრა—14.725 მან. და ფოთი—2.900 მან., დანარჩენი თანხა გადაეცემა შრომის სახ. კომისარიატს.

აბრეშუმის სახვევი ფაბრიკების მოწყობა

ს. მ. ე. ს. პრეზიდიუმის მოხსენების თანახმად, ეკონომიურმა საბჭომ საჭიროდ სცნო აბრეშუმის სახვევი ფაბრიკების მოწყობა: ა) ოზურგეთის მაზრაში—72 ტაშტიანი და ბ) ხონში—152 ტაშტიანი.

ს. მ. ე. ს. პრეზიდიუმს დაევალა გამონახოს ოზურგეთის მაზრაში აბრეშუმის სახვევი ფაბრიკის ასაშენებელი ადგილი სამაზრო აღმასკომთან შეთანხმებით.

ხონის აბრეშუმის სახვევი ფაბრიკის ტაშტების რაოდენობა მიმდინარე წელში უნდა იქნეს გადიდებული 128-მდე.

დახმარება

უპატრონო ბავშვებს

ამიერ - კავკასიის ცაკის პრეზიდიუმის 5 ივლისის დადგენილების თანახმად, ამიერ-კავკასიის ცაკის პრეზიდიუმთან გამოყოფილი იქნა კომისია უპატრონო ბავშვთა დამხმარე ლენინის სახელობის ფონდის შესაქმნელად და განაწილებლად.

ამიერ - კავკასიის ცაკის პრეზიდიუმმა უკანასკნელ სხდომაზე დაადგინა ამ კომისიაში დამატებით არჩეული იქნენ ამხ. იაკუბოვი, გინკენ, მახმუდოვი, შიუკოვა - კალიუგნაია და თითო წარმომადგენელი რესპუბლიკანურ კომისიებიდან.

აღნიშნული კომისიის მდივნად დაინიშნა—ამხ. შიუკოვა - კალიუგნაია.

აღწერის წინ

წინასწარი მუშაობა დამთავრებულია

საქართველოში 1 დეკემბერს დამთავრდა წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა მოსახლეობის აღწერისათვის. უკვე შედგენილია სამაზრო ბარათები, ქალაქების გეგმები, დასახლებულ ადგილების და სახლის პატრონების სიები.

აღწერის პერსონალის შეგროვება მაზრებში წარმატებით მიმდინარეობს. პერსონალის მთავარ კონტინგენტს (ზოგიერთ მაზრებში 50 პროც.-მდეა) მასწავლებლები შეადგენენ.

შედგენილია აღწერის ხელმძღვანელთა და მათ თანაშემწეთა სიები.

მასწავლებლები აღწერაში

განათლების სახალხო კომისარიატის სტატისტიკურ ცენტრალურ სამმართველოს შორის შეთანხმების თანახმად, 1926 წლის მოსახლეობის აღწერაში მონაწილეობას მიიღებენ ქალაქის და სოფლის მასწავლებლები. აღწერაში მონაწილე მასწავლებელთა სია შემუშავდება ადგილობრივ განათლების განყოფილების მიერ. სია დასამტკიცებლად გადმოეგზავნება განათლების სახალხო კომისარიატს. ჯერჯერობით სიები უკვე გადმოგზავნილია სიღნაღის მაზრიდან, სადაც აღწერისათვის გამოყოფილია 180 მასწავლებელი, ხოლო ფოთის რაიონიდან 14 მასწავლებელი.

ღვინის ფალსიფიკაცია

მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა გამოიმუშავა ახალი წესები ღვინის წარმოების შესახებ. ახალი წესების შემუშავება გამოწვეულია იმით, რომ უკანასკნელ ხანებში ადგილი აქვს ღვინის მასიურ ფალსიფიკაციას, რაც ჩრდილავს ჩვენი ღვინის პრესტიჟს და ქართული ღვინოების რეალიზაციაზე, როგორც ადგილობრივ, ისე შორეულ ბაზრებზე.

ახალი წესებით გათვალისწინებულია აგრეთვე ის გავლენა, რომელსაც ახდენს ყალბად დამზადებული ღვინის მოხმარება ჯანმრთელობაზე. ამიერიდან ნებადართული იქნება გაყიდვა მხოლოდ ისეთი ღვინოების, რომელშიაც არ ურევია არავითარი ჯანმრთელობისათვის მავნებელი ნივთიერებანი.

აკრძალულია ღვინოებში შერევა სხვადასხვა ხილეულობის წვენის, სახარინის, სხვადასხვა საღებავების, ფორმალინის, სპილენძის, ტყვიის, ბარიუმის და სხვ.

აკრძალულია აგრეთვე ადგილობრივი ღვინოების გასაღება უცხოეთის ფირმების სახელით.

ყველა ისინი ვინც დაარღვევს აღნიშნულ დადგენილებას, პასუხისგებაში იქნებიან მიცემული სისხლ. სამართლის კანონთა კოდექსის 195 მუხლის ძალით. გარდა ამისა დამნაშავეებს გადახდებათ ადმინისტრატიული წესით ჯარიმა 100 მანეთიდან 500 მანეთამდე.

ტყის სანერგეები

თელავის მაზრის მრავალი რაიონები მოკლებულია ტყეებს. ასეთ ადგილების გასაშენებლად სამაზრო აღმასკომის საადგილ-მამულო განყოფილებამ და მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატმა გადადგეს პრაქტიკული ნაბიჯი. თელავში მოწყობილი იქნა მეტყეობის მოკლევადიანი (თვენახევრიანი) კურსები, რომელზედაც მოწვეულ იქნენ მაზრის ახალგაზრდები ყველა რაიონებიდან, კურსების მუშაობა უკვე დამთავრდა და ამჟამად კურს დამთავრებულნი გაგზავნილ იქნენ თავიანთ რაიონებში. ახალგაზრდა მეტყევები შეუდგნენ ტყის სანერგეების გაშენებას. სხვა ჯიშებს შორის დიდი ყურადღება ექცევა უთხმელის ხის გაშენებას.

გზები

სამხრეთ - ოსეთის ავტონომიურ ოლქში ნოემბრის დასრულებისათვის დამთავრდა მთელი რიგი საურმე გზებისა და გზატკეცილების გაყვანა, რომელიც დაიწყო სამხრეთ - ოსეთის კომუნალურ მეურნეობის განყოფილებამ. გზების დიდი ნაწილი გაყვანილია ადგილობრივი სოფლების გლეხებისაგან საგზაო ბეგარის წესით.

პირველ დეკემბრისათვის უკვე დამთავრებული იყო შემდეგი გზები: სოფელ წონიდან თელეთის მიმართულებით მეჯვე წყლებამდე,—გზა სიგრძით 8 ვერსი; სოფელ წონიდან სოფელ სინაგურამდე (გზის სიგრძე უდრის შვიდ ვერსს). დამთავრებულია აგრეთვე გზების გაყვანა ყორნისის, ოკონის და წონარის რაიონებში. ამავე ადგილებში დამთავრებულია ორი ხიდის აგება მდინარე პაწაზე. ამჟამად სწარმოებს მუშაობა გზის გასაყვანად სოფელ ზარიდან ახაბეთამდე. გზის გაყვანა დამთავრდება იანვრის პირველ რიცხვებისათვის. მუშაობა გზის გასაყვანად სწარმოებს აგრეთვე ჟნდორის და მონასტერის რაიონებში, სადაც გასაყვანი გზების საერთო სიგრძე 40 ვერსამდე აღწევს. ახლად დამთავრებული გზები და აგრეთვე ის გზებიც, რომელიც ახლა გაყავთ აერთიანებენ სამხრეთ-ოსეთის ყველა რაიონებს ერთმანეთთან და მთავარ ცენტრთან.

ქსოვილების ლატარია

მოგებათა სია *)

სერია I

№ № 131, 855, 965, 618, 430, 411, 215, 962, 345, 686, 537, 926, 311, 577, 1000, 154, 305, 359, 546, 778, 955, 535, 290, 939, 893, 986, 812, 789, 783, 327, 371, 495, 419, 962, 555, 80, 905, 453, 614, 113, 192, 962, 527, 480, 263, 755, 739, 505, 431, 195, 353, 312, 497, 708, 461, 340, 850, 864, 978, 832, 508, 923, 966, 997, 315, 536.

სერია II

№ № 9, 745, 141, 310, 565, 664, 197, 991, 417, 520, 100, 635, 590, 772, 372, 914, 584, 189, 468, 523, 307, 932, 953, 248, 973, 980, 561, 738, 403, 586, 264, 421, 30, 675, 133, 954, 56, 892, 205, 564, 834, 715, 935, 52, 104, 126, 691, 518, 57, 369, 608, 244, 491, 333, 778, 906, 864, 34, 161, 81, 500, 101, 521, 653.

სერია III

№ № 753, 480, 768, 788, 514, 512, 752, 761, 550, 838, 439, 628, 225, 187, 649, 543, 399, 168, 937, 997, 856, 114, 27, 605, 878, 778, 498, 46, 306, 619, 600, 13, 371, 719, 390, 175, 374, 921, 530, 591, 208, 153, 145, 522, 908, 456, 686, 993, 293, 258, 903, 938, 574, 899, 72, 682, 484, 183, 290, 60, 552, 873, 97, 5, 471, 564, 99, 211, 851, 288, 889, 661, 313, 717, 406.

სერია IV

№ № 884, 852, 638, 424, 731, 85, 432, 322, 974, 108, 587, 572, 660, 376, 770, 633, 617, 859, 183, 494, 133, 551, 806, 606, 164, 98, 905, 692, 509, 518, 372, 142, 657, 645, 856, 656, 996, 1000, 185, 883, 189, 935, 921, 187, 407, 542, 802, 678, 673, 727, 456, 365, 253, 492, 179, 795, 182, 840, 263, 349, 377, 416, 653, 158, 310, 985, 52, 214, 629, 278, 744, 21, 603, 573, 866, 544, 880, 633.

სერია V

№ № 948, 353, 590, 248, 895, 495, 498, 14, 196, 766, 765, 736, 377, 754, 820, 552, 849, 669, 152, 1, 226, 285, 714, 141, 60, 140, 730, 124, 307, 594, 478, 164, 180, 95, 54, 484, 830, 67, 225, 713, 446, 724, 810, 3, 335, 803, 853, 24, 334, 284, 570, 70, 288, 896, 398, 938, 313, 639, 314, 701, 705, 953, 9, 290, 235, 675, 283, 573, 594, 775, 227, 502, 4.

სერია VI

№№ 386, 68, 790, 253, 728, 974, 474, 260, 740, 475, 837, 847, 720, 531, 611, 983, 976, 545, 789, 833, 801, 922, 836, 871, 59, 538, 223, 441, 747, 28, 655, 603, 262, 931, 698, 693, 574, 963, 736, 757, 381, 325, 536, 763, 143, 401, 115, 411, 555, 289, 909, 425, 953, 132, 266, 698, 43, 529, 765, 202, 709, 637, 375, 704, 157, 738, 71, 402, 413, 524, 814, 526, 155, 937, 183, 725, 2.

სერია VII

№ № 666, 184, 82, 952, 294, 461, 176, 613, 974, 883, 470, 457, 35, 667, 651, 131, 70, 86, 187, 74, 630, 14, 331, 482, 385, 408, 309, 491, 930, 900, 326, 358, 365, 971, 28, 735, 267, 901, 705, 954, 61, 631, 230, 503, 664, 269, 737, 877, 946, 915, 896, 567, 931, 590, 594, 81, 854, 697, 325, 740, 780, 342, 703, 662, 579, 230, 514, 764, 845, 725, 553.

სერია VIII

№ № 794, 109, 470, 713, 484; 288; 35; 533; 987, 185, 215, 714, 104, 696, 592, 356, 920, 15, 802, 83, 798, 11, 213, 279, 933, 508, 135, 780, 29, 945, 429, 614, 121, 320, 101, 419, 630, 814, 483, 338, 520, 419, 165, 875, 114, 140, 749, 941, 557, 377, 164, 309, 908, 516, 601, 314, 1, 603, 549, 80, 864, 207, 427, 195, 500, 865, 491, 462, 856, 381, 926, 78, 820, 957, 300, 532, 806, 400, 53, 50.

სერია IX

№ № 877, 315, 484, 544, 133, 47, 189, 730, 909, 559, 929, 717, 82, 937, 591, 411, 778, 364, 188, 894, 624, 885, 353, 224, 552, 777, 454, 562, 995, 967, 870, 199, 150, 573, 456, 809, 632, 738, 128, 87, 888, 429, 725, 388, 97, 516, 46, 424, 957, 195, 42, 193; 130; 889; 646; 379; 83, 551, 167, 541, 38, 903, 245, 949, 981, 528, 805, 354, 579, 615, 318, 17, 240, 371, 460, 489, 387.

(დასასრული)

ერთი დღით საგარეჯოში

გლეხ კორესპონდენტების მოძრაობა სტიქიურათ წარმოიშვა და სამწუხაროთ თითქმის ამდენადვე სტიქიურათ განაგრძობს ის ზრდას. ჩვენი რედაქციები, შეიძლება პატივსადებ მიზეზების გამო, ჯერ უწევენ სათანადო ხელმძღვანელობას გლეხ კორესპონდენტთა მოძრაობას. ეს მიუტევებელი დანაკლისია ჩვენი პრესის მუშაობაში, რომელსაც რაც შეიძლება მალე უნდა მოეღოს ბოლო.

სოფლად შეიქმნა ახალი და ძლიერი საზოგადოებრივი ძალა. მშრომელთა თვითმოქმედებისათვის ფართოდ გაშლილი საბჭოთა წყობილების პირობებმა გლეხ კორესპონდენტის სახით წარმოშვა ახალი ფორმაციის მოწინავე მუშაკი, რომელიც თავგამოდებით იბრძვის სოფლის ბოროტმოქმედების, ცრუმორწმუნეობის, სამეურნეო ჩამორჩენილობის და საერთო უკულტურობის წინააღმდეგ.

გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ სოფლის ეს ახალი ძალა, მოკლებული ჩვენი პრესის სათანადო ხელმძღვანელობას, მიტოვებულია „ბედის" ანაბარათ, ის თავისით იკვლევს გზას, თვითონ ებრძვის მრავალ საჭირბოროტო კითხვებს, რომელიც მუშაობის მსვლელობაში იჩენება და ამ ბრძოლაში ზოგჯერ მისდა უნებლიეთ შემცდარ ნაბიჯებს სდგამს, უხვევს თავის დანიშნულების სწორ გზიდან.

საჭირბოროტო საკითხები კი გლეხკორთა მუშაობაში მრავალზე უმრავლესია. ამის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს საგარეჯოს გლეხკორთა მუშაობა.

საგარეჯო მთელ თბილისის მაზრაში ცნობილია, როგორც კულტურული და მოწინავე თემი. აქ ბუნებრივათ გლეხ კორესპონდენტთა ზრდაც უფრო ფართოდ უნდა ყოფილიყო. ასედაც მოხდა. ჩვენში იშვიათად თუ ნახავთ ისეთ პუნქტს, როგორიც საგარეჯოა, სადაც გლეხკორთა მუშაობა ასე ფართოდაა გაშლილი. მაგრამ აქაც, როგორც ყოველგან, იგივე მოვლენაა —გლეხკორთა მოძრაობას აკლია ხელმძღვანელობა. აქედან გამომდინარეობს ის მტკივნეული მხარეები, რომელნიც, მრავალ მნიშვნელოვან მიღწევებთან ერთად, საკმაოთ ემჩნევა გარეჯელ გლეხკორთა მუშაობას.

ეს ნათლად დაგვანახვა „კომუნისტი"-ს წარმომადგენლის მონაწილეობით გამართულ საგარეჯოს თემის გლეხ კორესპონდენტების ყრილობამ, რომელიც მოხდა კვირას, 28 ნოემბერს.

გიორგი გარსიაშვილი

ყრილობა კვირა დღის იყო დანიშნული. ამინდიც საუკეთესო იდგა. ქუჩებში მრავალ გლეხებს დაუყრია თავი. ეს ალბათ იმით აიხსნება, რომ საგარეჯოში დღეს ორი საქმიანი და მნიშვნელოვანი კრება უნდა შესდგეს. ერთია კოოპერატივის რწმუნებულთა და მეორე გლეხ კორესპონდენტების ყრილობა.

ბაზრის შუა გულში, თვალსაჩინო ადგილას გამოკიდებულია ადგილობრივ კედლის გაზეთი, რომელსაც, ალბათ გლეხკორთა ყრილობის გამო, საზეიმო ელფერი აკრავს. ის მორთულია ცოცხალი ყვავილებით. კედლებზე აქა-იქ გაკრულია პლაკატები შესაფერი ლოზუნგებით გლეხკორის მნიშვნელობის შესახებ.

ვინ მოკაზმა ასეთი მზრუნველობით „სინათლე", ვინ მისცა საგარეჯოს გლეხკორთა ყრილობას ასეთი სადღესასწაულო ხასიათი? ეს გიორგი გარსიაშვილია, რომელსაც დიდიც და პატარაც იცნობს საგარეჯოში, რომელსაც მეტ სახელად საგარეჯოს აეროპლანს ეძახიან. ის ყველგან არის, ყველაფერში მოხჩანს მისი ხელი. არ არის ორგანიზაცია საგარეჯოში, რომელთანაც გიორგის კავშირი არ ქონდეს, თემში ისეთი კრება არ შესდგება, რომელზედაც გიორგი არ დაესწრება. რა გასაკვირია, რომ გიორგი ამავე დროს სული და გულია გარეჯელი გლეხკორების.

დილით უნდა შესდგეს საგარეჯოს კოოპერატივის რწმუნებულთა ყრილობა. გიორგი ამ ყრილობის მდივანია. საღამოს გაიხსნება გლეხ კორესპონდენტების ყრილობა. გიორგი აქ თავმჯდომარეა.

„სინათლე"

კედლის გაზეთ „სინათლე"-საც გიორგის დაუღალავი მუშაობის წყალობით უდგას სული. ის არის სარედაქციო კოლეგიის ერთი უაქტიურესი წევრთაგანი. გაზეთი ხელნაწერია. ის სისტემატიურად გამოდის. „სინათლე"-მ უკვე მოიპოვა თემში სათანადო პატივი და გავლენა. ერთი თვალის გადავლებით გაზეთი საუკეთესო შთაბეჭდილებას სტოვებს. ის მთლიანად ხელნაწერს წარმოადგენს და ისეთ გარკვეულ ხელნაწერს, რომელიც ბევრათ არ ჩამორჩება ნაბეჭდს. მაგრამ ამასთან ერთად გაზეთს ჯერ კიდევ ბევრი რამ აკლია.

კედლის გაზეთი, როგორც ვიცით, პლაკატის სახის გამოცემაა. აქ ილუსტრაციას და გაზეთის გარეგან სახეს დიდი მნიშვნელობა აქვს. „სინათლე" ამას მოკლებულია. რედაქციას არ ჰყავს მხატვარი, ესაა მისი მთავარი ნაკლი. უკარიკატუროთ მამხილებელ კორესპონდენტებს ეკარგება ძალა და მნიშვნელობა.

ამას გარდა კედლის გაზეთი ვერ იტევს გრძელ წერილებს. „სინათლე" ამ მხრივაც მოიკოჭლებს. მასში საკმაოთ არის დიდი წერილები. ეს შეიძლება იმით აიხსნას, რომ რედაქციას არ ყოფნის მასალები გაზეთის შესავსებათ. ასეთ შემთხვევაში სჯობს გაზეთი ორკვირეული იყოს, ნაცვლად მეტი სხვადასხვა მასალა ჩავა და წერილებიც უფრო დამუშავებული იქნება. გაზეთი ბევრს მოიგებს ამით.

ამასთან ერთად „სინათლე"-ს, როგორც გლეხკორების ყრილობაზე გამოირკვა, აკლია მტკიცე ხელმძღვანელობა. ყოფილა შემთხვევები, როცა ერთ და იმავე საგანზე დაწერილია ორი ერთი მეორის საწინააღმდეგო შინაარსის წერილები. ეს უკარგავს გაზეთს მის ნამდვილ სახეს და ვნებს მის ავტორიტეტსაც.

„სინათლის" მუშაობას, როგორც ეს შემჩნეულია ყველა კედლის გაზეთების საქმიანობაში, აფერხებს ნივთიერი ხელმოკლეობა. ერთად ერთი დამხმარე, რომელიც თავის ყურადღებას არ აკლებს გაზეთს, არის ადგილობრივი კოოპერატივი. ზოგიერთი დეფექტები, რომლებიც შემჩნეულია „სინათლის" მუშაობაში და, რომელთაც თვით სარედაქციო კოლეგიაც კარგათ გრძნობს, შეიძლება დაძლეული ყოფილიყო, რომ გაზეთი ნივთიერ ხელმოკლეობას არ განიცდიდეს. გარდა ამისა საჭიროა ჩვენმა გაზეთებმა საგარეჯოს გლეხკორებთან გააბან ცოცხალი კავშირი და სხვათაშორის უხელმძღვანელონ „სინათლის" გამოცემასაც.

ყრილობა

უკვე სოფლის ვახშმობას ბევრათ გადაცილებული იყო, როცა საგარეჯოს კლუბში გაიხსნა გლეხკორთა სათემო ყრილობა. კრება მოქანცული იყო, რადგან დამსწრენი ახლად მოვიდნენ კოოპერაციის რწმუნებულთა ხანგრძლივ და საქმიან ყრილობიდან. მიუხედავად ამისა, კრება დიდი ხალისით და სიცოცხლით ჩატარდა.

გარეჯელი გლეხკორები პოლიტიკურად საკმაოდ გათვითცნობიერებული, ენერგიული და მოკამათე ხალხია. არც ერთი საყურადღებო მომენტი არ გამოეპარებათ მოხსენებიდან. ყრილობაზე არიან როგორც ხანში შესული გლეხები, ისე ახალგაზრდებიც. საკმაოზე მეტია ქალებიც. აქვეა ადგილობრივ პარტკომის პასუხისმგებელი მდივანი ამხ. იმნაიშვილი, აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. აბრამაშვილი და თემის სხვა მოწინავე აქტიური მუშაკები.

აქ, ადგილობრივ ხელისუფალთა და გლეხკორესპონდენტების პირისპირ შეხვედრის, ამხანაგური საუბრის დროს მრავალ მტკივნეულ მხარეებს აეხადა ფარდა. გლეხკორების მთავარი საჩივარი შემდეგ სიტყვებში შეიძლება გამოიხატოს: „არ აქცევენ ყურადღებას ჩვენს წერილებს". ეს დიდი მნიშვნელობის საკითხია, რომელმაც ბუნებრივათ მიიპყრო დამსწრე ადგილობრივ მუშაკების და გლეხ კორესპონდენტების ყურადღება. პარტიულ ორგანიზაციის და აღმასკომის წარმომადგენლები გადაჭრით აცხადებენ, რომ ასეთ შემთხვევას ადგილი არა აქვს კიდევ მეტი, საგარეჯოს პარტკომი იმ წერილების საგანგებო რეგისტრაციას აწარმოებს, რომელიც იბეჭდება საგარეჯოს შესახებ როგორც ცენტრალურ პრესაში, ისე ადგილობრივ კედლის გაზეთში. თუ დარჩა რომელიმე წერილი უყურადღებოთ, ეს იმიტომ, რომ ის ან სიმართლეს არ შეეფერებოდა, ან შეუძლებელი იყო წერილში აღნიშნულ ბოროტმოქმედების გზა-კვალის მიგნება.

გლეხკორების უმრავლესობა მაინც თავის აზრზე იდგა. საქმე გათავდა იმით, რომ ეს მდგომარეობა ყველამ ერთხმად არანორმალურად იცნო. რა ლოღიკურ დასკვნას გამოიტანს აქედან საგარეჯოს ადმინისტრაცია, ამას მისი მომავალი მოღვაწეობა გვიჩვენებს.

გამამხილებელი ხასიათის წერილები

ეს იყო მთავარი და ერთად-ერთი ბრალდება, რომელიც დელეგატებმა წამოუყენეს ადგილობრივ პარტორგანიზაციას და ხელისუფლებას. სამაგიეროთ არც უკანასკნელნი დარჩნენ ვალში გლეხკორებს. პარტკომის წარმომადგენელმა თავის რამდენჯერმე წარმოთქმულ ვრცელ სიტყვებში მოიყვანა მეტად საგულისხმო მაგალითები საგარეჯოს გლეხკორთა მუშაობის ზოგიერთ უარყოფით მხარეების დასახასიათებლად.

პარტკომის ცნობით საგარეჯოდან მოთავსებულ ყველა კორესპონდენციებში სამი მეხუთედი ბოროტმოქმედებას, დაუდევრობას თუ სხვა ნაკლს აღნიშნავს და მხოლოდ ორი მეხუთედი წერილებისა აღმშენებლობითი მუშაობას ეხება ან ჩვეულებრივ საინფორმაციო კორესპონდენციებს წარმოადგენს.

როგორც ვიცით, ეს მარტო საგარეჯოს გლეხკორების მუშაობის ნაკლს არ წარმოადგენს. მუშა და გლეხ კორესპონდენტს ხშირად უჩივიან, რომ ისინი მხოლოდ უარყოფით ხასიათის ფაქტებზე აშენებენ თავიანთ წერილებს და ნაკლებ ყურადღებას აქცევენ იმ მიღწევებს, რომელნიც ჩვენ უსათუოდ გვაქვს. ბრალდება, თქმა არ უნდა, საყურადღებოა, მაგრამ არც იმდენად საფუძვლიანია, როგორც ეს შეიძლება ერთი შეხედვით მოგვეჩვენოს.

ჯერ ერთი უარყოფითი მხარეების აღნიშვნას მეტი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, ვიდრე დადებითის. გარდა ამისა ისიც უდავოა, რომ უარყოფითი მხარეებს ჩვენს სინამდვილეში საკმაოზე მეტია. რა გასაკვირია, ასეთ პირობებში გლეხკორის ყურადღება მიიპყრობ ჩვენი სინამდვილის მახინჯ მხარეებმა. ლენინი ამ საკითხს მაგალითად სულ სხვანაირად უყურებდა. ის სწერდა, რომ ჩვენ სათანადო დაჟინებით ვერ ვებრძვით ჩვენი სინამდვილის მტკივნეულ მხარეებს, რომ ჩვენ ვერ ვამხელთ, როგორც ეს საჭიროა, „ბოროტმოქმედთა კონკრეტულ მატარებლებს", „конкретных носителей зла".

ასე რომ ეს საყვედური საგარეჯელ გლეხ კორესპონდენტების მიმართ არც ისე დიდ სამართლიანია. აქ აღსანიშნავია მხოლოდ ერთი გარემოება, უარყოფითი მოვლენების დევნასთანვე არ უნდა გადავიტანოს კორესპონდენტი. ამასთან ერთად საჭიროა დადებითი მხარეებზეც წერა. მით უფრო თუ ეს დადებითი არის და თუ ის იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მისი არ შემჩნევა შეუძლებელია. ასეთ შემთხვევას კი მართლაც ჰქონდა ადგილი საგარეჯოში.

კოოპერატივი დაავიწყდათ

აი მაგალითად კოოპერაცია. იშვიათად თუ მოიძებნება ჩვენში კოოპერატივი, რომელიც ისე იაფად ვაჭრობს, მოგებას სტოვებს და მატერიალურ დახმარებას უწევს თემის ყველა კულტურულ საზოგადოებრივ დაწესებულებებს. გაფლანგვა, საზოგადო ქონების მითვისება კოოპერატივების მოარულ სენს წარმოადგენს. საგარეჯოს კოოპერატივი ყველა ასეთებიდან თავისუფალია.

კოოპერატივის ავტორიტეტი დღითი დღე იზრდება. ამას მოწმობს სხვათა შორის ის ფაქტი, რომ მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში წევრთა რიცხვი თითქმის ერთი ორად გაიზარდა. თუ ერთი წლის წინად საგარეჯოს კოოპერატივში 800 წევრი იყო, ამჟამად ეს კოოპერატივი 1.600 კაცს აერთიანებს. გამგეობას თავის მოგებიდან უფასოდ შეუყვანია კოოპერატივის წევრებად ღარიბი გლეხები, რაზედაც მას დაუხარჯავს 400 მანეთი. თეატრისათვის შეუწირავს 300 მანეთი; ღარიბ მოწაფეების სასარგებლოდ 400 მანეთი; ქოხ-სამკითხველოსათვის 200 მანეთი, კედლის გაზეთისათვის 50 მან., პიონერებისათვის 50 მან. და სხვა.

ამას გარდა წმინდა მოგება კოოპერატივს დარჩა 10.200 მანეთამდე. ამასთანავე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ამ მოგებასთან ერთად კოოპერატივი სხვებთან შედარებით იაფად ვაჭრობს. ამას ამტკიცებს ის ფაქტი, რომ გლეხები, როცა მათ გასაყიდი რამე ჩამოქონდათ თბილისში, მათთვის საჭირო საქონლის შეძენას ისევ საგარეჯოს კოოპერატივში არჩევდნენ და აქეთკენ მოეშურებოდნენ.

ცხადია, რომ ეს ფაქტი მეტად საყურადღებო მოვლენაა თემის ცხოვრებაში. ეს თვალსაჩინო მიღწევაა კოოპერატიული აღმშენებლობის დარგში, მიუხედავად ამისა, ამგვარი დიდი მნიშვნელობის დადებითი ფაქტი, მხედველობიდან გამოეპარა საგარეჯელ გლეხკორებს. ბევრ წვრილმანებზე და დიდ საკითხებზე იწერებოდა საგარეჯოდან წერილები, მაგრამ კოოპერაციის მუშაობა არავის მოჰგონებია. „სპილო" შეუმჩნეველი დარჩა, რაც ნაკლად უნდა ჩაითვალოს.

საქულა ნოქარი

სხვათაშორის, კოოპერატივის გახსენებაზე ზედმეტი არ იქნება საქულა ნოქარი მოვიგონოთ. ეს თავისებური ტიპია. ერთგული და ენერგიული მუშაკი, მაგრამ ერთი ნაკლი სჭირს. ნაკლი, რომელიც ზოგჯერ რატომღაც ჩვენში ნაკლადაც არ მიაჩნიათ. ესაა ვაზის ცრემლებისადმი სიყვარული.

საქულა მუშაობის დროს არასოდეს დათვრება. მაგრამ მორჩება თუ არა თავის საქმეს, შემდეგ ნუღარ მოსთხოვოთ პასუხს. ის თავისუფალი მოქალაქეა, ამიტომ თავისუფლად სვამს ნებუას. მისთვის ღვინო იგივეა მაგრი და პური. მოაკლე საქოს ღვინო და დარჩება ის უპუროდ. ეს ერთი და იგივეა. „როგორც ბებერ მუხას ვერ მოხრი, ისე საქოს ღვინოს ვერ გადააჩვევ", ამბობენ აქაურები.

საგარეჯელ კორესპონდენტებს აბა საქოს ეს სუსტი მხარე როგორ გამოეპარებოდა? ისე კალამს იშვიათად თუ ვინმე აიღებდა, რომ საქოს ლოთობა არ ემხილებინა გაზეთში. ერთხელ კარიკატურაშიც კი გამოხატეს. ამასთან აღსანიშნავია, რომ ყველა წერილი საქოს წინააღმდეგ ფსევდონიმით იწერებოდა.

საქულა სიბრაზისაგან გულს ასქდება: „რაღა შემზე მოიცლეს ამ მამაცხონებულებმაო" გულისწყრომით ბურტყუნებს, მაღალი, თვალადაჩაგრული, მუდამ ფარაჯაში გახვეული ეს ხალხი. მას განსაკუთრებით ვერ მოუწონებია ფსევდონიმები. „ეს რა ხათაბალაა, თქვენი ჭირიმე, ამბობს საქო, თუ რამე ჩემი არ მოგწონს, მოდი, რაღა, ვაჟკაცურად პირში მითხარი. რომ იმალები, რათ იმალები?" გაგულისებული შესჩივის ხოლმე საქო „თავის მოძმეს" უცნობ გლეხკორს, როცა ნახავს გაზეთში კორესპონდენციას „საქოს გმირობის" შესახებ.

საქულამ გაიგო, რომ დღეს გლეხკორების ყრილობაა და საგანგებოდ მოვიდა ყრილობაზე გულის ჯავრის გასაქარვებლად. მაგრამ რაკი ყრილობა საღამოს გაიხსნა, ე. ი. მაშინ, როცა საქოს თავისი მუშაობა კოოპერატივში გათავებული ჰქონდა, ცხადია საქულა ნოქარი მხიარულ გუნებაზე იქნებოდა. საქო გულდასმით უსმენდა ყრილობაზე გლეხკორების სიტყვებს და „კომუნისტი"-ს წარმომადგენლის ვრცელ მოხსენებას. ალაგ-ალაგ ჰუმორულ რეპლიკებსაც ესროდა ადგილიდან ორატორებს. ეტყობოდა, რომ საქოს გული დამწვარი ჰქონდა, რომ ის უდანაშაულოდ შეურაცხყოფილად გრძნობდა თავს.

ბოლოს, საქულას „სულმა არ მოუთმინა" და ცალკე სიტყვითაც გამოვიდა. ის მამაშვილურად ურჩევდა გლეხკორებს, ხელი აეღოთ წერაზე. „მოდი, ყველამ კარგზე ვწეროთ, რად გვინდა ერთმანეთის დაჭყლეტით, განა ყველა ოჯახიშვილები და მეზობლები არა ვართო?" დამსწრე გლეხკორები იცინოდნენ. საქულას სწყინდა, ვერ გაიგო ყრილობის ასეთი მხიარულების მიზეზი. შემდეგ ნაღვლიანად ხელი ჩაიქნია და ადგილისაკენ გაეშურა: „აწრას ძალი გამიწყდა, თქვენი სიცილით", ჩაილაპარაკა მან ბუტბუტით.

ზოგიერთი დეფექტები

ყრილობა, როგორც უკვე ვსთქვით, გაცხოველებულ ხასიათს ატარებდა. წამოჭრილი საკითხებმა იმდენად გაიტაცა დამსწრენი, რომ დაღლილობა და უძილობა დაავიწყდათ. ადგილობრივი პარტკომის მდივნის და აღმასკომის თავმჯდომარის ამხანაგური კრიტიკა ბევრ საყურადღებო მასალას იძლევა საგარეჯოს გლეხკორების მუშაობის შესახებ.

მათ შორის არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ერთი მეტად საგულისხმო ფაქტი. გლეხკორი ყოველგვარ დადებითი მუშაობის მაგალითით მიმცემია სოფლად. მას უყურებენ, როგორც კრიტიკოსს, როგორც სხვა მუშაობის დამფასებელს თუ დამწუნებელს. ამიტომ პირველყოვლისა მისგანვე მოითხოვს სოფელი იმას, რასაც გლეხკორი სხვას ურჩევს — იმაზედაც სხვას უთითებს.

აქედან ცხადია რამდენად საჭიროა გლეხკორი „სუფთა" იყოს ისეთ ცოდვებისაგან, რომლებთაც შეუძლია მის სახელს რაიმე ჩრდილი მიაყენოს. გლეხკორი მოწინავე რიგში უნდა იდგეს, როცა სოფლად რაიმე საზოგადოებრივი საქმე კეთდება.

საგარეჯოში, სამწუხაროდ, ყოფილა თითო-ოროლა არასახარბიელო შემთხვევები, რომელნიც დაინტერესებულ პირებს საბუთს აძლევს ჩირქი მოსცხოს საზოგადოდ ყველა გლეხ კორესპონდენტს და საერთოთ გლეხკორთა მოძრაობას.

ყრილობაზე დასახელებული იქნა მაგალითად ასეთი ფაქტი: ერთ გარეჯელ მცხოვრებს საბავშვო ქვევრი მოეპარა. ის დაიჭირეს ნაპარავ ქვევრით. მას შემდეგ ქურდს წერილების გზავნა დაუწყია გაზეთში და თავის თავი კორესპონდენტად მოაქვს. აქედან დასკვნა, რომელიც გამოჰყავს საგარეჯოში ზოგიერთ „უმართებულოდ" შეურაცხყოფილ პირს, „გლეხკორები ყველა ქურდებია".

მეორე შემთხვევა: საგარეჯოს მახლობლად კეთდებოდა სარწყავი არხი. მთელი სოფელი ერთსულოვნად გამოვიდა სამუშაოთ. პარტკომის მდივანმა, ამხ. იმნაიშვილმა, სთხოვა ერთ გლეხკორს, რომ სხვებთან ერთად ისიც გამოსულიყო სამუშაოდ. თან ცხენი შეეკაზმა, რაკი შეეძლო, რომ ამგვარი თხოვნა გლეხკორს ყურადღებით არ დარჩენოდა. მაგრამ გლეხკორმა ცხენით წასვლაზედაც უარი სთქვა.

ამ ფაქტებიდანაც ისეთივე დასკვნა გამოიტანა, ვისაც ეს სჭირდებოდა, როგორც პირველ შემთხვევაში. პარტორგანიზაციების და აღმასკომის წარმომადგენლები მიუთითებენ თავიანთ სიტყვებში ამგვარ დაუშვებელ მოვლენებზე და ამხანაგურად ურჩევდნენ გლეხკორებს მომავალში ძირშივე მოესპოთ გლეხკორთა სახელის ასეთი შემრცხვენელი შემთხვევები.

ყრილობამ ერთსულოვნად გაიზიარა ეს აზრი. მაგრამ რა გზით უნდა ებრძოლოს გარეჯელი გლეხკორები უღირს კორესპონდენტებს ცალკე შემარცხვენელ გამოსვლებს? მათ საამისო ორგანიზაცია დღემდე არ გააჩნიათ. ამიტომ საჭიროა პირველ ყოვლისა აქ დაარსდეს გლეხკორთა წრე. საამისო პირობები უკვე არის მომზადებული საგარეჯოში.

გლეხკორთა წრის დაარსების საჭიროებაზე მიუთითებდა აგრეთვე „კომუნისტი"-ს წარმომადგენელიც.

გარდა წმინდა შინაორგანიზაციულ საკითხებისა გლეხ კორესპონდენტებს აქვთ სხვა მრავალი საჭირბოროტო საკითხები, რომელთა გადაჭრაც რაიმე ორგანიზაციის გარეშე შეუძლებელია. ესაა თუნდაც თვით გლეხკორების მიზნის და დანიშნულების გარკვევა, კორესპონდენციების შედგენის შესწავლა, კედლის გაზეთის გამოცემა, გაზეთების კოლექტიურად კითხვა და მიმდინარე ცალკე საინტერესო საკითხებზე აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

საორგანიზაციო საკითხებზე, რომელიც წრეს ექნება გადასაწყვეტი, ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ასეთია უღირს კორესპონდენტებთან ბრძოლა, გლეხკორის დევნის წინააღმდეგ ზომების მიღება, სოფლად გაზეთების გავრცელება და მრავალი სხვა.

საგარეჯოს გლეხკორთა სათემო ყრილობამ მრავალ მტკივნეულ მხარეებს ახადა ფარდა გლეხ-კორესპონდენტების მუშაობაში. „კომუნისტი"-ს წარმომადგენლის ვრცელმა, ჩვენი პარტიის ცენტრალურ ბეჭდვითი ორგანოს მუშაობის ცოცხალ მაგალითებზე აგებულმა მოხსენებამ ყრილობაზე გადაშლილი სურათი საბოლოოდ შეავსო.

დასკვნა ასეთია: რაც შეიძლება მალე უნდა დაარსდეს საგარეჯოში გლეხ-კორესპონდენტთა წრე. რაც შეიძლება მჭიდრო კავშირი უნდა გააბან ჩვენმა რედაქციებმა ადგილობრივ გლეხკორთა ორგანიზაციებთან. ამას თვით გლეხკორებიც კარგად გრძნობენ, რასაც სხვათაშორის მოწმობს ის განსაკუთრებული კმაყოფილება, რომლითაც შეხვდა ყრილობა „კომუნისტი"-ს წარმომადგენელს.

ა. მარგველი.

---

*) იხ. „კომუნისტი" № 276.

ქრონიკა

ამხ. გაბრიელიანის დანიშვნა

ამიერ-კავკ. სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის წარმომადგენლად საკავშირო ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში ამიერ-კავკასიის ცაკმა დანიშნა ამხ. ტერ-გაბრიელიანი.

თამბაქოს და ტყავეულის ფასები

9 დეკემბერს ამ.-კავკასიის შინავაჭრობის კომისარიატთან მოწვეული იქნება თათბირი, რომელიც დააწესებს ფასებს 1926 წ. თამბაქოს მოსავალზე და ტყავის ნედლეულზე.

მზესუმზირას ზეთი ამიერ-კავკასიისათვის

ვინაიდან ამ.-კავკასიის რესპუბლიკის მაზრებში ადგილი აქვს მზესუმზირის ზეთის ნაკლებობას, ამ.-კავკ. შინავაჭრობის სახ. კომისარიატმა ჩრდილოეთ კავკასიის შინავაჭრობის სახ. კომისარიატს, მიმართა თხოვნით, რომ ამ.-კავკ. რესპუბლიკისთვის სასწრაფოდ იქნას გამოგზავნილი 20 ცისტერნა მზესუმზირის ზეთი.

აბრეშუმის ტრესტი

აბრეშუმის ტრესტის დებულების დამტკიცებამდე სახკომსაბჭომ ნება მისცა ს. მ. უ. საბჭოს დანიშნოს ტრესტის მმართველი, რომელსაც მიეცემა უფლება აწარმოოს საკრედიტო ოპერაციები და დადოს ყოველგვარი გარიგება.

მიწად-მოქ. სახ. კომისარიატში

◆ **15 ათასი მან.** მიწად-მოქ. სახ. კომისარიატმა სოფ. კარდაში (ქუთ. მაზრა) სას-სამ. სკოლის მოსაწყობათ გადასდო 15.000 მან.

◆ **ჭარხალი.** კომისარიატის ცნობით, წითელ ტირიფონის ველზე 22 დესეტინაზე საცდელათ დაითესა შაქრის ჭარხალი.

◆ **მიწათმოწყობა.** მიწათმოქმედების სახ. კომისარიატმა გადასწყვიტა სახალხო მამულებში მიწათმოწყობა სავსებით დაამთავროს 1927 წ. ივნისამდე.

განათლების კომისარიატში

◆ **რესპუბლიკაში ბავშვთა სახლების** მდგომარეობის გასაუმჯობესებლად კომისართა საბჭოსთან არსებულ უპატრონო ბავშვთა მდგომარეობის გასაუმჯობესებელმა კომისიამ განათლების კომისარიატს გადასცა 35.000 მანეთი.

◆ პროფგანათლების მთავარი მმართველობის კოლეგიაში მოწვეული იქნა მიწათმოქმედების კომისარიატის სახ. მეურნეობის უმ. საბჭოს, პროფკავშირთა, განათლების მუშაკთა კავშირის, კომპარტიის ცეკას და კომკავშირის ცეკას წარმომადგენლები.

◆ **თათბირი.** ახლო ხანში მოწვეული იქნება საქარხნო-საფაბრიკო სკოლების გამგეთა თათბირი.

სამეურნეო დაწესებულებებში

◆ **ვაშლი.** წელს საქართველოში გასასაღებლად დამზადებული იქნება 150.000 ფუთი ვაშლი.

◆ **სპირტი.** 1925—26 წელში სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ რესპუბლიკაში დამზადებულია 4,050,000 გრად. ე. ი. 40,500 ვედრო.

◆ **თხილი.** წელს საქართველოში დამზადდება 300,000 მან. თხილი.

◆ **ჯავარი.** უცხოეთში გასატანად წელს დამზადებული იქნება 2000 ფუთი ჯავარი.

◆ **ბამბა.** 1926—27 წელს დამზადდება 275,000 ფ. ბამბა.

◆ **ჩაი.** საქართველოში ამჟამად ჩაის პლანტაციებს უკავიათ 1160 დესეტინა მიწა.

სხვადასხვა

◆ ორთაჭალის მამულების საჭიროებისათვის თბ. აღმასკომმა გადასდო 15,000 მანეთი.

◆ **მატყლის გამწმენდი პუნქტები.** რადგანაც დუშეთის მაზრაში შესყიდული მატყლის ჩამოტანა თბილისში გასაწმენდათ დიდ ზედმეტ ხარჯებს იწვევს, ეკონომიურმა საბჭომ საჭიროდ სცნო, რომ დუშეთის მაზრაში მოეწყოს მატყლის გასაწმენდი პუნქტები.

◆ **სიღნაღის მაზრის ტელეფონიზაცია.** ფინსახკომის დასკვნის თანახმად, ეკონომიურმა საბჭომ დააკმაყოფილა შინსახკომის შუამდგომლობა სიღნაღის მაზრის ტელეფონიზაციის საჭიროებისათვის 700 ცალი ბოძის უფასოდ გაცემის შესახებ.

◆ **სარწყავი არხის „მაშველი“-ს შეკეთება.** რადგანაც ქუთაისის მაზრაში არსებული სარწყავი არხი—„მაშველი“-ს სათავე ძლიერ დაზიანებულია, საჭიროთ იქნა ცნობილი მისი სასწრაფოდ შეკეთება.

ხელოვნების ქრონიკა

◆ **„მაზეპა“.** დღეს ოპერის თეატრში ეიხენვალდის რეჟისორობით წარმოდგენილი იქნება „მაზეპა“.

◆ **რუსთაველის თეატრში** დღეს მიდის წარმოდგენა თურქულ ენაზე.

◆ **„ცოდვა“.** შაბათს მუშათა თეატრში რუსული დრამის მიერ წარმოდგენილი იქნება „ცოდვა“.

◆ **„ბეთქილ“.** ქუთაისის აკადემიური დრამა ამზადებს დია ჩიანელის პიესას: „ბეთქილ“-ს.

◆ **ბავშვი — მსახიობები.** რეჟისორი პერისტიანი შეუდგა სურათი „გრიგალის“ გადაღებას რომელშიაც მონაწილეობას იღებს ბუნებრივათ [illegible] დაბადებული 12 წლის ბავშვი შურა დადიშქელიანი.

◆ **ოპერა ბავშვებისათვის.** სახელმწიფო ოპერის დირექციას გადაწყვეტილი აქვს კვირაში ერთხელ გამართოს საბავშვო ოპერები. ახლო ხანში წარმოდგენილი იქნება საბავშვო ოპერა: „[illegible]“.

◆ **განათლების მუშაკთა სახლში** დღეს გაიმართება კინოსურათების ჩვენება. დასაწყისი 7 ნახევარ საათზე.

შემთხვევები

უბედური შემთხვევა

გუშინ, ტრამვაის რონოდამ (№ 50) მალაკნის ქუჩაზე გასრისა 6 წლის ბავშვი გრანუმ მინასიანცი.

ვატმანი კახუმოვი დააპატიმრეს.

ბანდიტების შეპყრობა

გუშინ, საღამოს, სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა **მანსურ დინა-ოღლი და აჯიკული დინა-ოღლი.**

ზემოთ ჩამოთვლილ პირებს ბრალდებათ შეიარაღებული თავდასხმა თიანეთის აღმასკომის თავმჯდომარე ივანე ცომაიაზე და გაძარცვა სოფ. ღრმა-ღელეს მახლობლად.

უცაბედი მკვლელობა

— **ნიკოლოზ კალინინმა** თავის ამხანაგს **გიორგი ხეჩენოვს** ხუმრობით დაუმიზნა რევოლვერი, რომელიც ცარიელი ეგონა. ჩახმახი სამჯერ დასცა, მაგრამ რევოლვერი არ გავარდნილა. შემდეგ დაუმიზნა მეორე ამხანაგს **ალექსანდრე პისმეროვს.** რევოლვერი გავარდა. პისმეროვი, მძიმედ დაჭრილი დაეცა იატაკზე. მიღებული ჭრილობისაგან ის გარდაიცვალა.

კალინინი დააპატიმრეს.

ავტომობილის ქვეშ

გუშინ, საღამოს, ავტომობილი № 66, რომელსაც მართავდა შოფერი ვარდანიშვილი სადგურის ქუჩაზე დაეჯახა მოქ. ი. მამისაშვილს და დააზიანა.

შოფერი ვარდანიშვილი დაპატიმრებულია.

თავის მოწამვლა.

გუშინ, საღამოს მორფით თავი მოიწამლა **თინა გოგელიამ.**

გოგელია სიკვდილს გადაარჩინეს.

მიზეზი გამოურკვეველია.

ხანძარის დღე

გუშინ, საღამოს ხანძარი გაჩნდა ცენტრალურ ახალ მუშათა კლუბის შენობის (კომინტერნის ქ. № 5).

ხანძარი ჩააქრო პირველ ცეცხლის მქრობელთა რაზმმა.

ზარალი უმნიშვნელოა.

არ გასულა დიდი ხანი, რომ ცეცხლი გაჩნდა ფოთის ქ. (№ 39) მდებარე სახლს. ხანძარი ჩააქრეს.

გუშინვე ცეცხლი გაჩნდა ორსართულიან შენობაში (კოოპერაციის ქ. № 3). დაიწვა ერთი ოთახი.

მეორე ცეცხლის მქრობელმა რაზმმა ხანძარი ჩააქრო 10 წუთის განმავლობაში.

ზარალი გამოურკვეველია.

◆ **ტრამვაის ქვეშ.** საბჭოს ქ. ტრამვაის რონოდის ქვეშ ჩავარდა ერვანდ მანველოვი და მძიმედ დაშავდა.

◆ **მკვლელობის განზრახვა.** სოფ. ჩულიანში კიაზი ამრასტან-ოღლს კურბან-მახმუდ ოღლიმ მოსაკლავად ორჯერ ესროლა თოფი, მაგრამ ააცდინა. დამნაშავე მიმალულია.

◆ **მორგებული გასაღების საშუალებით** პლეხანოვის პრ. № 126 ნინა ჩხაიძის ბინიდან მოიპარეს 300 მ. ნივთები.

◆ ამავე დღეს ბეჭალის მოედანი № 4 ვლადიმერ პატრეშკოს ბინიდან მოიპარეს 400 მ. ნივთები.

◆ ამავე დღეს პლეხ. გამზირი № 26 გაქურდეს არჩილ ფარდიაშვილის ბინა.

◆ ამავე დღეს ლენინის ქუჩა № 31 გაქურდეს ვალენტინა გოგინეიშვილის ბინა.

◆ **გაძარცვა.** ღრმა-ღელეში გაძარცვეს თიანეთის აღმასკომის თავმჯდომარე ივანე ცომაია, რომელსაც წაართვეს 200 მანეთი ფული.

ქუთაისის სადგური

უკანასკნელ ხანებში ტვირთ-ბრუნვა ქუთაისის რკინისგზის სადგურზე ერთი-ორად გაიზარდა. ამ გარემოებამ აუცილებელი გახადა სადგურის გაფართოება. უკვე დაიწყო მუშაობა საბარგო და სატვირთო განყოფილების გასაფართოებლად. ძველ საბარგო სადგურთან შენდება სრულიად ახალი შენობა, რომლის აგებაც დამთავრდება მიმდინარე წლის დამლევს.

ნოემბერში დამთავრდა აგრეთვე 1923 წ. დამწვარი საბარგო სადგურის ხელახლა აგება.

გარდა ამისა ქუთაისის სადგურის წყალ-საქაჩავზე დადგმული იქნა ძლიერი აგრეგატები; მოკლე ხანში წყალსადენის ძველი მაგისტრალი შეცვლილი იქნება ახალი მაგისტრალით, რადგან ძველი ახალი აგრეგატებისათვის გამოუდეგარია.

გლეხთა სახლი

ნოემბრის განმავლობაში გლეხთა სახლში ღამე გაუთევია 1183 გლეხს, გარდა მეურმეებისა. სასახლესთან არსებულ ბაკში, იმავე თვის განმავლობაში გაჩერებულა 2,385 საქონელი. ჩამოსულ გლეხებიდან 164 გატარებულა სპეციალურ იზოლიატორში.

ჩამოსულ გლეხებისთვის სახლში ყოველდღე იმართებოდა ლექცია-საუბრები, კინო და სხვა ხასიათის კულტურულ-განმანათლებელი საღამოები.

ყველა ჩამოსულ გლეხებს ეძლეოდათ რჩევა-დარიგებანი იურიდიულ საკითხებზე, უფასოთ უწერდენ ქაღალდებს სხვადასხვა დაწესებულებებთან, აძლევდენ უფასო საექიმო დახმარებას და სხვა.

სასამართლო

ექიმ გოგნიაშვილის საქმე

(პროცესის მეოთხე დღე)

გუშინდელ სხდომაზე მოსმენილ იქნა ექსპერტების დასკვნა.

ექსპერტების დასკვნით მარტიროსოვის ბავშვის სიკვდილი არ იყო გამოწვეული ფიზიოლოგიური ხსნარის მიღებით.

ექსპერტები აღნიშნავენ, რომ სპირტ-ნარევი ხსნარი ბავშვს იმდენათ მცირე დოზით ჰქონია მიღებული, რომ ის სასარგებლოც იყო ბავშვისათვის.

ექსპერტების დასკვნის მოსმენის შემდეგ გაიმართა მხარეების კამათი.

სახელმწიფო ბრალმდებელი ამხ. კუპრაშვილი მხარს უჭერს ბრალდებას და მოითხოვს ბრალდებულის დასჯას.

დამცველი **ბარათაშვილი** ეყრდნობა რა ექსპერტების დასკვნას, აღნიშნავს, რომ ბავშვის სიკვდილი გამოწვეული იყო მისი ორგანიზმის საერთო სისუსტით და სთხოვს სასამართლოს ბრალდებულ გოგნიაშვილის გამართლებას.

მეორე დამცველი **ნარიმანოვი** ეერთდება დამცველ ბარათაშვილის შუამდგომლობას.

უკანასკნელ სიტყვაში ექიმი გოგნიაშვილი სთხოვს სასამართლოს სასჯელისაგან სრულიად განთავისუფლებას.

განაჩენი

სასამართლომ მოწმეების ჩვენებით და საქმეში დართულ მასალების მიხედვით სცნო, რომ მარტიროსოვის ბავშვის სიკვდილი გამოწვეული იყო არა ფიზიოლოგიური ხსნარის მიღებით, არამედ ბავშვის ხოლერით. ამის გამო ბრალდებული **ბარბარე გოგნიაშვილი სცნო უდანაშაულოდ და გაამართლა.**

ხულიგნობისათვის

სახალხო სასამართლოს მორიგმა კამერამ ივანე სოლომონის ძე ლლონტს მიუსაჯა 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

ლლონტს ბრალად ედებოდა სიმთვრალის დროს მოქალაქის შეურაცხყოფა და მილიციელისათვის წინააღმდეგობის გაწევა.

„საქმიანი“ კამპანია

1923 წ. 19 მარტს თბილისში დაარსდა მშრომელთა არტელი „ლევ“-ი, რომელმაც ამავე წელს ივნისში, ქსნისხევის ქუჩაზე გახსნა თამბაქოს ქარხანა. არტელი დაარსა 7 კაცმა.

საერთო კრების მიერ არტელის გამგეობის თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ლევან ბადაშვილი, გამგეობის წევრათ გრიგოლ ფარნიევი, ხოლო თამბაქოს ქარხნის გამგეთ კი ალექსანდრე ტერ-იანესიანცი.

წარმოების გაფართოების შემდეგ სათავეში მდგომმა პირებმა, ბადაშვილის და იანესიანცის ხელმძღვანელობით, ხელი მიყვეს არტელის ქონების განიავებას. ამ მიზნით მათ კავშირი დაიჭირეს გამგეობის დანარჩენ წევრებთან და ხელი მიყვეს „შემოქმედებითს“ მუშაობას.

გავიდა ხანი. რევიზიამ ქარხანაში აღმოაჩინა მთელი რიგი ბოროტმოქმედებები.

წინასწარი გამოძიებით გამოირკვა, რომ ზემოთ ჩამოთვლილ პირების მიერ ჩადენილი დანაშაული დიდათ აღემატება იმ დანაშაულს, რომელიც აღმოჩენილ იქნა სარევიზიო კომისიის მიერ.

ბადაშვილს ბრალდება 2.134 მანეთის გაფლანგვა, ტერ-იანესიანცს 5.600 მანეთის მითვისება; ფარნიევს ბრალი ედება 600 მანეთის ყალბი საბუთის შედგენაში.

საქმე ამ ახლო ხანში გაირჩევა ოლქის სასამართლოში.

ბანდიტის დახვრეტა

დასავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს სესიამ ზუგდიდში ჯ. ბერდიხელიას მიუსაჯა უმაღლესი სასჯელი — დახვრეტა.

ბერდიხელიამ სხვა ყაჩაღებთან ერთად გაძარცვა სოფ. ჭკადუას კოოპერატივი.

როგორც გამოირკვა, ბერდიხელია პასუხისგებაში წინადაც ყოფილა მიცემული ამგვარ ბოროტმოქმედებისათვის.

მსჯავრდადებულმა ბერდიხელიამ საკასაციო საჩივარი შეიტანა საქართველოს უზენაეს სასამართლოში, რომლის კოლეგიამ დაადასტურა ოლქის სასამართლოს დადგენილება.

ამის შემდეგ ბერდიხელიამ შუამდგომლობა აღძრა საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის წინაშე პატიების შესახებ. ცაკმა ბერდიხელიას თხოვნა არ შეიწყნარა.

განაჩენი სისრულეში მოყვანილია.

ტრაქტორები

ამიერ-კავკ. მებამბეობის კომიტეტს ამჟამად აქვს 80 ტრაქტორი ფორძონის და ინტენტერის სისტემის. კომიტეტი ამ ტრაქტორებს ადგილობრივ ორგანოების საშუალებით ანათხოვრებს ბამბის მოხნაზე. წელს მთელ ამ.-კავკასიაში ამ ტრაქტორების საშუალებით დახნულია 2245 დესეტინა მიწა. მათ შორის საქართველოში ტრაქტორებით მოხნა 277 დესეტინა, აზერბაიჯანში—1382 დესეტინა, სომხეთში—586 დესეტინა; ტრაქტორების შემოღებამდე სომხეთში გლეხს ერთი დესეტინა მიწის მოხნა უჯდებოდა 3—4 თუმანი, აზერბაიჯანში 18—25 მანეთამდე, საქართველოში — 12—18 მანეთამდე. ამჟამად კი ტრაქტორებით დესეტინის მოხნა უჯდება 15—18 მანეთამდე, ე. ი. 20—50 პროც. ნაკლები ვიდრე წინათ. კომიტეტს მთელ ამ.-კავკასიაში აქვს ტრაქტორების შესაკეთებელი 5 სახელოსნო: 2 აზერბაიჯანში, 2 სომხეთში, ერთი საქართველოში. საამისო კომიტეტმა გადასწყვიტა ამ.-კავკასიაში მოაწყოს ერთი ცენტრალური სახელოსნო ტრაქტორების მთავარი შეკეთებისათვის. ამ მიზნით გაიხსნა კურსები მონტიორების და ხელოსნების მოსამზადებლად.

ბიბლიოგრაფია

ანდრო დოლიძე. „შავი წარსული“ მოთხრობები. სახელგამი 1926 წ. ტირ. 1000 ც. ფას. 1 მან.

აღნიშნულ წიგნში მოცემულია 1905 წლის რევოლიუციის შემდეგ გამძვინვარებული რეაქციის თარეშის და გლეხკაცობის აუტანელი ცხოვრების სურათები.

დღეს, როდესაც ოქტომბრის რევოლიუციის გამარჯვების შემდეგ, საქართველო სხვა საბჭოთა რესპუბლიკებთან ერთად გულმოდგინეთ ეწევა ქვეყნის აღმშენებლობის და აღორძინების საქმეს, როდესაც ხალხი თვითვე გახდა თავის-თავის ბატონ-პატრონი და თავისუფლად გრძნობს თავს, ის უფრო ნათლად იგონებს წარსულის საშინელებას, მეფის რუსეთის ბატონობას, მის უსამართლობას, მამასახლისების და ბოქაულების აუტანელ მთარახებს და საპყრობილეებს.

საქართველოს არც ერთი კუთხე ისე არ დატანჯულა მეფის რეჟიმისაგან, როგორც მუდამ მებრძოლი რევოლიუციური გურია. გურული გლეხი, მუდამ ღუხჭირი ცხოვრების მატარებელი, გურული გლეხი მუდამ უკმაყოფილო, ხშირად გაციებულ კერის წინ და გაპარტახებულ კარმიდამოში ბედის მომდურავი უსასოოთ და უიმედოთ ეძიებდა საშველს.

ე. ნინოშვილის მოთხრობებში გაისმა ეს პირველი გმინვა, რომელიც არ შეწყვეტილა რევოლიუციამდე. ყოველდღიურად იძარცვებოდა და გაღატაკების გზაზე ადგა გლეხობა უსამართლობის გამო.

ანდრო დოლიძის წიგნს, როდესაც ფურცლავთ ყოველ სტრიქონებში იმის განუწყვეტელი შეჩვენება შავი რეაქციის მიმართ.

წიგნში ნათლად არის აღწერილი მეშჩანური, ნაძირალა და „ჩინოვნიკი“ ხალხის ცხოვრება, რომელიც უზნეობის, უკუღმართი აღზრდის და პირობების გამო, ეწეოდენ უნიათო და უსულგულო ცხოვრებას, რომლებიც წურბელასავით ესხდენ მშრომელ გლეხკაცობას.

განსაკუთრებით აღსანიშნავია წიგნში მოთხრობები: „საბედისწერო ჩუსტები“, „დარიკოს დღესასწაული“, „აღსარება“, „ათანასე“, რომლებიც სიუჟეტის და მხატვრულობის მხრივაც გამართლებულია.

წიგნი შეიცავს 154 გვ. დაბეჭდილია კარგ ქაღალდზე და ღირს 1 მან.

ა. ღ—ლი.

ფეხბურთი

საქართველო-აზერბაიჯანი

დღეს ბაქოში გაიმართება საქართველოს ნაკრები გუნდის და აზერბეიჯანის გუნდ „პროგრესის“ შეჯიბრი ამიერ-კავკასიის პირველობაზე. პირველობის ამღებ გუნდს შემდეგ ამხანაგური შეჯიბრი ექნება ბაქოს ნაკრებ გუნდთან.

„მესტრანი“—„არსრაიონი“ ?

კვირას, 5 დეკემბერს, შუადღის 12 საათზე, [illegible] გაიმართება კალენდარული შეჯიბრი პირველ „მესტრან“-სა და მეორე „არსრაიონს“ შორის.

დანარჩენი გუნდების კალენდარული შეჯიბრების ცხრილი შემუშავებული იქნება ამ დღეებში.

ოფიც. განყოფილება

დადგენილება

საქ. სოც. საბჭ. რესპ. მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1926 წ. ივნისის 22-ს გამოცემულ ნადირობის შესახებ № 10 დეკრეტის 2 მუხლის განსავითარებლად, ს. ს. ს. რ. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი ადგენს:

ნადირთა გამრავლების და დაცვის მიზნით კახეთში დაარსდეს აკრძალული ადგილი, ყოველგვარი ნადირობის აკრძალვით, შემდეგ ფარგლებში: დასავლეთით—ხაზი სადგურ იორიდან სოფ. პატარძეულამდე და შემდეგ ცივ—გომბორის ქედამდე, ჩრდილოეთ-საზღვარი ცივ—გომბორის ქედი სამების მთამდე, აღმოსავლეთით—ხაზი სამების მთიდან სადგურ მელაანამდე შემდეგ აღნიშნული ხაზის და თბილის-სიღნაღის გზატკეცილის გადაკვეთამდე, სამხრეთით თბილის-სიღნაღის გზატკეცილი სოფ. კაპრთამდე და შემდეგ ხაზი სოფ. ქემალომდე, აქედან კი მდინარე იორი სადგურ იორამდე.

მიწადმოქმედების სახ. კომისარის მოადგილე მ. ძამანაშვილი.

საქმეთა მმართველის მაგიერ ლუკავა.

სატყეო განყ. გამგე—ბაქრაძე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

— საქართველოს კომუნისტურ პარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების პროპაგანდის მეთოდიური ბიუროს სხდომა შესდგება შაბათს 4 დეკემბერს, დილით 9 საათზე.

— თვითგანვითარების ბიუროს სხდომა გადატანილია 4 დეკემბრისთვის, საღამოს 7 საათზე, აგიტ-პროპმუშაკის ცენტრალურ კაბინეტში.

— პარასკევს, 3 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე მეხუთე პროფსკოლის შენობაში (პლეხანოვის პროსპექტი № 166) შესდგება ლენინის რაიონის განათლების მუშაკთა № 24 კომუჯრედის სხდომა.

— საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის ორგანიზაციის მე-3-ე რაიკომი წინადადებას აძლევს მესამე რაიონის ყველა უჯრედებს რომ ერთიან პარტიულ დღეს 8 დეკემბერს დღის წესრიგში დასმული იქნეს შემდეგი საკითხები:

1. დელეგატების არჩევნები მომავალ პარტკონფერენციისათვის. 2. 1 დეკემბრის ჩატარებულ მესამე რაიონის უჯრედების ბიუროების კონფერენციის დადგენილებათა განხილვა.

საბ. უნივერსიტეტის გაერთიანებულ კომუჯრედთა ბიურო იტყობინება, რომ დღეს, საღამოს 6 საათზე, მოწვეულია ცალკე უჯრედთა გაერთიანებული დახურული კრება.

დასწრება სავალდებულოა.

ღრმად დამწუხრებული **თედო ლლონტი** აუწყებს ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს მისი ძვირფასი და დაუვიწყარ მეუღლის

ვერა მიხეილის ასულის

ტრაგიკულად გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი ყოველდღე საღამოს 5 საათზე, თავის ბინაზე, პეტრიაშვილის ქუჩა, (ყოფ. საუფლისწულო № 8). დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. ნ. 291

ღრმად დამწუხრებული მშობლები: მიხეილ იოსების-ძე და ალექსანდრა ნიკოლოზის ასული სადარაძენი, ქმარი თედო ლლონტი, დები ეკატერინე მიხეილის ასული სლუცკისა, თამარა და ალექსანდრა მიხეილის ასულნი სადარაძეები, სიძე ლიუდვიკ სტანისლავის-ძე სლუცკი და დისშვილი კოლია, აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს, რომ ტრაგიკულად დაღუპული მათი ძვირფასი და დაუვიწყარის შვილის, ცოლის, დის, ცოლისდის და დეიდის

ვერა მიხეილის ასული ლლონტის

სამოქალაქო პანაშვიდი დანიშნულია ყოველდღე, თავის ბინაზე პეტრიაშვილის ქ. (ყოფილი საუფლისწულო) № 8 საღამოს, 5 საათზე. დასაფლავების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. ნ. 292

ულრმესათ დამწუხრებულნი ექიმები და თანამშრომელნი ამ.-კ. რკინის გზის ცენტრ. უბ. საექიმო ამბულატორიისა გამოსთქვამენ ღრმა მწუხარებას, ტრაგიკულად გარდაცვალებულ ძვირფასი და დაუვიწყარი ამხანაგის

ბარბარე (ბაბო) გრიგოლის ასულის ექიმი ქუთათელაძის

დაკარგვის გამო. 778

ღრმად დამწუხრებული მეგობრები: ცოზე გელოვანი, თამარა გეგეჭკორისა, კიტი ბაგრატიონისა, ეკატერინა ჯაყარიძისა, ლილი მგალობლიშვილისა, ელენე ზღუბრიშვილისა და ელენე კვიტაშვილისა აუწყებენ ნაცნობებს და მეგობრებს მათთვის საყვარელ

ბაბო ქუთათელაძის

ტრაგიკულათ დაღუპვას. გამოსვენება ბინიდან (განოვის ქუჩა № 3), 3 დეკემბერს. 3 საათზე. 776

ქართული ოდონტოლოგიური საზოგადოება მწუხარებით აუწყებს თავის წევრებს, კბილის ექიმის

ბარბალე გრიგოლის ასულის ქუთათელაძის

ტრაგიკულად გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს, 3 საათზე (განოვის ქ. № 3 | 5. 780

ღრმათ დამწუხრებულნი: დედა მინადორა, ძმები: იპოლიტე, [illegible] კრისტეფორე და რძლები: მარიამი და ელენე ქუთათელაძეები აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს, რომ 30 ნოემბერს ტრაგიკულათ გარდაიცვალა უძვირფასესი და დაუვიწყარი პირველის შვილი, მეორეის და, და მესამეის მული

ბარბალე გრიგოლის ასული (ბაბო) ქუთათელაძისა

გამოსვენება აკ. წერეთლის (ყოფ. განოვის) ქ. № 3 | 5. დაკრძალვა ა. წ. 3 დეკემბერს, ნაშუადღევის 3 საათზე ვერის ახალ სასაფლაოზე. 774

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე კირილე პავლეს-ძე მიქელაძე, დედამთილი პელაგია, მული ნინო და მაზლი გიორგი მიქელაძეები, აუწყებენ ნათესავთ, კეთილმყოფელთ და ნაცნობებს, რომ 29 ნოემბერს, ღამის 11 საათზე, გარდაიცვალა ჯერ კიდევ ახალგაზრდა (19 წლის)

ვერა კონსტანტინე ფუღუკიძის ასული მიქელაძისა

გამოსვენება მთავარ საავადმყოფოდან შაბათს, 4 დეკემბერს, ნაშუადღევის 3 საათზე. სამოქალაქო პანაშვიდი 3 დეკემბერს, ნაშუადღევის 4 საათზე. 779

ღრმად დამწუხრებულნი დეიდა ფატი გიორგის ასული და ბიძა ბესარიონ ტარიელის-ძე ლორთქიფანიძეები, ბიცოლები ელისაბედ [illegible] ასული და ნინო მელიტონის ასული კორძაიები შვილებით თინათინ, ლეონიდი, პიკიკი, მამია და ბიქტორ აუწყებენ მეგობართ, ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 29 ნოემბერს, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და საყვარელი

ვერა კონსტანტინე ფუღუკიძის ასული მიქელაძისა

სამოქალაქო პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 4 საათზე, გამოსვენება შაბათს, 4 დეკემბერს, რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოდან ვერის ახალ სასაფლაოზე, ნაშუადღევის 3 საათზე. 779

ღრმად დამწუხრებული ცოლი მინადორა, შვილები თამარა, მელიკო, დაი ქეთუში და ფატი, სიძე ალექსანდრე ლორთქიფანიძე აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ პირველ დეკემბერს გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი, პირველის ქმარი, მეორის მამა, მესამის ძმა და მეოთხის ცოლის ძმა

კონსტანტინე (კოსტა) ანდრიას ძე ცოტაძე

რომლის დაკრძალვა მოხდება კვირას, 5 დეკემბერს, ნაშუადღევის 4 საათზე. გამოსვენებული იქნება: ქუთაისი, პეკვიძის ქუჩის მეექვსე შესახვევი, № 5, საკუთარ სახლიდან. 1—1 ნ. 301

მწუხარებაში მყოფნი მშობლები ამბაკო და ნინო გორდაძეები, და თამარა გორდაძე, ბიძა რაჟდენ კუტაია, ბიცოლა მაშიკო კუტაისი და ბიძაშვილი ალექსანდრა კუტაია აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ ქ. ჭიათურაში ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ქ. სამტრედიის მეორე უბნის დეპოს თანამშრომელი (ტექნიკოსი-პრაქტიკანტი) მათი მუდამ სახსოვარი

ბესარიონი (ბუზა) ამბაკოს-ძე გორდაძე

რომლის დასაფლავება მოხდება სოფ. პატარა ჯიხაიშში, იმავე სოფლის სასაფლაოზე 5 დეკემბერს, დილით, კვირას, ნაშუადღევის 5 საათზე. ნ. 299

ღრმა მწუხარებაში მყოფნი: დედა სალომე (ქოჩო), მეუღლე ნინო, შვილები: გოგოლა, ელიკო და შოთა, დები: ნინა, ეფროსინე, ლიდა და ლიზა, სიძეები: ანდრო სულაბერიძე, მიშა ბარამიძე, ივანე გარსევანიშვილი და ნესტორი ვეკუა აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობარ-ამხანაგებს, რომ კვირას, 5 დეკემბერს, დილის 12 საათზე, სოფ. ჯუნჯუთში (გურია, ლანჩხუთის უბანი) გადახდილი იქნება პანაშვიდი მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი შრომის ვეტერანის, ბათუმის დეპოს მემანქანე

ალექსანდრე (სანდრო) კონსტანტინეს-ძე კვასხვაძის

მოსაგონებლად. გარდაცვალებიდან 40 დღის შესრულების გამო. დ.

მიიღება ხელის მოწერა გაზ. „კომუნისტზე“ დეკემბრისათვის

პროვინციაში ხელისმოწერა მიიღება შემდეგ გაერთიანებულ განყოფილებებში:

1. ხაშურში—განყ. გამგე მათე გოგუაძესთან—მთელი გორის მაზრისთვის.
2. ჭიათურაში—განყ. გამგე გ. გოგელიასთან—მთელი შორაპნის მაზრისთვის.
3. ქუთაისში—განყ. გამგე მ. ტყაბლაძესთან—ქუთაისის და ახლო მდებარე რაიონებ.
4. ხონში—„ეპოს“ წიგნის მაღაზია.
5. სამტრედია—განყ. გამგე ლ. გოგელიასთან—სამტრედია და ახლო მდებ. რაიონ.
6. სენაკი—განყ. გამგე. ესებუასთან—ქ. სენაკი და ახლო მდებარე რაიონისთვის.
7. აბაშა—განყ. გამგე მი[illegible]ძესთან—დ. აბაშა და ახლო მდებარე რაიონისთვის.
8. ფოთი—განყ. გამგე მგალობლიშვილთან—ქ. ფოთი და ახლო მდებ. რაიონისთვის
9. ბათომში—„კომუნისტი“-ს კანტორაში—მთელი აჭარისტანისთვის
10. ზესტაფონი, ჩხარი, ხვი[illegible], ჯამეთი. ათ. ცხომელიძე.
11. დიდი ჯიხაიში—წიგნის მაღაზიაში გიორგი ბიბილეიშვილთან.
12. ოზურგეთი—განყ. გამგე ეპიფ. ცეცხლაძესთან—მთელი ოზურგეთის მაზრისათ.
13. თელავი—განყ. გამგე რევაზოვთან—მთელი თელავის მაზრისათვის.
14. სიღნაღი—განყ. გამგე ა. მდივანოვთან—სიღნაღის მაზრისათვის.
15. ზუგდიდში—პოლიტგანის კიოსკში—კილასონიასთან.
16. სოხუმში—„კომუნისტი“-ს კანტორაში — მთელი აფხაზეთისათვის.
17. მილისციხის და გურჯაანის რაიონში—განყ. გამგე შიშნიაშვილი ესტატე
18. ოჩემჩირი—ვ. ხოსელიას განყოფ. გამგეს
19. საძ. ბორჯომში—ბორის ლავრინსკისთან—გამომცემლობა „შრომა“ მაღაზიაში
20. ბორჯომ-ბალი—იაშა ტერტეროვთან
21. ცხინვალი—ვასილი ფავლენიშვილთან.

0—1

„კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა.

სახელმწიფო ოპერა

დღეს, 3 დეკემბერს, პრემიერა ა. ეიხენვალდის ახალი დადგმით **მაზეპა**

მონაწილეობენ: სპრიშევსკაია, დამსახურებ. არტისტი სკიბიცკაია, კანცბურგი, გორელოვი, მეხნიაევი

დირიჟორობს სტოლერმანი.

შაბათს, 4 დეკემბერს

აბესალომ და ეთერი

ნ. 298

საქ. სამკერვალო მრეწველობის ტრესტის **„გრუზშვეიპრომ“-ის**

ლიკვიდაციის გამო დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა** ქარხნის ინვენტარის გასაყიდათ. საჯარო ვაჭრობა შესდგება 5 დეკემბერს დილის 10 საათ. ფაბრიკის ეზოში (რეხიგერის ქ. № 6).

ნ. 183 სალიკვიდაციო კომისია

აპოლო

არფასტო

სოლეი

დარბაზი (ყოფ. გლობუსი)

დიდი სურათი

ნიბელუნგები (1 და 2 სერია ერთად)

დადგმა მსოფლიო რეჟისორის ფრ. ლანგესი

პირველად თბილისში სეზონის საუკეთესო სურათი.

„შეკვეცილი ფრთები“

ლიუსი დორეინის მონაწილეობით

უკანასკნელად თბილისში

„ქალი გზა ჯვარედინზე“

2 სერია 12 ნაწილი ერთად.

ვ. მარგერიტის რომანის მიხედვით.

საფრანგეთის კინო-რომანი

გრაფი მონტე-კრისტო

მე-3-ე და მე-4-ე სერია ერთად. ხვალ.—5 და 6 სერია

ნ. 157 0—20

ჭიათურის უბნის სახ. სასამართლოს აღმასრულებელი შ. ს. ლაბაძე

ამით აცხადებს, რომ 8 დეკემბერს 1926 წლ. დილის 10 საათზე, სოფელ წისოფელში არს დანიშნული **საჯარო ვაჭრობით** გაყიდვა ლევანტი ბესარიონისძე ხიხაძის ერთი სახლის და სხვა მოძრავი გადასატან ქონების; შეფასებულია ყველა 240 მან. ქონება იყიდება ოლია ხიხაძის ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად აღმასრულებელი ფურცლისა დასავლეთ საქართველოს სასამართლოსი № 8783. ნ. 299

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი გრ. ა. დანელია

ამით აცხადებს, რომ ის 4 დეკემბერს 1926 წ. დილის 3 საათზე სახლში № 23 რუსთაველის გამზირზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ივლიანე ჩიქოვანის მოძრავ ქონებას: სასადილოს მოწყობილობებს და სხვადასხვა სასმელებს შეფასებულს 219 მანეთად, მოქ. სერგო კოდბაშიანის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის 1-ლი უბნ. სახალხო სასამართლოსაგან 23 ნოემბერს 1926 წ. თარიღით, № 5745 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 771

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი გრ. ა. დანელია

ამით აცხადებს, რომ ის 6 დეკემბ. 1926 წ. დღის 4 საათზე სახლში № 137 ელისაბედის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მიხეილ გაგნიძის მოძრავ ქონებას: სამი სახარატო მანქანებს, ორი სხვადასხვა ფირმის ძრავებს, 4 და 6' ძალიანებს და სხ. სახელოსნო იარაღებს შეფასებულს 2105 მანეთად, მელითონეთა კავშირის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 15 ოქტომბერს და 18 ნოემბერს 1926 წ. თარიღით, № 3832—5110 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 772

ექიმი არჩილ სავანელი

განაახლა ავადმყოფების მიღება სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი. მიღება: დილით 7—9 ს. საღამოს 5—9 ს. ქალები 4—5 ს. მისამართი: კომუნალური ქ. № 59. მეხუთე კომისარიატის ახლოს. 125—

ექიმი მეგრაბიანცი

ფილტვების, [illegible] და გულის სნეულებანი

ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით რენტგენის სამკურნალო კაბინეტში სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა. იონნო-ტერაპია. მიღება ყოველდღე დილ. 9—1 და სალ. 6—8 საათ. ენგელსის ქ. № 23. ყოფ. ბებუთოვის ქუჩ., № 23, 25—1

ექიმი ა. ს. ფონ-ირტელი

პლეხანოვის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად, ყოფ. „ბომონდი“). გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა ([illegible], სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი. ავადმყოფობის მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე. 25—1

ექიმი მ. ს. არჯევანიძე

გადავიდა

ლენინის ქუჩა № 3 (ყ. მელიქ აზარიანცისა) სამეანო და ქალთა სნეულებით. დღის 2—4 სათ. და საღამოს 6—7

მედიცინის დოქტორი გ. ა. ახვერდოვი

ვენერიული და სიფილისი დილის 9—12 საათ მდე, საღამოს 6-დან 8-მდე პლეხანოვის № 7 (ვორონცოვის ყოფ. ძეგლთან) შესავალი სახლის კუთხიდან.

ყველასათვის ხელმისაწვდომი სამშობიარო თავშესაფარი ს. ივ. არარატოვისა

რესის (ყოფილი დიდი ვანქის) ქ. № 6. საამშობიაროდ მიღება—25-დან 50 მანეთამდე. მშობიარობა და შემდეგ კვება 7 დღის განმავლობაში. ქალთა სნეულებებისათვის—2 მ. 50 კაპ.—4 მანეთამდე. 25—

ექიმი გ. ნ. ონანოვი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულობანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა

ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე. ელისაბედის ქუჩა, № 3.

ექიმი ჯალალოვი

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა.

ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9—საათამდე საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ. მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 25—16 25—5

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის სამკურნალო

საწოლებით ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყურგანოვის ქ., № 20 25—21

ექიმი ე. მ. მძინარიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი

ავადმყოფების მიღება 1—2 ს. და საღამოთი 6—8 ს. ქალების და ბავშვების 5—6 ს. რუსთაველის პროსპექტი № 18 (შესავალი წულუკიძის ქუჩიდან ყოფ. კრუზენშტერნის ქ.) 25—1

ექ. ი. დ. თოფურიძე

კალინინის ქ. (ყოფ. ნიკოლოზის) № 33 იღებს ავადმყოფებს კანის, ვენერიული და სიფილისი (აგრეთვე სასქესო ორგანოთა მწვავე და ქრონიკული დაავადებით). დილის 8—9 საათ.—საღამოს 4—8 ს

ექიმი ზ. ა. ტარუმოვი

დაბრუნდა და განაახლა **შინაგან და ბავშვთა** სნეულების ავადმყოფთა მიღება საღ. 5—7 საათამდე. ტრიბუნალის ქ. (ყოფ. სასამართლოს) 12 ტელ. 22—59,

---

ექიმი ა. დ. კეკელია

სიფილისი, ვენერიულ და კანის სნეულება.

მიღება 9—11 დილ. 6—8 საღამ. პლეხანოვის პრ. № 116. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ.

ქუთაისში

ექ. ა. მ. ასათიანმა

ლენინგრადის კლინიკაში გამგზავრების გამო ავადმყოფების მიღება შესწყვიტა 25—1 ქ. 379

სათვალეების მორგება უფასოდ

ექიმ სპეციალისტის მიერ „სახმედვაჭრობის“ ოპტიკურ განყოფილებაში დღის 1—5-დე. პლეხანოვის გამზირი № 106 (ყოფ. მიხეილის პროსპექტი ტელ. 3—63. 25—1-

---

ექიმი მ. ა. ლუკოვეცკი

სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.

ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან—7 საათამდე, ქალების მიღება 11 საათიდან 12 საათამდე საპიორის ქუჩა, № 35 ყოფილი კადეტ. კორპ. უკან. 25—1

ექიმი ი. ი. გერიშვილი

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა

დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი, № 8. 25—1

ექიმი ნ. ა. ჯანდიერი

შინაგან, ბავშთა და ქალთა ავადმყოფობანი

ღებულობს 5—7 საათზე. სომხის ბაზარი № 3, თავისუფლების მოედნიდან მეორე სახლი 25—1

ა. ვ. მიქაბერიძე

პარიზში 1923 წელს დაამთავრა

„სილამაზის ინსტიტუტი“

მასაჟი სახის, კისრის, ხელების და სხვ. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.

ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 2-დე და საღამოს 5—8-დე. შესასვლელი შესახვევიდან 25—1

სახელმწიფო უნივერსიტეტის კბილის სნეულებათა კლინიკაში

პლეხანოვის პროსპექტი № 116), საღამოობით 4—6 საათამდის ავადმყოფები მიიღებიან უფასოდ. 12—5

ექიმი-ქალი თოფურიძე-ფანიევა

იღებს ქალთა და ბავშვთა სნეულებით დაავადებულთ. საღამოს 5-დან 7 საათამდე. **მისამართი:** ლადო დუმბაძის ქ. 10 (ყოფ. ველიამინოვის ქ. ერევნის მოედნის ახლოს) ტელ. 19—12. 25—1

პროფესორი მ. წინამძღვრიშვილი

დაბრუნდა

და განაგრძობს შინაგან ავადმყოფთა მიღებას ყოველ დღე, გარდა კვირისა საღამოს 4 ნახ.—8 საათამდე კლ. ცეტკინის (ყოფ. ელისაბედის) ქუჩა № 7. ტელეფ. 14—56 13—

დაკარგვე პირადობის მოწმობა ქ. ქუთაისის ქალაქის მილიციის უფროსის მიერ მოცემული ილია პავლესძე კაკაბაძეს სახელზე, ჩ. გ. 770

დაკარგვე საკანდიდატო ბარათი № 9108 და კოოპერატივ „ბოეც“-ის საწევრო წიგნაკი № 2532 მიქავას სახელზე, ჩ. გ. ქტ. 777

დაკარგვე კომპარტიის საწევრო მანდატი სართიჭალის თემ პარტკომიდან მოცემული № 727, 18 გაბო პეტრესძე ქოქრაშვილის სახელზე, ჩ. გ. 775

დაკარგვე თვითმშრომელთა კავშირის წიგნაკი იასონ ბუჩაშვილის სახელზე, ჩ. გ. 773

დაკარგვე [illegible] წიგნაკი ნებართვა, მოც. ქ. თბილისის მ | გ. მილიციის უფროსის მიერ № 40 ეზეილ ზაქარიასძე თოიძეს სახელზე, ჩ. გ. ქტ. 778

დაკარგვე პარტ-ბილეთი № 496996 ბ გრატ სოლომონიაძე გრიგალაშვილის სახელზე, ჩ. გ. 781

დაკარგვე პირადობის მოწმობა, მიღებული გამოჩინებულია თემ-აღმასკომისაგან ვლადიმერ ფარნაოზის ძე თავაძეს სახელზე, ჩ. გ. 781

ალმასკომის სტამბა, კამოს ქ. 68.